



ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Humanities



თუზისები ABSTRACTS

ახალბაზიყა მასნიყათა II საყთაშოყისო სიბჟოზიყი
ჰჟანისყაყ მასნიყაბაბში

**II International Symposium for Young Scholars
in the Humanities**

თბილისი / TBILISI
საყართჟალო / GEORGIA
14-16 ნოყბარი / NOVEMBER 2018

საორგანიზაციო კომიტეტი:

ნანა გაფრინდაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი,
პროფესორი

ეკატერინე ნავროზაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების
სამსახურის უფროსი,
ასოცირებული პროფესორი

თეა ქამუშაძე

ანთროპოლოგიის დოქტორი,
სიმპოზიუმის თავმჯდომარე

ნინო კვირიკაშვილი

დოქტორანტი,
სიმპოზიუმის თანათავმჯდომარე

ივანე მჭედელაძე

დოქტორანტი,
სიმპოზიუმის თანათავმჯდომარე

ნათია ფუტკარაძე

ფილოლოგიის დოქტორი,
სიმპოზიუმის თანათავმჯდომარე

ფიქრია ვარდოსანიძე

დოქტორანტი

ნინო პოპიაშვილი

ფილოლოგიის დოქტორი

თეა თათეშვილი

დოქტორანტი

სოფიკო ძნელაძე

ფილოლოგიის დოქტორი

აკაკი ჩიქობავა

დოქტორანტი

ლანა ქარაია

დოქტორანტი

ანა თოდუა

დოქტორანტი

სოფიო თოთიბაძე

დოქტორანტი

Organizing Committee:

Nana Gaprindashvili

Dean of the Faculty of Humanities,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University,
Professor

Ekaterine Navrozashvili

Head of the Office of Academic
Research and Development, Faculty of Humanities,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University,
Associate Professor

Tea Kamushadze

PhD in Anthropology,
Chair of the Symposium

Nino Kvirikashvili

PhD Student, *Co-chair*

Ivane Mchedeladze

PhD Student, *Co-chair*

Natia Putkaradze

PhD in Philology, *Co-chair*

Pikria Vardosanidze

PhD Student

Nino Popiashvili

PhD in Philology

Tea Tateshvili

PhD Student

Sofiko Dzneladze

PhD in Philology

Akaki Chikobava

PhD Student

Lana Karaia

PhD Student

Ana Todua

PhD Student

Sopio Totibadze

PhD Student

თამარ ასათიანი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

შრომის რამდენიმე თავისებურება ქართული ჰაგიოგრაფიის „ცხოვრებათა“ ჟანრის ძებლაში

შრომა, როგორც ღვთისმსახურების ერთ-ერთი ასპექტი, სათავეს ქრისტიანული აზროვნებიდან იღებს. სწორედ ქრისტიანულმა მსოფლხედვამ მიანიჭა მას ერთგვარი გამორჩეული მნიშვნელობა. შრომის ამგვარი დანიშნულება ყველაზე უკეთ ბერ-მონაზონთა ცხოვრებაში ჩანს. ნაშრომის მიზანია, ქართული ჰაგიოგრაფიული ჟანრის ძეგლების („ცხოვრებათა“) მიხედვით გავანალიზოთ შუა საუკუნეების ქართულ მონასტრებში დამკვიდრებული ტიპიკონებისათვის დამახასიათებელი რამდენიმე წესი და თავისებურება.

წინამდებარე გამოკვლევაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მონასტრებში გავრცელებული ფიზიკური შრომის ზოგიერთ ნიმუშს (მათ შორის, მინათმოქმედებას, მევენახეობას, მშენებლობასა და სხვ.), რომელთა უპირველესი დანიშნულება, სამონასტრო ტიპიკონების მიხედვით, მორჩილების გამოხატვაა. აქედან გამომდინარე, სულის უფლისკენ მიმართვით, ღვთის ნების მორჩილებით წმინდა მამათა „ქმნაც“ საღვთო შინაარსს იძენს.

ნაშრომი ეყრდნობა გიორგი მერჩულის, გიორგი მთაწმინდელის, გიორგი მცირისა და სხვა შუა საუკუნეების ქართველ ჰაგიოგრაფთა თხზულებებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტაო-კლარჯეთისა და ათონის სავანეების ყოველდღიური ცხოვრების შედარებითი ანალიზი, ასევე, მათი განხილვა მსოფლიო ტიპიკონების ჭრილში.

საკვლევი მასალა საკმაოდ მოცულობითი აღმოჩნდა. ქართულ ჰაგიოგრაფიაში ფიზიკური შრომის ის სახეები, რომლებსაც მონასტრის ძმები კლარჯეთსა თუ ათონის სავანეებში ეწეოდნენ, უშუალოდაა დაკავშირებული ადგილობრივ გარემოსთან. შეიძლება ითქვას, მათი შრომა არ ატარებს ოდენ შრომის, როგორც სამონასტრო მორჩილების (ფიზიკური კანონი შრომისა) აუცილებელი კომპონენტის სახეს, არამედ, ამასთან ერთად, ესაა გარემო პირობებთან შეთვისებული და სწორედ ამ გარემოდან გამომდინარე, აუცილებლად შესასრულებელი რამ. ერთი შეხედვით ჩანს, რომ ქართველ ბერ-მონაზონთა შრომა სამეურნეო ხასიათს ატარებს, მაგრამ, ამასთანავე, ეს ხასიათი ეროვნულ ნიშანსაც მოიაზრებს. განხილული ნაწარმოებების მიხედვით, მონასტრის მკვიდრთა მოღვაწეობას სწორედ ეს სპეციფიკური ნიშნები ჰქონდა, რომელთა შესახებაც ნაშრომში ვრცლად ვისაუბრებთ.

მოხსენებაში, ასევე, საუბარი იქნება უშუალოდ ქართულ „ცხოვრებათა“ ჟანრის ძეგლებში წარმოჩენილი იმ წესებზე, რომლებიც შუა საუკუნეების მსოფლიო ტიპიკონების გავლენის მიუხედავად, მკვეთრად ინდივიდუალურ-ქართულ შინაარსს ატარებდა. ჰაგიოგრაფიული თხზულებებიდან მოხმობილი ნიმუშები და თვალსაჩინო პარალელები ზემოხსენებულ საკითხებს ადვილად აღსაქმელს გახდის.

დაბოლოს, აქვე დავძენთ, რომ მასალის მოცულობიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, აუცილებელია აღნიშნული საკითხის სამომავლოდ გავრცობა შემდგომი კვლევის წარმართვის მიზნით.

ზურაბ ბარათაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

კაუზატიური კონსტრუქციის ტიპები ქართულში

მოხსენების მიზანია, წარმოვადგინოთ კაუზატიური კონსტრუქციის ტიპები ქართულ ენაში, ვაჩვენოთ მათი სინტაქსური და სემანტიკური ურთიერთდამოკიდებულება და მორფოლოგიური მარკირება; შევამოწმოთ ქართული კაუზატივი ბ. კომრის გრამატიკულ მიმართებათა (**resp.** სინტაქსურ ფუნქციითა) იერარქიისა და მ. ბეიკერის ბრუნვათა მარკირების განზოგადების (**resp.** გენერალიზაციის) მიხედვით.

ვალენტობის მიხედვით (ცენტრალურ აქტანტთა თეორიული რაოდენობის გამოთვლით) უნდა განვიხილოთ კაუზატიური კონსტრუქციის ოთხი ტიპი:

1. ამოსავალი ერთვალენტური ზმნისგან ნაწარმოები კაუზატივი (ერთი ცენტრალური აქტანტი + კაუზატორი);

2. ამოსავალი ორვალენტიანი გარდაუვალი ზმნისგან ნანარმოები კაუზატივი (ორი ცენტრალური აქტანტი + კაუზატორი);

3. ამოსავალი ორვალენტიანი გარდამავალი ზმნისგან ნანარმოები კაუზატივი (ორი ცენტრალური აქტანტი + კაუზატორი);

4. სამვალენტიანი ზმნისგან ნანარმოები კაუზატივი (სამი ცენტრალური აქტანტი + კაუზატორი).

ზმნის სხვადასხვა აქტანტური სტრუქტურისა და გრამატიკულ მიმართებათა (**resp.** სინტაქსურ ფუნქციონირება) ცვალებადობის მიხედვით ქართულ მაგალითთა განხილვისას რამდენიმე წესი შეიძლება ჩამოვყალიბოთ. ამგვარად, შემზღუდველი წესები შემდეგია:

1. გარდაუვალი ზმნისგან (როგორც ერთვალენტიანი, ასევე ორვალენტიანი) ნანარმოები კაუზატიური კონსტრუქციის კაუზირებული შეიძლება გამოიხატოს გარდამავალი ზმნის პირდაპირი დამატებით;

2. თუ ამოსავალი ზმნა ორვალენტიანი გარდამავალია, მაშინ ნანარმოები კაუზატიური ზმნის კაუზირებული იკავებს ირიბი დამატების ადგილს, რადგან პირდაპირი დამატების ადგილი უკვე დაკავებულია;

3. მაგრამ თუ ამოსავალი ზმნა სამვალენტიანი გარდამავალია, მაშინ ნანარმოები კაუზატიური ზმნა ოთხვალენტიანი ვერ გახდება: კაუზატორი ქვემდებარეა (როგორც მოსალოდნელი იყო), კაუზირებული ირიბი დამატებით გამოიხატება (რადგანაც პირდაპირი დამატების ადგილი დაკავებულია), ამიტომაც ამოსავალი ირიბი დამატება ქვეითდება და იკავებს უბრალო დამატების ადგილს. ამგვარად, კიდევ ერთი შეზღუდვა გამომდინარეობს № 3-დან:

4. კაუზირებული უნდა იყოს ცენტრალური აქტანტი, ამიტომ ირიბი დამატება ქვეითდება და იკავებს უბრალო დამატების ადგილს.

ბ. კომრისის განზოგადება შეესაბამება ქართულ კაუზატიურ კონსტრუქციას უბრალო დამატების პოზიციის გარდა: კაუზირებული არასდროს ხდება უბრალო დამატება. მ. ბეიკერის განზოგადება გრამატიკულ მიმართებათა (**resp.** სინტაქსურ ფუნქციონირება) შესახებ კი ზუსტად ასახავს რეციპიენტისა და კაუზირებულის (ამოსავალი გარდამავალი ზმნისგან) შესატყვისობას: ირიბი დამატება გამოხატავს ორივე მათგანს.

ლევან ბაბურიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

კოსმოპოლიტიზმისა და პატრიოტიზმის ურთიერთმიმართების საკითხი ვაჟა-ფშაველასა და ნიკოლაი ბერდიაევის ნააზრევში

კოსმოპოლიტიზმისა და პატრიოტიზმის, ეროვნულ და საკაცობრიო ღირებულებათა ურთიერთმიმართების პრობლემა განსაკუთრებული სიმწვავეით ჩვენს სინამდვილეში მე-19 საუკუნის ბოლოდან დადგა, როდესაც მთელი ევროპის მასშტაბით საკმაო პოპულარობა მოიპოვა სოციალ-დემოკრატიულმა ინტერნაციონალისტურმა იდეებმა.

თავის პუბლიცისტურ წერილებში ვაჟა-ფშაველა არაერთგზის შეეხო აღნიშნულ საკითხს. კოსმოპოლიტიზმისა და პატრიოტიზმის ურთიერთმიმართების პრობლემას ვაჟა-ფშაველა ეთიკურ ძრილში განიხილავდა. მწერალი ხაზს უსვამდა მარქსისტული ინტერნაციონალიზმის სქემატურობას და მიუთითებდა, რომ ეს მოძღვრება ადამიანის შინაგანი, სასიცოცხლო მისწრაფებების გამომხატველი კი არ იყო, არამედ ცივი გონების მიერ შექმნილი იდეოლოგიური კლიშე. სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის მომდღვარებასთან ერთად აღნიშნული პრობლემა, ცხადია, უპირველეს ყოვლისა, რუსულ სინამდვილეში დადგა.

საინტერესოა ის გარემოება, რომ ვაჟა-ფშაველას შეხედულებები ტიპოლოგიური თვალსაზრისით დიდ მსგავსებას ავლენს გამოჩენილი რუსი ფილოსოფოსის – ნიკოლაი ბერდიაევის ნააზრევთან. როგორც ვაჟა-ფშაველას, ისე ნ. ბერდიაევის თვალსაზრისით, მარქსისტული კოსმოპოლიტიზმი მხოლოდ აბსტრაქციაა. იქ, სადაც უარიყოფა ეროვნული ხასიათის განუმეორებლობა, რჩება სიცარიელე, ნაციონალურ ძირებს მონყვეტილი ადამიანი კი ეროვნულ იდენტობასაც კარგავს და ვერც კაცობრიობის სრულფასოვანი წევრი ხდება. ორივე მოაზროვნე საგანგებო ყურადღებას ამახვილებს პატრიოტული გრძნობის ბუნებაზე. მათი დასკვნით, კოსმოპოლიტიზმისაგან განსხვავებით, პატრიოტიზმი უეჭველად ემოციური ღირებულებისა და არ საჭიროებს გონებისმიერ გამართლებას.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის გარემოება, რომ ეროვნულ და საკაცობრიო ღირებულებათა ურთიერთმიმართებაზე მსჯელობისას ორივე მოაზროვნე მიუთითებს კულტურაზე, სფეროზე, რომელშიც ყველაზე მკაფიოდ ხორციელდება კონკრეტულისა და უნივერსალურის სინთეზი.

ვაჟა-ფშაველასა და ნ. ბერდიაევის შეხედულებათა პარალელური განხილვა გვიჩვენებს, თუ როგორ შეიძლება მივიდეს გამორჩეული ანალიტიკური ტალანტით დაჯილდოებული ორი დიდი მოაზროვნე მსგავს დასკვნებამდე ისე, რომ არ იცნობდეს ერთმანეთის ნააზრევს.

ეთერ ბოკალავაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

ანტიოქიისა და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიათა ურთიერთობები XX საუკუნის 70-80-იან წლებში

ანტიოქიისა და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიათა ურთიერთობები სათავეს ჯერ კიდევ ადრექრისტიანულ ეპოქაში იღებს. საერთო სარწმუნოებრივმა ტრადიციებმა მჭიდროდ დააკავშირა ერთმანეთთან ქრისტეს ორი მოციქულის (ნმინდა პეტრესა და ანდრია პირველწოდებულის) საყდარი. ქართველ და ანტიოქიელ საეკლესიო მოღვაწეთა ურთიერთობები, გარდამავალი ინტენსივობით მრავალი საუკუნის განმავლობაში გაგრძელდა. თუმცა, რთული საერთაშორისო თუ შიდაპოლიტიკური ვითარების გამო, დროთა განმავლობაში, ეს ურთიერთობები შესუსტდა. XIX საუკუნიდან კი საქართველოს ეკლესიის რუსეთის ეკლესიის დაქვემდებარებაში გადასვლის, ხოლო მოგვიანებით, ქვეყანაში არსებული საბჭოთა რეჟიმის პირობებში, ანტიოქიის ეკლესიასთან ურთიერთობების აღდგენის ყოველგვარი მცდელობა უშედეგოდ დასრულდა. ორ უძველეს სამოციქულო ეკლესიას შორის ისტორიული ურთიერთობების აღდგენაზე მუშაობის დაწყება მხოლოდ გასული საუკუნის 70-იანი წლების მიწურულსა და 80-იანი წლების დასაწყისში გახდა შესაძლებელი, რაც უმთავრესად, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის სახელთან არის დაკავშირებული.

XX საუკუნის 70-80-იანი წლები უაღრესად საინტერესო პერიოდს წარმოადგენს როგორც რელიგიის, ისე ანტიოქიისა და საქართველოს ეკლესიათა ურთიერთობების ისტორიაში. ეპოქის აქტუალობას განსაზღვრავს საერთაშორისო რელიგიური და პოლიტიკური ვითარება და სირიის რელიგიურ ორგანიზაციათა თანამშრომლობა ისლამურ ხელისუფლებასთან, ახლო აღმოსავლეთის რეგიონში განხორციელებულ დიპლომატიურ მისიებში.

ნაშრომში განხილული გვაქვს „ცივი ომის“ პერიოდის საერთაშორისო პოლიტიკური მდგომარეობა, აშშ-ისა და საბჭოთა კავშირის ინტერესები ახლო აღმოსავლეთში; სირიის სახელმწიფოს თანამშრომლობა საბჭოთა ხელისუფლებასთან, ანტიოქიისა და საქართველოს მართლმადიდებელ საპატრიარქოთა პოზიცია არსებულ ვითარებასთან და მათი როლი საგარეო პოლიტიკაში. აგრეთვე, განხილული გვაქვს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ღვაწლი საქართველოს ეკლესიის ანტიოქიის საპატრიარქოსთან ტრადიციული ურთიერთობების აღდგენის საქმეში, ორმხრივი ვიზიტები, დიალოგი ეკლესიათა სამშვიდობო მისიის შესახებ და საქართველოსა და ანტიოქიის სასულიერო და აკადემიურ მოღვაწეთა ურთიერთთანამშრომლობის განახლების ტენდენციები. შეფასებული გვაქვს ყოველივე აღნიშნულის მნიშვნელობა, როგორც საქართველოს ეკლესიის, ისე საქართველოსა და ანტიოქიის ეკლესიათა შორის ურთიერთობების, ასევე, საბჭოთა კავშირისა და სირიის სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების ისტორიაში.

ციცილო ბუკია

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

კულტურისა და ხელოვნების საკითხები ბაზეთ „საქართველოში“ (1918 - 1919 წწ.)

1915 წლიდან „კლდისა“ და „იმერეთის“ ნაცვლად თბილისში დაარსდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პერიოდული ორგანო, ყოველდღიური გაზეთი „საქართველო“, მან, ფაქტობრივად, მთელი საქართველოს მასშტაბით ერთიანი ეროვნული მიმართულების შექმნას ჩაუყარა საფუძველი. ქვეყანაში არსებული საჭირობოროტო პრობლემების ანალიზთან ერთად გაზეთი ყურადღებით აკვირდებოდა კულტურის სფეროში მიმდინარე მოვლენებსაც.

კვლევის პროცესში გაზეთ „საქართველოს“ 1918-1919 წლებში გამოსული ნომრებით შემოვიფარგლეთ: გვინტერესებდა, რა თემები მიაჩნდათ პრიორიტეტულად კულტურისა და ხელოვნების სფეროში ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველ პერიოდში. კულტურის სფეროში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით „საქართველოელებს“ თავიანთი მკვეთრად გამოხატული პოზიცია ჰქონდათ. გაზეთის ფურცლებზე დაინტერესებულ მკითხველს მრავალმხრივ საინტერესო მასალების გაცნობა შეეძლო.

1918-1919 წლებში თეატრალური ცხოვრება გამოცოცხლდა. გაზეთ „საქართველოში“ კულტურის საკითხებს ვრცელი პუბლიკაციები ეძღვნებოდა; პარალელურად გამოყოფილი იყო მუდმივი რუბრიკაც ხელოვნების საკითხების შესახებ.

ჩვენი მოხსენების მიზანია, გამოვავლინოთ მეოცე საუკუნის დასაწყისში მოღვაწე ქართველ პუბლიცისტთა ხედვა ქართული კულტურისა და ხელოვნების პრობლემებისა თუ საჭიროებების შესახებ.

კვლევის პროცესში გამოვიყენეთ რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები, მიღებული შედეგები, ცხადია, ემყარება ემპირიულ მონაცემებს.

გაზეთის მასალათა შესწავლა იძლევა საფუძველს, განვაცხადოთ, „საქართველოელები“ ჯეროვან ყურადღებას უთმობდნენ ხელოვნებისა და კულტურის თემატიკას. ამის დასტურია მუდმივი რუბრიკის – „თეატრი და ხელოვნება“ არსებობა. აღნიშნულ განყოფილებაში ყოველ ნომერში იბეჭდებოდა კულტურული ღონისძიებების შესახებ მცირე მოცულობის მასალები. ამდენად, როგორც ვხედავთ, გაზეთი „საქართველო“ მკითხველის ინფორმირებასა და ლიტერატურული გემოვნების ჩამოყალიბებას ერთმანეთთან წარმატებით ათავსებდა.

გაზეთში იბეჭდებოდა მიმოხილვითი და კრიტიკული ხასიათის წერილები მწერლობის მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ. ასეთი ქმედება ორმაგ ეფექტს იძლეოდა: მკითხველის გემოვნებასაც ხვენდა და შემოქმედთა ყურადღების კონცენტრირებასაც ახდენდა. ჩვენ მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ „საქართველოს“ პუბლიცისტები წერდნენ როგორც მწერლობის, ასევე ოპერის, დრამატული საზოგადოებისა და, ზოგადად, ხელოვნების სფეროში არსებული პრობლემების შესახებ. ასევე, ცდილობდნენ კულტურისა და ხელოვნების თვალსაზრისით საზოგადოებაში ცოდნის დონის ამაღლებას. ამ მიზნით ისინი სხვადასხვა ავტორსა თუ მიმდინარეობას წარუდგენდნენ მკითხველს. აღსანიშნავია, აგრეთვე, „საქართველოელთა“ კრიტიკული დამოკიდებულება ხელოვნების სფეროში წამოჭრილი ამა თუ იმ პრობლემის მიმართ.

გზის ბუსკივადი

ივანე კავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

„თანამედროვე“ და „ტრადიციული“ აზროვნების დაპირისპირება აჰმედ ჰამდი თანფინარის რომანში „დროის ინსტიტუტი“

„თანამედროვე“ და „ტრადიციული“ აზროვნების დაპირისპირება აჰმედ ჰამდი თანფინარის რომანში „დროის ინსტიტუტი“ მე-20 საუკუნის თურქული ლიტერატურის განვითარებისა და თემატიკის კუთხით ერთგვარ თავისებურებას ავლენს. შუა საუკუნეებში სპარსული პოეზიის, ხოლო მე-19 საუკუნიდან ევროპული, კერძოდ ფრანგული, ლიტერატურის გავლენამ, ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურმა პროცესებმა დიდწილად განსაზღვრა შემდგომი ლიტერატურული ტენდენციები. რთული ისტორიული გარემო საზოგადოების აზროვნების ჩამოყალიბებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს.

მე-20 საუკუნე თურქული ლიტერატურისათვის ერთგვარი ადაპტაციის ეტაპსაც წარმოადგენს, ვგულისხმობთ, ევროპული და ეროვნული ღირებულებების მიღება-დამკვიდრების ეტაპს. ლიტერატურაში თავს იჩენს ისეთი თემები, როგორცაა „მცდარი გავეროპელება“, „იდენტობის საკითხი“, „თანამედროვე აზროვნება“, „გაუცხოება“ და სხვ.

თურქ მწერალთა ერთი ნაწილი მხატვრულ ნაწარმოებებში ინტენსიურად ავითარებს ეროვნულ დისკურსს. აჰმედ ჰამდი თანფინარი საკითხის დასმისა და მისი გადაწყვეტის გზების თვალსაზრისით ერთ-ერთი გამორჩეული მწერალია. რომანი „დროის ინსტიტუტი“ თემატური თვალსაზრისით მრავალმხრივი კვლევის საშუალებას იძლევა. ჩვენთვის საინტერესოა, ერთი მხრივ, რომანის იდეოლოგიური მხარე, მეორე მხრივ კი – მეთოდი, რომელის მეშვეობითაც ახდენს მწერალი დასმული საკითხის გადაჭრას. რომანი „დროის ინსტიტუტი“ ოთხი ნაწილისგან შედგება. თითოეულ ნაწილში აღწერილია ჯერ ოსმალეთის იმპერიის, შემდეგ უკვე – თურქეთის რესპუბლიკის ყოფა-ცხოვრება, საზოგადოების ამბივალენტური დამოკიდებულება რეალობისა და დროისადმი.

მწერალი რომანში თანამედროვე და ტრადიციული აზროვნების დაპირისპირების საკითხზე ფოკუსირდება. აღნიშნული საკითხის წარმოჩენის მიზნით იგი მიმართავს თხრობის თავისებურ ტექნიკას. რომანს აუქტორული მთხრობელი ჰყავს, რომელიც გარედან ხედვის პერსპექტივიდან აფასებს მიმდინარე პროცესებს, თუმცა იმავდროულად არის რომანის მთავრი გმირი. პროტაგონისტები სიმბოლური სახით საზოგადოების გაორებულ მდგომარეობას გამოხატავენ. აჰმედ ჰამდი თანფინარი რომანში განვითარებულ მოვლენების აღწერისას პარადიის ტექნიკას მიმართავს, რომელიც ხშირად გროტესკულ აბსურდამდეც კი მიდის. რომანის გმირებს არსებული რეალობის აღქმა უჭირთ, ფსევდოსიყვარული, ფსევდოოჯახი, ფსევდოპროგრესი, „ახალი დროის“ „ახალი აზროვნება“, ფსევდოლირებულებების პარადირება საზოგადოების კარნავალურ ყოფაზე მიგვანიშნებს.

კარნავალური სახალხო სიცილი კი ფუნდამენტს მოკლებული განვითარების სასრულობაზე მეტყველებს. ამის ნათელი მაგალითია რომანის ერთ-ერთი მთავარი პროტაგონისტის გარდაცვალება. პროტაგონისტის გარდაცვალებით უფუნქციო და „ამაოდ მოღვაწე“ დროის ინსტიტუტიც წყვეტს არსებობას, რომელიც ერთ დროს მოღერნიზმისა და პროგრესის სიმბოლოს წარმოადგენდა.

თამარ გვიცია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

შატბერდის სკრიპტორიუმი

შატბერდის სამონასტრო კერამ სრულიად განსაკუთრებული როლი შეასრულა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, რაც, უპირველეს ყოვლისა, მისი სკრიპტორიუმისა და იქ გადაწერილი ხელნაწერი ნიგნების დამსახურებაა. სულ რამდენიმე წელია, რაც მოხერხდა სამონასტრო კერის ლოკალიზება (აქამდე ის მცდარად მიიჩნეოდა იენი-რაბათად); ინტერესი ამ მონასტრისა და მისი ისტორიის მიმართ ისევ გაღვივდა. მხოლოდ იმის აღნიშვნა, რომ ჩვენამდე მოღწეული უძველესი თარიღიანი ოთხთავი (ადიშის) შატბერდის მონასტერში გადაინუსხა, სრულიად საკმარისია შატბერდის სკრიპტორიუმის განსაკუთრებული მნიშვნელობის გასააზრებლად.

ჩვენი მიზანია, ვაჩვენოთ, თუ რა კონკრეტული ნიშა დაიჭირა შატბერდის სკრიპტორიუმმა და რამ გამოიწვია მისი დამცრობა.

მოხსენებაში ყურადღებას გავამახვილებთ შემდეგ თემებზე: 1. შატბერდის სკრიპტორიუმის დაარსება; აუცილებელია იმ რეალობის გათვალისწინება, თუ რა პირობებში ჩამოყალიბდა შატბერდის სკრიპტორიუმი, რა პოლიტიკურმა და კულტურულმა სიტუაციამ შეუწყო ხელი. 2. შატბერდული ხელნაწერები – ჟანრები და თემატიკა; შატბერდის სკრიპტორიუმი თემატურად განსაკუთრებული მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა, მაგრამ პასუხობს თავისი დროის გამოწვევებს. 3. ნიგნთშემოქმედების პროცესი; ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებში გაფანტული მასალა მწირ ინფორმაციას შეიცავს იმის შესახებ, თუ რა პირობებისა და რეალობის გათვალისწინებით უხდებოდათ მუშაობა რედაქტორ-შემდგენლებსა და გადამწერებს. 4. ურთიერთობა სხვა სამნიგნობრო კერებთან, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ; კულტურულ და პოლიტიკურ გზაჯვარედინზე მდებარე შატბერდს აქტიური ურთიერთობა უნდა ჰქონოდა ბიზანტიასთან, ანტიოქიასა და სომხეთთან, რასაც სამწერლობო სფეროში გარკვეული გავლენაც უნდა მოჰყოლოდა. 5. გიორგი მთაწმინდელის ვიზიტი შატბერდში; მეფე ბაგრატ IV-ის მოწვევით საქართველოში ჩამოსული საპატიო სტუმარი შატბერდში დაბინავდა და იქ საკმაოდ დრო დაჰყო.

სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობია კონკრეტულად რას საქმიანობდა გიორგი მთაწმინდელი. ერთი რამ კი ცხადია, მის მიერ კლარჯეთის ტერიტორიის დატოვების შემდეგ შატბერდში თითქმის აღარ შექმნილა ხელნაწერი. 6. სამნიგნობრო ცენტრის დაცემა; მე-10 საუკუნის ბოლოსა და მე-11 საუკუნის დასაწყისში სულ უფრო ცოტა ხელნაწერი გვხვდება შატბერდიდან. აქაური მოღვაწენი კი – უცხოურ საგანებში აგრძელებენ საქმიანობას (ჯიბისძეები). ამას ემატება ისიც, რომ აქტიურდება თურქ-სელჩუთა შემოსევები.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ქვეყნის წინაშე წარმოქმნილმა ახალმა რეალობამ (ბერძნული ენიდან თარგმნილი ლიტერატურის სრულყოფის აუცილებლობა) უდიდესი ისტორიისა და მნიშვნელობის მიუხედავად, შატბერდი აიძულა, ასპარეზი დაეთმო ისეთი სამნიგნობრო კერებისათვის (უმეტესად, საზღვარგარეთ), რომელთაც თავის თავზე იტვირთეს ქართული თარგმანების ბერძნულ დედანთან დაახლოების საკითხი.

ეკატერინე გოგალაძე, მუჰამედ ჰოსეინინაჯადი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
 აზადის ისლამური უნივერსიტეტი – თეირანის მეცნიერებისა და კვლევის განყოფილება, ირანი

სიტყვათქმნადობის პროცესის მართვის საკითხები (სპარსული ენის მაგალითზე)

ენა, კაცობრიობის უდიდესი მონაპოვარი, ადამიანის მდიდარი და მრავალფეროვანი სულიერი ცხოვრების გამოხატულებაა. არავინ დავობს ენის, როგორც საზოგადოებრივი მოვლენის უალრესად მნიშვნელოვან ფენომენზე; ენის საშუალებით ადამიანი უკავშირდება გარესამყაროს. ენა მოქნილად უნდა გამოიყენებოდეს ყოველდღიურ ცხოვრებაში. მნიშვნელოვანია ენის როლი კულტურათშორისი კავშირების დამყარებისათვის. ამ თვალსაზრისით ყურადსაღებია თარგმანის დროს ენის გრამატიკული და ლექსიკური ერთეულების მოქნილად და მართებულად გამოყენება. ჩვენი მოხსენების მიზანია, განვიხილოთ სიტყვათქმნადობის პროცესი და მისი მნიშვნელობა თარგმანის დროს სპარსული ენის მაგალითზე.

ირანში თარგმანის გაცხოველებული პროცესი მიმდინარეობს. ყოველდღიურად ითარგმნება როგორც მხატვრული, ასევე სამეცნიერო ლიტერატურა; შესაბამისად, მომრავლდა თარგმანის შესრულების ხარისხთან დაკავშირებული პრობლემები, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა მითარგმნელთა და ექსპერტთა კომპეტენციის საკითხიც. თარგმანისას გარკვეულ სირთულეებს ქმნის ლექსიკურ ერთეულთა და ტერმინთა ფორმირება.

ირანში ჯერ კიდევ 1935 წელს დაარსდა ენისა და ლიტერატურის აკადემია (APLL). აკადემიის ფუნქციონირებაში შედის მეცნიერების სხვადასხვა სფეროში გავრცელებული ტერმინების სპარსულად გადმოცემა, ხანდახან იქმნება სრულიად ახალი სიტყვებიც კი. აკადემიის მუშაობის ხარისხის დასადგენად მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, თუ რამდენად ხდება საზოგადოებაში ახალი სიტყვების დანერგვა და გამოყენება.

კვლევა მიზნად ისახავს სპარსული ენისა და ლიტერატურის აკადემიის მიერ სიტყვათა ფორმირების პროცესის ენობრივი ასპექტების გაანალიზებასა და საზოგადოების ენაზე დაკვირვებით მისი ეფექტურობის განსაზღვრას. აკადემიის მიერ შემუშავებული მიდგომები შედარებული იქნება მსგავს ოფიციალურ ორგანოთა საქმიანობასთან, რომელსაც ახორციელებს სხვა სახელმწიფოთა ენისა და კულტურის სფეროებში მოქმედი ოფიციალური მარეგულირებელი ინსტიტუციები და უწყებები.

ინო გოგალია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
 სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

დისკურსის ინტერდისციპლინური კვლევის ტენდენციები

ცნებაში „დისკურსი“, რომელიც დღეისათვის ძალიან აქტუალურია სამეცნიერო წრეებში, აირეკლება მნიშვნელობა, რომელიც მიენერება იმ პროცესებსა და პრაქტიკებს, სადაც საზოგადოებრივი აზრი ყალიბდება. დისკურსის ცნება პრიორიტეტული ხდება მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან როგორც ენათმეცნიერებაში, ასევე სოციალურ და სხვა ჰუმანიტარულ მეცნიერებებში; დისკურსს იკვლევენ ისეთ კლასიკურ ცნებებთან ერთად, როგორებიცაა „ენა“, „საზოგადოება“ და „კულტურა“.

დისკურსისადმი კვლევის მზარდი ინტერესი აიხსნება ცვლილებებით, რომლებიც უკავშირდება სპეციალიზირებული ცოდნის ცალკეულ დისციპლინებად ორგანიზებასა და დიფერენციაციას.

მოხსენებაში განხილული იქნება შემდეგი საკითხები:

- დისკურსის კონცეფცია, რომელიც ითვალისწინებს და მოიცავს როგორც სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების კვლევითი ტენდენციების ფართო სპექტრს, ასევე განვითარების იმ დინამიკასაც, რასაც ადგილი აქვს გერმანულენოვან, ანგლოფონურ და ფრანკოფონურ ენობრივ სივრცეებში;

- ის მიზნები და მახასიათებლები, რომლებიც თან სდევს დისკურსის ცნების გამოყენებას განსხვავებულ კონტექსტებში;

- კვლევის სფეროები ინტერდისციპლინურ სივრცეში, რომლებთანაც დისკურსის კვლევას ბევრი დაკვეთის წერტილი აქვს, ესენია: სოციოლინგვისტიკა, ლინგვისტური პრაგმატიკა, ლინგვისტური ანთრო-

პოლოგია, დიალოგური მეტყველების ანალიზი, სემიოტიკა, ენის ფილოსოფია და სხვა სფეროები, რომლებიც მეტ-ნაკლებად რელევანტურია დისკურსის კვლევისათვის;

- დისკურსის თეორიული, ეპისტემოლოგიური, მეთოდური და ანალიზური კვლევა;
- დისკურსის კვლევა გლობალურ სივრცეში, კერძოდ კი კვლევის ტენდენციები გერმანულ- და ფრანგულენოვან სივრცეებში, ამერიკის შეერთებულ შტატებში და დიდ ბრიტანეთში.

დისკურსის კვლევა, როგორც კვლევის ახალი სფერო, ღიაა ახალი განვითარებებისა და ტენდენციებისათვის. ის განსხვავდება კვლევის სპეციალიზებული სფეროებისაგან, რომლებიც მსგავსად სოციოლინგვისტიკის, ლინგვისტიკური ანთროპოლოგიისა ან დიალოგური მეტყველების ანალიზისა, ენისა და საზოგადოების განვითარების პრობლემებს იკვლევს და ერთ ან ორ დისციპლინას ეფუძნება. დისკურსის კვლევა თავისი ფართო თეორიული და მეთოდური განვითარებით მოიცავს სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების მთლიან დისციპლინურ სპექტრს, მათ შორის ენათმეცნიერებას, სოციოლოგიას, ფილოსოფიას, ისტორიასა და ლიტერატურათმცოდნეობას.

ბასიკ გობინავა

ივანე კავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

რეგიონალიზმის თეორიული ჩარჩოები და მისი პირველი გამოვლინებები ლათინურ ამერიკაში

თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკური მეცნიერების აკადემიურ დისციპლინებში რეგიონალიზმს უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირვს. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იგი გლობალური ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა, როგორც ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური ორგანიზაციის ფორმა, ხოლო XXI საუკუნეში მეცნიერული კვლევა-ძიების ობიექტიც გახდა.

რეგიონალიზმის მნიშვნელობის ზრდა აჩვენებს, რომ აუცილებელია მასზე მკაფიო წარმოდგენა გვექონდეს და კარგად გვესმოდეს, თუ რას ვგულისხმობთ ამ ტერმინში, როგორ შეგვიძლია მისი ახსნა.

დღეისათვის რეგიონალიზმის უამრავი განმარტება არსებობს, თუმცა, მარტივი გაგებით, იგი არის იდეოლოგია და პოლიტიკური მოძრაობა, რომელიც ამა თუ იმ რეგიონის განვითარებას ისახავს მიზნად; თუმცა, აუცილებელია, რომ თავიდანვე განვასხვაოთ ტერმინის ორი საკმაოდ განსხვავებული მნიშვნელობა.

საერთაშორისო ურთიერთობებში რეგიონალიზმი გულისხმობს ტრანსნაციონალურ თანამშრომლობას ერთობლივი მიზნის მისაღწევად ან საერთო პრობლემების მოსაგვარებლად. იგი, ასევე, გულისხმობს ქვეყნების ჯგუფს, რომლებიც ერთმანეთთან გეოგრაფიით, ისტორიით ან საერთო ეკონომიკური მაჩვენებლით არის დაკავშირებული. მაგალითად, ლათინური ამერიკა. ასეთი გაგებით, რეგიონალიზმი ამ ქვეყნებს შორის კავშირ-ურთიერთობის გაძლიერებას ცდილობს. დღესდღეობით, ამგვარი მცდელობის საუკეთესო მაგალითია ევროკავშირი.

პოლიტიკაში რეგიონალიზმი ძალაუფლების განაწილების პროცესს გულისხმობს, როდესაც ცენტრალური მმართველობიდან ძალაუფლება რეგიონულ მმართველობებს გადაეცემა.

რეგიონალიზმის დაბადება ლათინურ ამერიკაში რევოლუციურ პერიოდს უკავშირდება. დამოუკიდებლობისათვის ომების ლიდერები იქ სხვადასხვა ცალკეული მთავრობის არსებობაში საფრთხეს ხედავდნენ და ლათინური ამერიკის გაერთიანებული რეგიონული სახელმწიფოს ან კონფედერაციის ჩამოყალიბების შესაძლებლობებს განიხილავდნენ, რათა ესპანური მონარქიისგან ტერიტორიის ახლადმოპოვებული დამოუკიდებლობა ამ გზით დაეცვათ.

სამხრეთ ამერიკის ინტეგრაციული მოძრაობის სულისჩამდგმელი და მსოფლიო ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი ფიგურა – სიმონ ბოლივარი სტაბილური კავშირის იდეას ქადაგებდა. უფრო კონკრეტულად, მისი სურვილი დამოუკიდებლობამოპოვებული ტერიტორიების პანამერიკული ერთობის ქვეშ გაერთიანება იყო, რაც პოლიტიკური და ეკონომიკური ძლიერების გარანტი იქნებოდა.

1819 წელს სიმონ ბოლივარმა სამხრეთ ამერიკის მნიშვნელოვანი ნაწილის ერთ ფედერაციად – დიად კოლუმბიად გაერთიანება მოახერხა, რომელიც ამერიკის კონტინენტზე პირველი პანამერიკული გაერთიანება იყო.

წინო გოდარძიშვილი

შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

„წმინდა ევსტათისა“ და „წმინდა ჰუბერტის“ კულტი შუა საუკუნეების საფრანგეთში (XII-XVI სს.)

შუა საუკუნეების ქრისტიანულ ხელოვნებაში რელიგიური ქანდაკების მრავალფეროვან იკონოგრაფიულ რეპერტუარში ნადირობის თემას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. წმინდა ევსტათის ნადირობის კომპოზიციები დიდი პოპულარობით სარგებლობდა როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ ევროპულ ქრისტიანულ ხელოვნებაში. აღნიშნული თემატიკა საფრანგეთში XII-XVI საუკუნეებში გვხვდება. თუმცა, აქ პლაკიდას ნადირობის პარალელურად წმინდა ჰუბერტის ნადირობის სიუჟეტიც აქტუალური.

ლიტერატურულ წყაროებში მოთხრობილი ჰუბერტის ხილვის სცენა წმ. ევსტათის ხილვის სიუჟეტის მსგავსია. ტაძრებზე გამოსახული კომპოზიციების იკონოგრაფიული სქემებიც ანალოგიურია მცირე განსხვავებებით. აქედან გამომდინარე, საგულისხმოა, რომ წმინდა მონამის – ევსტათის ხილვის სიუჟეტი და ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოქცევა საფუძვლად დაედო კათოლიკურ სამყაროში გავრცელებულ წმინდა ჰუბერტის ხილვის იკონოგრაფიულ სქემას. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ წმინდა ევსტათის კულტი XII-XIV საუკუნეებშია გაძლიერებული, XV-XVI საუკუნეებში კი ადგილს წმინდა ჰუბერტს უთმობს. თუმცა, არ ქრება ფრანგული ქრისტიანული ხელოვნებიდან.

წმ. ჰუბერტის პარალელურად წმ. ევსტათის ხილვის სცენებს წიგნის მინიატურასა და ფერწერაში გამოსახავენ. წმ. ჰუბერტის პოპულარობა კი შეგვიძლია, ავხსნათ საფრანგეთში ეროვნული წმინდანისა და ისტორიული პირის წინ წამოწევის მცდელობით. ვინაიდან, XV საუკუნე რთული ისტორიული პერიოდია, საფრანგეთი ცდილობს დაიცვას ქვეყნის ინტერესები, წარმოაჩინოს თავისი ღირებულებები, შეინარჩუნოს თვითმყოფადობა.

ხელოვნებაში ფორმულირდება ახალი მოტივები, ფრანგული რენესანსის რეალისტური საერო თემატიკის გაძლიერება. სავარაუდოდ, ამან განაპირობა ის, რომ ადრეული შუა საუკუნეების წმინდა ევსტათის ასკეტური ცხოვრება და მოწამეობა აღორძინების ხანის ჰუმანურმა იდეოლოგიამ – ერისკაცთა ჰუბერტის სასულიერო გზაზე შედგომის იდეამ ჩაანაცვლა. მოხსენებაში ლიტერატურული პირველწყაროების შესწავლის საფუძველზე, განხილული იქნება რელიგიური სცენები და ვიტრაჟების კომპოზიციები. იკონოგრაფიული სქემების მხატვრულ-სტილისტური ანალიზით გამოიკვეთება მათი თავისებურებები და კავშირი ამ ორ სიუჟეტს შორის.

სოფიო გულიაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

რუსთველის „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნის პრობლემები და მათი გადაწყვეტის პერსპექტივები

რუსთველის „ვეფხისტყაოსნის“ სხვა ენებზე თარგმნის პრობლემები და მათი გადაწყვეტის პერსპექტივები, პოეტურ თხზულებათა უცხო ენაზე ამეცყველების მცდელობა უამრავ გადაულახავ სირთულეს აწყდებდა. ამავე დროს, სურვილი, თავისი საგანძური დანარჩენ მსოფლიოს გააცნოს და აჩვენოს, ყველა ქვეყანას აქვს. როცა საქმე მატერიალურ საგანძურს ეხება, საქმე შედარებით მარტივადაა. მომხდური ნახავს, შეაფასებს, დაათვალიერებს. მაგრამ როცა საუბარი ინტელექტუალურ საგანძურზეა, როცა საქმე ლიტერატურას ეხება, ამოიცნობს თუ არა მკითხველი წაკითხულში შედეგს, მიხვდება თუ არა ტექსტის გენიალობას, მთარგმნელის ოსტატობასა და თარგმანის ხარისხზე დამოკიდებული. „ვეფხისტყაოსანი“ შუასაუკუნეების ქართული ლიტერატურული და ფილოსოფიური აზრის მწვერვალია. მისი მხატვრული სისტემა, თეორიული პასაჟები, მსოფლგაგება ევროპული ქრისტიანული აზრის მდინარეებს ეხმიანება და სამყარო, რომელსაც ის წარმოადგენს, უკვე ათწლეულებია რუსთველოლოგიის კვლევის საგანია.

როგორც ჰომეროლოგიისთვის – ჰომეროსის პოემები და დანტოლოგიისთვის – დანტეს შემოქმედება, ისე რუსთველოლოგიისთვის „ვეფხისტყაოსნის“ სამყარო ამოუწურავია. შექმნილია უამრავი ნაშრომი

თითოეულ ეპიზოდზე, პასაჟზე, ლექსიკურ ერთეულზეც კი. ამავე დროს, საზღვარგარეთული მეცნიერების ინტერესიც რუსთაველის პოემის მიმართ წლიდან წლამდე იზრდება და მისი სამყარო ხან ევროპული რენესანსის მკვლევრებისთვის ხდება გასათვალისწინებელი, ხანაც მედიევისტების ყურადღების არეალში ექცევა და ისინი პოემას მათთვის ხელმისაწვდომი თარგმანებით ეცნობიან. ჩნდება შეკითხვა: შეუძლია კი დღეისათვის არსებულ რომელიმე თარგმანს არაქართველ მკითხველამდე პოემის ისე მიტანა, რომ არც თეორიული კონცეფციები, არც მხატვრული ღირებულება და არც ამბის სიზუსტე დაიკარგოს. მოხსენების მიზანი სწორედ ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემის მცდელობაა.

საილუსტრაციოდ მოხმობილი მასალისთვის „ვეფხისტყაოსნის“ ხუთი ინგლისური და ხუთი რუსული თარგმანია გამოყენებული; პოემის საგანგებოდ შერჩეული რამდენიმე მნიშვნელოვანი პასაჟი განხილულია რუსთველოლოგიურ კვლევათა გათვალისწინებით და მათ შუქზე გაანალიზებულია, რამდენად არის ან არ არის, ან თუ ჩანს, როგორ არის ასახული „ვეფხისტყაოსნის“ სამყაროზე ქართველი რუსთველოლოგების ცოდნა თარგმანებში.

მარიამ გურგენიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

ქრისტიანობის პროცესის თავისებურებები სკანდინავიაში

ნაშრომში განხილულია ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი შუა საუკუნეების ევროპის ისტორიაში – ქრისტიანობის გავრცელება სკანდინავიის ტერიტორიაზე ვიკინგების ეპოქაში (VIII-XI სს.). საკითხის კვლევა დაკავშირებულია ძველი სკანდინავიური წარმართული რელიგიის, სკანდინავიის ტერიტორიაზე დანიის, შვედეთისა და ნორვეგიის სამეფოების ჩამოყალიბების პროცესების განხილვასთან. შესაბამისად ნაშრომში განხილულია ვიკინგთა თავდასხმები, მათი შორეული ექსპედიციები, სკანდინავიაში ქრისტიან მისიონერთა მოღვაწეობა და სკანდინავიური სამეფოების საგარეო პოლიტიკა.

საკითხის შესწავლა ეფუძნება შუა საუკუნეების საიტორიო წყაროებს, მისიონერთა და მოგზაურთა ჩანაწერებს, სკანდინავიურ საგებსა და სკალდური პოეზიის ნიმუშებს, ზეპირსიტყვიერ გადმოცემებს, მითებს, არქეოლოგიურ მონაცემებს, მატერიალური კულტურის ნიმუშებს, რუნოვან ქვებს, წარმართული და ქრისტიანული ტაძრების დაარსებას, მისიონერთა მოღვაწეობას და აღნიშნული საკითხების განხილვას მემატრიანეთა ნაშრომებში.

მოცემული საკითხები ქართულ სამეცნიერო სივრცეში არ არის შესწავლილი და მისი აღნიშნული კუთხით კვლევა ერთგვარ სიახლეს წარმოადგენს. ჩრდილოელებმა, როგორც მათ ბრიტანელები და ფრანკები უწოდებდნენ, საშინელი რისხვა დაატეხეს თავს აღნიშნულ სამეფოებს. გაძარცვეს და გადაწვეს ქრისტიანული მონასტრები, საუკუნეების განმავლობაში ავიწროებდნენ ბრიტანეთის სამეფოებს: მერსიას, ნორთუმბრიას, ვესექსს. მათ მთავარ მიზანს, მოსავლიანი ტერიტორიების ათვისება, სიმდიდრის მოპოვება, საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართვა და ცივილიზებულ სამყაროში ინტეგრაცია წარმოადგენდა. უდავოდ საინტერესოა, ვიკინგთა საზოგადოებაში, რომელიც წარმოადგენდა თითქმის მთელი ქრისტიანული სამყაროს რისხვას, მყარი წარმართული რწმენის მიუხედავად, როგორ განვითარდა სკანდინავიურ საზოგადოებაში ქრისტიანობის პროცესი; რა უბიძგებდათ და რა პროცესები განაპირობებდა ახალი სარწმუნოების მიღების საკითხს. ახალი რწმენის მიღებამ მნიშვნელოვნად დააჩქარა სკანდინავიური საზოგადოების ცივილიზებულ ქრისტიანულ სამყაროსთან ინტეგრაცია, საერთაშორისო ვაჭრობაში მონაწილეობისა და ქალაქმშენებლობის პროცესი.

რა პირობებში უწევდათ მოღვაწეობა კათოლიკე მისიონერებს და რა მიზნები ამოძრავებდათ ამ პროცესის ინიციატივის სათავეში მყოფ რომის კათოლიკურ ეკლესიასა და ევროპული სამეფოების მონარქებს. როგორ შეძლო წარმართულმა საზოგადოებამ, რომლის თავდასხმებმაც ცივილიზებულ სამეფოებში ფეოდალიზაციის პროცესი მნიშვნელოვნად შეაფერხა, ახალი მონოთეისტური რელიგიის მიღება.

სიმონ გურაშიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

„არაბული გაზაფხული“, ისლამური რადიკალიზმი, ქართული ნეონაციზმი (გამომწვევი მიზეზების შედარებითი ანალიზი)

მოსხენების პირველ ნაწილში წარმოდგენილი იქნება ახლო აღმოსავლეთის ისლამური რადიკალიზმის გამომწვევი მიზეზების მოკლე მიმოხილვა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა „არაბული გაზაფხულით“ გაჩენილი პოლიტიკური ისლამის, ანტიდასავლური იდეოლოგიისა და რელიგიური რადიკალიზმის გავრცელების მიზეზებს ეგვიპტე-სირიის მაგალითზე. გაანალიზებულია შემდგომი ძირითადი ფაქტორები: სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, რელიგიური, აგრეთვე, შიდა და გარე ძალების როლი.

ბოლო პერიოდში საქართველოშიც შეინიშნება რადიკალური რელიგიურ-ნაციონალისტური და ანტი-დასავლური მოძრაობების გააქტიურება. მოსხენებაში დამუშავებული მასალების გაანალიზების შედეგად, განსხვავებულთან ერთად შეიმჩნევა გარკვეული ანალოგიები განმაპირობებელ ფაქტორებში. შესაბამისად, საკონფერენციო თემის მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმობა ზემოთ აღნიშნული ფაქტორებისა და მათგან გამომდინარე შედეგების შედარებით ანალიზს.

გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოში ბოლო დროს გააქტიურებული რადიკალური და ნეონაციონალისტური მოძრაობებისა და იდეოლოგიის შესახებ არ არსებობს რაიმე სახის სამეცნიერო ლიტერატურა და კვალიფიციური ანალიტიკური კვლევები, მასალების გარკვეული ნაწილის დამუშავებისას, მიუხედავად სიმწირისა, დავეყრდენით მასმედიაში არსებულ ინფორმაციებს (არსებობს უცხოური საინფორმაციო სააგენტოების მიერ მომზადებული სიუჟეტებიც, მაგ., BBC); ძირითადად კი გავიზიარებთ კინგს კოლეჯთან არსებული რადიკალიზმისა და პოლიტიკური ძალადობის შემსწავლელი საერთაშორისო ცენტრის კვლევითი გამოცდილებას. კერძოდ, აღნიშნული ცენტრი სირიაში ქვეყნის გარედან რეკრუტირებულ ჯიჰადისტთა მოტივაციის კვლევისას, თავიდან ბოლომდე ეყრდნობოდა მათ აქტივობას სოციალურ ქსელებში. კვლევის პროცესში ჩვენც გადავარჩიეთ ყალბი ანგარიშები, ე.წ. „ტროლები“ და, ზემოთ ხსენებული ცენტრის მსგავსად, დავეყრდენით მხოლოდ იმ პირების სოციალურ გვერდებს, რომელთა არსებობაც ნამდვილად დასტურდება მათი გადაადგილებით, აქტივობებით, ფოტოებით, ვიდეოებით, მეგობრების, ოჯახის წევრებისა და ნათესავების განცხადებებით.

რაც შეეხება ანალოგიებს, სამეცნიერო ლიტერატურიდან და ანალიტიკური ნაშრომებიდან ცნობილია, რომ ახლო აღმოსავლეთში ანტიდასავლურ განწყობებს სხვა გამომწვევებთან ერთად, ძირითადად განაპირობებდა ის, რომ ისლამური რადიკალიზმის უკანასკნელი ტალღის ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორები იყო 1. ბრძოლა დასავლური კულტურული ექსპანსიის წინააღმდეგ; 2. ეგვიპტესა და სირიაში, უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე ადგილობრივ მოსახლეობას და მათ შორის ახალგაზრდობას უწევდა მძიმე სოციალურ გარემოში, განვითარების პერსპექტივის გარეშე ცხოვრება, რასაც თან ერთვოდა დიქტატორული რეჟიმების მმართველობა. ვინაიდან ეგვიპტის რეჟიმი ითვლებოდა დასავლური კურსის მატარებლად, მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის პრობლემების სათავეს არა საკუთარი ხელისუფლება, არამედ მისი მხარდამჭერი დასავლეთი წარმოადგენდა. სირიის შემთხვევაში პროირანული და პრორუსული ალავიტური რეჟიმის მხარდამჭერთა აზრით, სამოქალაქო დაპირსპირების მიზეზი არა ასადების კლემენტარულ-დიქტატორული რეჟიმი და ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევები, არამედ დასავლეთისგან დაფინანსებული ოპოზიციური ძალები იყო.

საქართველოს შემთხვევაში, უპირველეს ყოვლისა, უნდა გამოვყოთ შემდეგი ფაქტორები: ანტიდასავლურად განწყობილი მოქალაქეების განცხადებები, მათი აქტიურობა მასმედიაში, სოციალურ ქსელებსა და სხვადასხვა საპროტესტო აქციებზე; ყოველივე ეს მოწმობს იმას, რომ ისევე, როგორც ზემოთ აღნიშნული ახლო აღმოსავლეთის ორ ქვეყანაში, მათი უმრავლესობა დაუსაქმებელია. მათი უმრავლესობა ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ უარყოფითადაა განწყობილი, რისი მიზეზიც, მათვე აზრით, დასავლური კულტურული ექსპანსიის ხელშეწყობაა.

დასკვნით ნაწილში შევეცდებით, ეგვიპტის, სირიისა და საქართველოს მაგალითზე დაკვირვებით განვმარტოთ, თუ რა ფაქტორებმა გამოიწვია საზოგადოებრივი ინსტიტუტების დასუსტების ნიადაგზე შექმნილი იდეოლოგიური ვაკუუმის შევსება ანტიდასავლური მოწოდებებითა და რელიგიური, ნაციონალისტური რადიკალიზმით.

ქეთევან გურიანი

საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, საქართველო

პირველი თურმეობითი თანამედროვე სვანური მძვინვარების მონაცემთა მიხედვით

წარმოდგენილი კვლევის მიზანია I თურმეობითის სახელით ცნობილი მწკრივის დიასისტემური ანალიზი, კერძოდ:

- ოთხივე სვანური კილოს მიხედვით პირველი თურმეობითის მწკრივის ფორმათა ფუნქციურ-სემანტიკური და ფორმოზოგი დახასიათება;
- ერთი მხრივ, სვანურ კილოებს შორის არსებული მსგავსება-განსხვავების, ხოლო, მეორე მხრივ, სვანურ კილოებს, ქართულ სალიტერატურო ენასა და სხვა ქართველურ ქვესისტემებს შორის არსებული მიმართების წარმოჩენა;
- საერთოქართული კანონზომიერებებისა და საკუთრივ სვანური კილოებისთვის ნიშანდობლივი მახასიათებლების წარმოჩენა.

რეპრეზენტაციული მასალის გაანალიზებისა და შესწავლის შედეგად დადგინდა: **I თურმეობითის** წარმოების წესი სვანურ კილოებში **საერთოქართულია**: საყრდენად გამოყენებულია:

ა) II სერიის ფუძე (არქაული ვითარების მსგავსად),

ბ) I სერიის ფუძე (თანამედროვე სალიტერატურო ქართულის მსგავსად).

საერთოა აგრეთვე: გარდამავალ ზმნათა ინვერსიულობა, გარდაუვალ ზმნათა მეშველზმნიანი წარმოება არქაული ქართულის ყალიბით (მიმღეობა პირის ნიშანს არ დაირთავს, მეშველი ზმნა კი უღლებადია). იდენტურია მწკრივის მანარმოებელი -ა სუფიქსიც. განსხვავებას გვიჩვენებს მწკრივის წარმოებისას გამოვლენილი სუფიქსები (-ენ/-ელ, -ალ). ძირითადად ზოგადქართულია I თურმეობითის ფუნქციურ-სემანტიკური მახასიათებლებიც: უნახავი მოქმედება (ევიდენციულობა), წარსული დროის თხრობითი კილოს შინაარსი, შედარებით იშვიათად: განგრძობითობა, მრავალგზისობა, მომავალი დრო და ბრძანებითი კილო (დალოცვა-წყევლის სემანტიკის შემცველ კონსტრუქციაში).

სალომე დავითულიანი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

პოსტმოდერნისტული რეალობა ჰაროლდ პინტერის პიესაში „შინ დაბრუნება“

მოხსენებაში განხილული იქნება მესამე ათასწლეულის სამყაროს მახასიათებლები. ყურადღება გავამახვილებთ პოსტმოდერნიზმის ეპოქაზე, იმ პერიოდზე, რომელშიც სამყაროსათვის სრულიად განსხვავებულმა ღირებულებებმა იჩინა თავი. გადმოცემულია, თუ როგორი თავისებურებებით ხასიათდება პოსტმოდერნისტული ეპოქის ლიტერატურა, აღნიშნულია მისი მახასიათებლები.

ნაშრომის ძირითად საკვლევ თემას წარმოადგენს მე-20 საუკუნის ცნობილი ბრიტანელი ავტორის – ჰაროლდ პინტერის პიესა „შინ დაბრუნება“ („The Homecoming“), სადაც ავტორისეული სტილი და წერის მანერა მიჩნეულია ადრეული პოსტმოდერნიზმის მახასიათებლად.

პიესაში ჰაროლდ პინტერი წარმოადგენს ადამიანთა ჯგუფს, ე.წ. „ოჯახს“, რომლებიც სრულიად გაუცხოებულები არიან ერთმანეთთან და არა მხოლოდ ერთმანეთთან: ძალიან ხშირად მათ საკუთრი იდენტობის აღქმაც კი უჭირთ. პინტერი იყენებს უმარტივეს ლექსიკასა და ყოველდღიურ თემატიკას დიალოგებისთვის; ამ დიალოგებიდან გამომდინარე, მკითხველს/მსმენებელს მარტივად შეუძლია გააანალიზოს, როგორ შორსაა ეს ყველაფერი ქვეყნარტი ოჯახური ურთიერთობებისგან.

აღსანიშნავია რომ, მათი ფიქრებისა და ქმედებების ორაზროვნება, ასევე, მათი განუსაზღვრელობა შესაძლოა, პოსტმოდერნიზმის ერთ-ერთ მახასიათებლად მივიჩნიოთ, ისევე, როგორც სხვა ზემოთჩამოთვლი-

ლი ელემენტები. მნიშვნელოვანია, პინტერის წერის მანერა – „პაუზებისა“ და „სიჩუმის“ გამოყენება სრულიად ცვლის პიესის აღქმას. მოგვიანებით, ამ სტილს თეატრის კრიტიკოსებმა „პინტერის პაუზა“ დაარქვეს. მისი ასეთი საოცარი წერის სტილითა და სიმარტივით, პინტერი ნამდვილად ახერხებს დაგვაფიქროს იმ რეალობაზე, რომელშიც ვცხოვრობთ და იმაზე თუ რამდენად ნამდვილია ეს ყველაფერი.

რამდენად სწორად აღვიქვამთ ამა თუ იმ მოვლენას იქნება ეს ყოფითი, თუ რაიმე ბევრად უფრო მნიშვნელოვანი და ღირებული, მაგალითად როგორცაა შექსპირისეული ფრაზები და პლატონისეული იდეები.

ნაშრომის მიზანია, განსაზღვროს ის ძირითადი ელემენტები, რომლებიც ნამდვილად ადასტურებს იმ აზრს, რომ პიესაში გვხვდება პოსტმოდერნისტული საწყისები და ეს საწყისები, თავის მხრივ, ძალიან ახლოსაა თანამედროვე სამყაროს რეალობასთან.

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ იმ სამყაროში, სადაც დღეს ვცხოვრობთ და სადაც რთულია გაარჩიო ზღვარი რეალობასა და აბსურდს შორის, პინტერის პიესების კვლევა საკმაოდ მნიშვნელოვანია. იგი უაღრესად მნიშვნელოვანი ფიგურაა ლიტერატურისა და დრამატურგიისთვის.

ეკატერინე დიასამიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

ქართული საეკლესიო გალობისა და ქართველთა კულტურული იდენტობის ურთიერთმიმართების საკითხისათვის

მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესის პირობებში მცირე ერების ენისა თუ კულტურული მემკვიდრეობის წარმოჩენისა და ცალკეულ შემთხვევებში – შენარჩუნების საკითხი დადგა. აღნიშნულ პროცესში უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს ამა თუ იმ კულტურული ფენომენის მეცნიერულ შესწავლას. ამგვარი კვლევა ტრადიციული კულტურის თვითმყოფადობის ობიექტურ წარმოჩენასა და მსოფლიო ცივილიზაციაში მისი როლის განსაზღვრას ემსახურება.

XIX საუკუნიდან საფუძველი ეყრება კულტურულ ღირებულებათა ერთიანი სისტემის მქონე ეთნოგრაფიული ჯგუფების სიღრმისეულ შესწავლას სოციოლოგთა და ანთროპოლოგთა მიერ პრინციპით – „ვის გაგხარ და ვისგან განსხვავდები“. სამეცნიერო კვლევაში მსგავსებისა და იგივეობის კონცეფცია წინა პლანზე გამოვიდა და იმან, თუ ვისთან იზიარებ მშობლიურ ენას, ვისთან გაქვს საერთო კულტურული ტრადიციები – კვლევისთვის საჭირო მნიშვნელობა შეიძინა. საკვლევი ჯგუფების განსაზღვრაში ეთნიკური მხარე განსმარებულ მახასიათებლად იქცა.

იდენტობის თემამ არა თუ შეინარჩუნა, არამედ კიდევ უფრო მეტი აქტუალობა შეიძინა, რასაც, ვფიქრობთ, უპირატესად, ზემოაღნიშნული გლობალიზაციის პროცესი განაპირობებს. საეკლესიო გალობას ქართულ კულტურულ მემკვიდრეობაში ერთ-ერთი განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მისი თანამედროვე მდგომარეობის შესწავლა უდავოდ მნიშვნელოვანია როგორც უშუალოდ მუსიკოლოგიური, ისე მომიჯნავე დარგების საფუძველზე განხორციელებული კვლევის კონტექსტში. ქართული საეკლესიო გალობის თანამედროვე მდგომარეობის შესასწავლად ისეთი ფოკუს-ჯგუფი შევარჩიეთ, რომელიც, ვფიქრობთ საკვლევ საკითხთან დაკავშირებულ ყველა ასპექტს სრულყოფილად ასახავს. ფოკუს-ჯგუფში შედიან როგორც მუსიკალური განათლების მქონე, ისე მისი არმქონე პირები; სწორედ ამ თვალსაზრისით არის ჩვენთვის საინტერესო, თუ რა ნიშნის ქვეშ გაერთიანდნენ ეს ადამიანები, რა როლს ასრულებს ამ გაერთიანებაში ტრადიციული სიმღერა-გალობა, რამდენად ახლოს დგას დღევანდელი ქართველი მის „მრავალხმიანად მოაზროვნე წინაპართან“ მრავალხმიანი მუსიკალური აზროვნების თვალსაზრისით.

მოხსენებაში განვიხილავთ 200-მდე ინფორმანტის გამოკითხვის შედეგად მიღებულ პასუხებს, რაც ობიექტურ სურათსა და საკმაოდ სრულყოფილ წარმოდგენას გვიქმნის ქართული საეკლესიო გალობის თანამედროვე მდგომარეობის შესახებ.

თამარ დობრაშვილი, გიორგი ბერძულაშვილი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

უმცროსკლასელთა აქტიური სწავლება განმავითარებელი და საგანთაშორისი კავშირების მქონე ეკოლოგიური შინაარსის მათემატიკურ ამოცანათა სისტემებით

მეთოდურად გამართლებულია უმცროსკლასელთა სასწავლო პროცესში განმავითარებელი და საგანთაშორისი კავშირების მქონე ეკოლოგიური შინაარსის მათემატიკური ამოცანების ჩართვა, კონკრეტულად იმ სასწავლო თემების გავლის დროს, როცა განიხილება შესაბამისი შინაარსის მქონე მათემატიკური ამოცანები. ასე წარმართული სასწავლო პროცესი არ მოითხოვს დამატებითი სასწავლო დროის გამოყოფას, სწავლების პროცესს სისტემური სახე ეძლევა, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ სწავლებასა და ახალი ცოდნის მიღებას; შედეგად, შესაძლებელი ხდება შესაბამისი მეთოდური რეკომენდაციების შემუშავება. ასევე, მიზანშეწონილია განმავითარებელი და საგანთაშორისი კავშირების მქონე ეკოლოგიური შინაარსის მათემატიკური ამოცანების განხილვა კლასგარეშე, ფაკულტატიური და მათემატიკის საგნობრივი წრეების მეცადინეობებზე.

ეკოლოგიური შინაარსის მათემატიკურ ამოცანათა სისტემების შედგენისას ვისარგებლეთ ჩვენ მიერ შემუშავებული ორიგინალური სქემით: ეკოლოგიის საკითხების შესახებ თეორიული ცოდნის გადაცემა, სხვა საგნიდან ეკოლოგიური შინაარსის მქონე მათემატიკური ამოცანის (რომლის პირობა კავშირშია სხვა საგნის თეორიიდან მიღებულ ცოდნასთან) მიწოდება, დასმული მათემატიკური ამოცანის ამოხსნა ამოხსნილი ამოცანის პასუხის ჩანერის შემდეგ, არსებული ცოდნის გაღრმავების მიზნით მოსწავლეთათვის წინასწარ შედგენილი შეკითხვების დასმა.

ჩვენ შევადგინეთ განმავითარებელი და საგანთაშორისი კავშირების მქონე 1200-ზე მეტი მათემატიკური ამოცანა დანყებითი სკოლის ყველა კლასისათვის, მათ შორის: მარტივი და შედგენილი ამოცანები ერთნიშნა და მრავალნიშნა რიცხვებზე, თავსატეხი და ლოგიკური ამოცანები, ამოცანები რიცხვის რამდენჯერმე გაზრდა-შემცირებაზე, ამოცანები მოძრაობაზე, ეკოლოგიური შინაარსის სახუმარო მათემატიკური ამოცანები, ამოცანები პროცენტების პოვნაზე, ორი ნამრავლის ჯამის პოვნაზე, კომბინატორული შინაარსის მქონე ამოცანები, ამოცანები ფრინველებზე, თევზებზე, გარეულ და შინაურ ცხოველებზე, მცენარეებზე, მწერებზე...

ჩატარებული პედაგოგიკური ექსპერიმენტით დადასტურდა, რომ განმავითარებელი და საგანთაშორისი კავშირების მქონე ეკოლოგიური შინაარსის მათემატიკურ ამოცანათა სისტემების ჩართვით სასწავლო პროცესი უფრო აქტიური, საინტერესო და მრავალფეროვანი ხდება უმცროსკლასელთათვის, ფართოვდება მოსწავლეთა სამეცნიერო თვალსაზრისი და მაძიებლობის უნარი; აღნიშნული მიდგომა არ მოითხოვს დამატებით სასწავლო დროს და ხელს უწყობს საქართველოში მიმდინარე განათლების რეფორმის წარმატებით განხორციელებას.

ნათია ზოიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

მეხსიერების მნიშვნელობა ვირჯინია ვულფის რომანში „გზა შუქურისაკენ“

მოდერნიზმი, როგორც ლიტერატურული მიმდინარეობა ხასიათდება დანაწევრებულობის სიყვარულით. ის უფრო მთელის დაშლას ემსახურება, ვიდრე ნაწილების გამთლიანებას. მოდერნიზმი, რა თქმა უნდა, ქმნის ახალ მთელს, თუმცა სიმულაციურს, სრულიად განსხვავებულს, არსებული მასალისაგან შექმნილ ნოვაციას. მოდერნიზტი მწერალი ვირჯინია ვულფიც არ გახლავთ გამონაკლისი. მისი ყველა რომანი გამოირჩევა მეხსიერების სიღრმისა და გმირის ქვეცნობიერი თუ ცნობიერი მონოლოგებისადმი განსაკუთრებული ერთგულებით.

„გზა შუქურისაკენ“ მეხსიერებასთან თამაშია, მოცემული რომანისათვის მეხსიერება ფუნდამენტური მნიშვნელობისაა, რადგან რომანი შექმნილია, ერთი მხრივ, გმირების მეხსიერების, ხოლო, მეორე მხრივ – თავად ავტორის „მეხსიერების ნაგლეჯებისაგან“. თავად ავტორი აღიშნავს, რომ რომანი, ნაწილობრივ, ავტობიოგრაფიულია.

მოხსენებაში წინა პლანზე იქნება წამოწეული მეხსიერების, როგორც ინსტრუმენტის როლი რეალობის შექმნისა და შეცვლის პროცესში. წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს მე-20 საუკუნეში არსებული მეხსიერების კვლევის რომანთან მსგავსების წარმოჩენას.

შორენა თავაძე, ნინო მებანეიშვილი

კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, საქართველო

ხელნაწერთა საცავების სტრუქტურული და თემატური მრავალფეროვნება და ფონდების დაცვის თავისებურება

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ფონდები დაცულია ოთხ საცავში: ქართულ ხელნაწერთა საცავი, ისტორიული დოკუმენტებისა და უცხოენოვან ხელნაწერთა საცავი, საზოდადო მოღვაწეთა პირადი საარქივო ფონდებისა და ფოტო-მიკროფირების საცავი. თითოეული მათგანი გამოირჩევა თემატური და სტრუქტურული მრავალფეროვნებითა და კონსერვაციის სხვადასხვაობით, რაც გამოწვეულია დაცული ფონდების ფაქტურის ნაირგვარობით.

წყაროების დაცულობისათვის უმნიშვნელოვანესია ყველა ტექნიკური პარამეტრის – კლიმატკონტროლისა და ფონდების განლაგების ცოდნა. იმის მიხედვით, თუ რა ფაქტურაზეა შესრულებული ხელნაწერი (პაპირუსზე, ეტრატსა თუ ქალაღზე), რა ფორმითაა წარმოდგენილი ხელნაწერი (წიგნისა თუ გრაგნილის სახით), ფოტოფირია თუ – მიკროფირი, შეირჩევა განსხვავებული ტემპერატურა, განათება, განლაგება, თაროებისა და შესანახი კარადების მასალის შერჩევა ხელნაწერებსა და თაროებს შორის; ასევე, აუცილებელია თაროებსა და იატაკს შორის საერთაშორისო სტანდარტებით მიღებული მანძილის დაცვა. ხელნაწერთა კონსერვაციისათვის მნიშვნელოვანია ტემპერატურის, ტენიანობის, ხელნაწერების დახრის ტრაექტორიის, განათების საერთაშორისო სტანდარტებით მიღებული რეჟიმის გათვალისწინება გამოფენის დროს.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სარესტავრაციო ლაბორატორიის თანამშრომელთა მრავალწლიანმა დაკვირვებამ და გამოცდილებამ, ასევე, მსოფლიოს სხვადასხვა საარქივო ფონდებში დამკვიდრებულმა ტრადიციამ აჩვენა, რომ სასურველია ცალ-ცალკე ბლოკში ინახებოდეს ქალაღზე, ეტრატსა და პაპირუსზე შესრულებული ხელნაწერები, სხვადასხვა ბლოკში უნდა განთავსდეს ფოტომასალა და მიკროფირები. თითოეულ საცავს უნდა ჰქონდეს ე.წ. ბუფერული ზონა და დაზიანებული ხელნაწერებისათვის სამუშაო ოთახი. სასურველია, დაცული იყოს განლაგების თავისებურება საცავებსა და სამკითხველო დარბაზს შორის, რათა სხვაობამ საცავის, დერეფნისა და სამკითხველო დარბაზის ტენიანობასა და ტემპერატურას შორის არ გამოიწვიოს ხელნაწერთა სტრუქტურული ცვლილება.

სოფიო თოთიბაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

ზღაპარი, როგორც პოლიტიკური დისკურსის ერთ-ერთი გამოვლინება

პოლიტიკური დისკურსი გვხვდება ისეთ ანტიკურ ავტორებთანაც კი, როგორცაა არისტოფანე და პლატონი. მის მთავარ თემებს წარმოადგენს თანამედროვე მმართველი ძალის, მისი პოლიტიკისა თუ უსამართლობის კრიტიკა და სოციალური პრობლემების აქტიური განხილვა. პოლიტიკური ამბავი ერთ-ერთი მთავარი თემაა ისეთ მწერლებთან, როგორცაა ჯონათან სვიფტი, ტომას მური, ჯორჯ ორუელი და სხვა მრავალი.

ზღაპარს, რომელიც, ერთი შეხედვით, განკუთვნილია ბავშვებისათვის, დიდი რაოდენობით ქვეტექსტი, მათ შორის, სოციალური და პოლიტიკური, ახასიათებს. მაგალითად, სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ძმები გრიმების ლიტერატურულმა საქმიანობამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა გერმანული იდენტობის ჩამოყალიბებაში. თავიანთი ზღაპრებით ისინი შეფარვით იბრძოდნენ ფრანგული ოკუპაციის წინააღმდეგ და მიაჩნდათ, რომ ნაციონალისტური გრძნობების გაღვივებით მოახერხებდნენ ბავშვებისთვის, და არა მხოლოდ მათთვის, კულტურული იდენტობის გაძლიერებას.

როგორც ცნობილია, ძმები გრიმების ნაციონალური პროპაგანდა, მოგვიანებით, ნაციისტურში გადაიზარდა. მიუხედავად ამისა, ამით შეიძლება იმის დამტკიცება, რომ ზღაპრებს საკმაოდ მარტივად შეუძლიათ მკითხველს ჩაუნერგონ ცრურწმენები და გარკვეული იდეოლოგია.

ჯორჯ ორუელის „ცხოველების ფერმა“ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ალტერნატიული „ზღაპარია“, რომელშიც ავტორი საბჭოთა კავშირისა და სტალინიზმის წინააღმდეგ იბრძვის. ოსკარ უაილდის ზღაპრები კი აღიარებულია, როგორც თავისი დროის საუკეთესო პოლიტიკური ნაწარმოები.

წინამდებარე კვლევა ეყრდნობა ძმები გრიმების, ოსკარ უაილდისა და ჯორჯ ორუელის პოლიტიკური ზღაპრების მაგალითებს, რომელთა საფუძველზეც მოხსენებაში მიმოვიხილავთ პოლიტიკური ზღაპრის მზარდი პოპულარულობის მიზეზებს.

ნათია იაკობიძე

საქართველოს სამოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, საქართველო

ბრალის კონსეპტური სტრუქტურის საკითხები ქართულში

ლექსიკა ენის ყველაზე მგრძობიარე ნაწილს წარმოადგენს. იგი პირდაპირ ასახავს სოციალურ ყოფას. ენაში ახალი სიტყვების წარმოქმნა, გაქრობა ან ლექსიკური ერთეულების პასიურ მარაგში გადასვლა ხშირად სოციალურ-კულტურულ ფაქტორებს უკავშირდება. ენის ისტორიის აღწერა დაკავშირებულია საზოგადოების ეთნიკურ ისტორიასთან. ხალხის კულტურა და ზნე-ჩვეულებები გავლენას ახდენს ენაზე, ენა კი ქმნის ნაციას.

ბრალის ლექსიკურ-სემანტიკურ ბუდეში ქართულში შემდეგი ძირითადი სემანტიკური მიმართულებები გამოიყოფა: 1) ცოდვა – ბრალი, შებრალება, შემბრალებელი, შებრალებული; 2) დადანაშაულება – ბრალდება, ბრალმდებელი, ბრალდებული, ბრალი დასდო.

ცოდვის მნიშვნელობა შემორჩენილია სიტყვაში – შებრალება, რაც შეცოდებას ნიშნავს.

ბრალი იურიდიული ტერმინია. იგი აღიარების, დანაშაულის დადასტურების წინაპირობაა. ბრალი სიტყვათშეხამებებში აქტიურ კომპონენტს წარმოადგენს (ბრალი დასდო, ბრალი მიუძღვის და ა.შ.).

მოხსენებაში წარმოვადგენთ ბრალის, როგორც ლექსიკურ-სემანტიკურ, ისე სინტაქსურ ანალიზს.

თამარ კახეთელიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

ლიტერატურული ტექსტის დიალოგური სეგმენტის ფილმის სცენარში ფორმირების საკითხისათვის

ინტერმედიალობის ცნება თანამედროვე სამეცნიერო სივრცეში, განსაკუთრებით მედიამეცნიერებებში, ლიტერატურათმცოდნეობასა და ენათმეცნიერებაში აქტუალური ხდება, რომელშიც მოიაზრება განსხვავებული მედიათა ინტერაქცია, მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნიშნულია სინთეზური გატექსტების პროცესი: ლიტერატურული ტექსტიდან ფილმის სცენარამდე.

ინტერმედიალობაზე მსჯელობისას ვეყრდნობით იოახიმ პეხის „ინტერმედიალობის“ განმარტებას, სადაც ავტორი ცდილობს, ამომწურავად ჩამოაყალიბოს ინტერმედიალობა, როგორც მედიათაშორისი მიმართებების მრავალგანზომილებიანი პროცესი, რომელიც იძლევა აღწერის, დაკვირვებისა და ანალიზის შედეგების გამოყენების საშუალებას.

ხშირია ლიტერატურული ტექსტის ეკრანიზაცია, რომელშიც სცენარისტი ეყრდნობა ლიტერატურულ სიუჟეტს. ლიტერატურული ტექსტისგან განსხვავებით ფილმი ამბავს გვიყვება ვიზუალურად განსხვავებული სცენური ხერხების საშუალებით. აღსანიშნავია ისიც, რომ მხატვრული ტექსტის ნარატივის ფილმში ტრანსფორმირების პროცესში დროისა და მოქმედების ადგილი, მოქმედებათა თანამიმდევრობა, შინაარსობრივი, ენობრივი სტრუქტურა ცვლილებას განიცდის, ვინაიდან ორი ურთიერთგანსხვავებული მედიის მიმართება ამ ცვლილებას თავისთავად გულისხმობს, სადაც იკვეთება სწორედ ის კონტრასტი, რომელიც გამოხატავს

კონკრეტული ტექსტის სახეობის/ჟანრის თავისებურებას. ფილმის სცენარისა და ლიტერატურული ტექსტის სემიოტიკური სისტემა მკვეთრად გამიჯნულია ერთმანეთისაგან და მათი ურთიერთმიმართება ერთგვარ ვარიაციულ პროცესს ქმნის – ლიტერატურული ტექსტის ნიშნები ფილმის ენასა და ნიშანთა სისტემაში აისახება განსხვავებული საშუალებებით, რაც განაპირობებს არა მხოლოდ ტექსტის შინაარსობრივი ასპექტის ცვლილებას ფილმის მოძრავე კადრში, არამედ რიგ შემთხვევაში კონცეპტუალური დეტალების გადააზრებას მედიათა სპეციფიკიდან გამომდინარე.

კვლევის მიზანია ლინგვისტურ ჭრილში განვიხილოთ ლიტერატურული ტექსტისა (ერის კესტნერის „Das doppelte Lottchen“) და მის საფუძველზე ი. ფონ ბაკისა (1950) და ი. ვილსმაიერის (1994) რეჟისორობით გადაღებული ფილმის სცენარი. შესწავლის მიზნით, წინა პლანზე წამოიწია დიალოგური ტექსტების შედარებითმა ანალიზმა, რასაც მეთოდოლოგიურად საფუძველად ედება კ. ბრინკერს ზაგერის დიალოგური ტექსტის მრავალდონიანი ლინგვისტური ანალიზი. მოხსენებაში ყურადღება გამახვილებულია არა მხოლოდ სტრუქტურასა და ფუნქციაზე, არამედ თავად დიალოგური ტექსტის წარმოქმნის პროცესებზე. მეორე მხრივ, აღსანიშნავია კ. კანცოგის ფილმის ფილოლოგიური შტუდიები. ავტორი ლიტერატურის ეკრანიზაციას განიხილავს, როგორც ანალოგიას ლიტერატურულ მასალასთან, რომელიც ინტერპრეტაციას წარმოადგენს, ამ პროცესს კი ტრანსფორმაციად მოიხსენიებს, სადაც ინფორმაცია იკარგება ან იქმნება ახალი ვარიანტები. საანალიზო ტექსტებში იკვეთება შინაარსობრივი ასპექტის ცვლილება, რაც კარგად ჩანს მეორე ფილმის სცენარის მონაკვეთში, რომანისაგან განსხვავებით მოქმედება იწყება ადვოკატებთან მოლაპარაკებით.

ანალიზის შედეგად ვლინდება, რომ დიალოგური ტექსტები ფილმის სცენარი ფორმირებისას ენის ეკონომიურობის პრინციპიდან გამომდინარე ხშირად მოკლე, ელიფსური წინადადებებით იგება და მინიმუმამდეა დაყვანილი რთული სინტაქსური კონსტრუქციები. საანალიზოდ შერჩეული მონაკვეთების დიალოგები განიცდიან გარკვეულ ცვლილებას, ვინაიდან მოქმედება, ნაწილობრივ, ავსტრიაში ვითარდება, გვხვდება ავსტრიული ლექსიკური ერთეულები, რაც ფილმის სცენარში არ ვლინდება. უნდა აღინიშნოს, რომ ფილმის სცენარის ბაკისეული ვერსია გარკვეულწილად მიყვება ლიტერატურულ ტექსტს; აღსანიშნავია, ასევე, მთხრობლის ჩართვა ფილმის სცენარში, რაც მონოლოგური ტექსტის შენარჩუნების საშუალებას იძლევა; რაც შეეხება მეორე ფილმის სცენარს როგორც მონოლოგური, ასევე დიალოგური ტექსტურა ლიტერატურულ ტექსტთან მიმართებაში სრულიად არათანხვედრია, იცვლება მოქმედებათა თანმიდევრობა, დრო, სივრცე (ბანაკი – შოტლანდიაში და არა ზეებიულში). დიალოგური ტექსტი გაჯერებულია ახალგაზრდული მეტყველებისთვის დამახასიათებელი ლექსიკით (Musik gasen, Song). მთხრობელი ვილსმაიერის ფილმის სცენარშიც გამოჩნდება, თუმცა, მხოლოდ ორ მონაკვეთში (განქორწინების ახსნა, ბედნიერი დასასრული).

სოფიო კაკუა

საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, საქართველო

ოდში-აფხაზეთის ტერიტორიაზე გავრცელებულ გვარსახელთა სტრუქტურული მოდელები ქართული სამართლის ძებლების მიხედვით

ქართული სამართლის ძებლები მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს საქართველოს შესახებ. შუა საუკუნეებში შედგენილი იურიდიული დოკუმენტები საყურადღებოა ქართველური გვარების კვლევის თვალსაზრისით, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია დადგინდეს ამა თუ იმ გვარის თავდაპირველი საბინადრო, მისი მიგრაციის გზა, ანდა ამ გვარის ნაწილის მიერ ენისა და ეროვნების ცვლის მიზეზი.

მოხსენებაში წარმოვადგენთ XVI-XVIII საუკუნეების ოდიშ-აფხაზეთის ტერიტორიაზე გავრცელებული გვარსახელების სტრუქტურულ ანალიზს.

სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა გვარსახელების მანარმოებელ სუფიქსთა წარმოშობასთან დაკავშირებით. ზოგიერთი ქართველი თუ აფხაზი მკვლევარი მათ ნაწილს აფხაზურ გენეზისს მიანერს, შესაბამისად, ამ სუფიქსებით ნანარმოები გვარებიც აფხაზურ წარმომავლობის კონტექსტში განიხილება.

ჩვენი მიზანია, გავარკვიოთ, თუ რა წარმოშობისაა ქართულ იურიდიულ საბუთებში დოკუმენტირებული გვარსახელები და როგორ იწარმოება თითოეული მათგანი. ანალიზი იმთავითვე გულისხმობდა მათი

ენობრივი წარმომავლობის გარკვევას და, ამ მიზნით, მათ შედარებას, ერთი მხრივ, ქართველური, კერძოდ, მეგრული და, მეორე მხრივ, აფხაზური გვარსახელების შესაბამის სტრუქტურულ მოდელებთან, რათა დაგვედგინა, თუ რომელი ენა და ეთნოსი ცხოვრობდა ამჟამინდელი აფხაზეთის ტერიტორიის იმ ნაწილზე, რომელზეც გავრცელებული იყო საანალიზო მასალა.

განუვლიო მუშაობის შედეგად დადგინდა, რომ:

1. საეკლესიო იურიდიულ საბუთებში საერთოდ არ დასტურდება აფხაზური წარმოშობის გვარსახელები, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ საანალიზო პერიოდში ამჟამინდელ აფხაზეთა წინაპრები არ იყვნენ ქრისტიანობის აღმსარებლები და, შესაბამისად, ქრისტიანული ეკლესიის მრევლის წევრნი, თუ მისი ყმები;

2. გამოვლინდა ისეთი ქართველური (მეგრული) წარმოების გვარსახელები, რომლებიც საფუძვლად უდევს აფხაზეთა შორის დღეს გავრცელებულ და აფხაზურ წარმოშობისად მიჩნეულ გვარებს;

3. საანალიზო დოკუმენტებში დადასტურებული გვარსახელების უმრავლესობას საფუძვლად უდევს ქართველური, ან გაქართულებული აპელატივებისაგან წარმოქმნილი სახელები, რომლებიც ინარმოებიან სხვადასხვა სუფიქსთა საშუალებით. ორივე მხარეში, როგორც ოდიშში, ასევე აფხაზეთში, ფუნქციონირებდა ყველა ის დაბოლოება, რომლებიც მიჩნეულია მეგრულ გვარსახელთა მანარმოებლებად: **-ია < -იან // ი-ა < ე-ა, -უა < უ-ა // -უ-ა < ო-ა, -ვა, -ში, -სქირ, -სქუა, -ბერი < ბერი;**

4. აღნიშნული სუფიქსები ქართული წარმოშობისაა და მათ შორის **არ დასტურდება აფხაზური წარმომავლობის არცერთი მაგვარსახელებელი დაბოლოება**, რაც მიუთითებს იმაზე, რომ დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართული მოსახლეობა იმ დროს ბლომად იყო და ატარებდა გვარსახელთა ეროვნულ მოდელებს. იმდროინდელი და ამჟამინდელი მორფოლოგიური ინვენტარის შედარება არ ქმნის არავითარ სხვაობას. ეს ადასტურებს იმ ფაქტს, რომ XVI-XVIII საუკუნეებში შედგენილი საეკლესიო საბუთები აბსოლუტური სიზუსტით ასახავენ ქართველურ სინამდვილეს.

ნათია კანჭიაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

1918-1921 წლების ქართული პოლიტიკური მჭვრემტყველებითი ტექსტების კრიტიკული დისკურსის ანალიზი (კდა)

თანამედროვე სამყაროში სულ უფრო აქტუალური ხდება პოლიტიკური ტექსტების კვლევა. ანალიზებენ სხვადასხვა რანგის პოლიტიკურ მოღვაწეთა გამოსვლებს, დებატებს, წინასაარჩევნო პროპაგანდასა და სხვა ტიპის პოლიტიკურ ტექსტებს. ამგვარი ტექსტების მთავარი მიზანი, როგორც წესი, საზოგადოებრივი აზრით მანიპულაციაა. კრიტიკული დისკურსის ანალიზი საშუალებას გვაძლევს გამოვავლინოთ სწორედ მსგავსი შემთხვევები.

მოხსენების ფარგლებში მიმოვიხილავთ საკითხის გარშემო არსებულ ნაშრომებს, რომელთაგან განსაკუთრებით საყურადღებოა: მ. ა. კ. ჰალიდის, ნ. ფერკლაუფისა რ. ვოდაკისა და სხვა მეცნიერებთა კვლევები. საკვლევ კორპუსად ავირჩიეთ ქართველ პოლიტიკოსთა 1918-1921 წლების საჯარო გამოსვლის სიტყვები, მათ შორის: მიხეილ მაჩაბლის, ნოე ჟორდანიას, კარლო ჩხეიძის, გრიგოლ ლორთქიფანიძის, შ. მესხიშვილის, ნ. იმნაიშვილის, ივ. გობეჩიას, სპ. კედიას, ივ. გომართელის და სხვათა პოლიტიკური მჭვრემტყველების ნიმუშები. მ. ა. კ. ჰალიდის თეორიის მიხედვით, სტილისტური ანალიზის პროცედურა შეიძლება დაიყოს სამლოგიკურად გამიჯნულ ფაზად: ანალიზი, ინტერპრეტაცია და შეფასება. ენას აქვს მეტა-ფუნქციები, რომლებიც ყველა ენისთვის არის თანდაყოლილი. მეტა-ფუნქციები, თავის მხრივ, მოიცავს იდეურ ფუნქციას, ინტერპერსონალურ ფუნქციას და ტექსტუალურ ფუნქციას. ჩვენ მიერ შერჩეული პოლიტიკური ტექსტები სწორედ ამ ფუნქციების მიხედვით გავანალიზებთ.

ასევე ერთმანეთს შევუდარებთ თითოეული ტექსტის თავისებურებანი. მ. ა. კ. ჰალიდის სისტემური ფუნქციონალური გრამატიკის მიხედვით, შეგვიძლია შევაჯამოთ ქართველი პოლიტიკოსების საჯარო გამოსვლის სიტყვების ძირითადი თავისებურებანი. კვლევის საფუძველზე გამოვიტანეთ დასკვნები, რომლის მიხედვით, 1918-1921 წლების ქართველი პოლიტიკოსების საჯარო გამოსვლის სიტყვები მნიშვნელოვან მჭე-

ვრმეტყველებით ნიმუშებს წარმოადგენენ. საანალიზო მასალა ასახავს იმდროინდელ პოლიტიკურ პროცესებსა და აქვს დიდი ისტორიული ღირებულება, რაც წარმოჩინდა მათი შესწავლის პროცესში.

ავტორები ეფექტურად იყენებენ სხვადასხვა ენობრივ საშუალებებს თავიანთი გამოსვლების წარსამართად. კრიტიკული დისკურსის ანალიზით შეგვიძლია დავადგინოთ მიმართება ენას, იდეოლოგიასა და ძალაუფლებას შორის. ის გვაძლევს კვლევის ახალი მეთოდის გამოყენების საშუალებას, რათა შევისწავლოთ პოლიტიკური გამოსვლის სიტყვები. ამდენად, ღირებულება, მეტი ყურადღება მივაქციოთ 1918-1921 წლების ქართული პოლიტიკური მჭევრმეტყველების ფუნდამენტურ კვლევას კრიტიკული დისკურსის ანალიზის თვალსაზრისით.

რუსუდან კვარაცხელია

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

მეტაფორა XX საუკუნის ქართულ კინოში

ახალი, XXI საუკუნის გადმოსახედიდან, მეტად აქტუალურია გაანალიზდეს XX საუკუნის კინემატოგრაფის ზოგიერთი მთავარი ასპექტი, რომლებიც ისტორიული მოვლენების, მომხდარი და მიმდინარე პროცესების საკმაოდ მოცულობით სურათს ასახავენ. სწორედ 60-80-იან წლებში მთელი სიძლიერით გამოიკვეთა რიგი ტენდენციები, რომლებიც ისტორიული მოვლენებისადმი დამოკიდებულების ცვლასთან იყო დაკავშირებული. ხელოვნების ამ დარგს უნდა გამოემყლავნებინა მეტი „ინტერესი ადამიანისა“ და მისი შინაგანი სამყაროსადმი.

ადამიანის შინაგანი სამყაროს ასახვის მცდელობამ იმოქმედა კინოპოეტიკაზე, მოახდინა სახვითი საშუალებების „სემანტიზაცია“, რამაც აქტუალური გახადა პირობითი – მეტაფორული ხერხების გამოყენება. პირველ რიგში, სწორედ ეს იძლევა საშუალებას განვიხილოთ 60-80-იანი წლები, როგორც არსებითად თავისებური ეტაპი ქართულ კინემატოგრაფიაში.

მოხსენებაში გაანალიზებული და დასაბუთებული იქნება კინოგამოსახულების სტრუქტურა, მისი სხვაობა ენობრივი სტრუქტურისგან. ერთმნიშვნელოვნად, კინემატოგრაფიული მეტყველება თავისთავადი მოვლენაა, რომელიც განსხვავდება ლიტერატურული მეტყველებისგან, თუმცა, ერთიცა და მეორეც აზროვნების პროცესის ფორმალიზაციის აქტებს წარმოადგენს. კინოენის განმარტების სხვადასხვა ნიშანდობლობა, რომლებიც შესწავლის ლინგვისტრუქტურულ დონეებზე პოულობს საყრდენს, უეჭველად, იდეურ-შინაარსობრივ სტრუქტურებთან პროდუქტიული შედარებისთვის ფილოსოფიურ-სემიტიკურ საფუძვლებს უნდა ეყრდნობოდეს. განიხილება მეტაფორის ზოგადი დახასიათება და კინემატოგრაფიაში მისი ისტორია, რომელიც კინოენის შედარებით შესაძლებლობათა თანდანიობითი ათვისების პროცესს ასახავს.

მეტაფორის მექანიზმი და მასში ჩადებული პოტენციური შესაძლებლობები ცნებების ექსტრაპოლაცია და საკმაოდ ღრმა შეფასების მიცემის საშუალებას იძლევა. აქ ჩანს, თუ როგორ მყლავნდება მეტაფორის კავშირი მითოლოგიურ აზროვნებასთან და ტრანსფორმაციას განიცდის ხალხური ცნობიერების სიღრმეში. მეტაფორა საკვანძო ცნება ხდება შემოქმედებითი აზროვნების პროცესის განხილვისას, კონცეპტუალური სისტემების აგებისას. კინემატოგრაფიული მეტაფორის პრინციპების გამოვლენა კინომცოდნეობის ფილოსოფიასთან და ფილოლოგიასთან დაახლოების ჭრილში ხდება. კინოს შემსწავლელ მეცნიერებაში მეტაფორა განიხილება, როგორც ისტორიულად ცვალებადი და მოძრავი ცნება.

მოხსენებაში გავაანალიზებთ კინემატოგრაფიაში არსებულ მეტაფორის კატეგორიებს (პლასტიკური, დრამატული, იდეოლოგიური), ასევე, მის ზოგიერთ სახეს (ვიზუალურ-ხილული, აკუსტიკურ-ვერბალური), აგრეთვე მეტაფორა-დეტალს, კადრსშიდა მეტაფორას, მეტაფორა-კადრსა ან მეტაფორა-სამონტაჟე ფრაზას, მეტაფორა-ეპიზოდს, მეტაფორების ჯაჭვს ფილმის მხატვრულ ქსოვილში და მეტაფორა-ფილმს. ყურადღება დაეთმობა XX საუკუნის მნიშვნელოვან ისტორიულ პერიოდებს, როდესაც, მეტაფორა განიხილებოდა, როგორც მხატვრული აზროვნებისა და შემოქმედების უმნიშვნელოვანესი ელემენტი.

მარიამ კილანავა

ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო

ადაპტირებული მხატვრული ლიტერატურის მნიშვნელობა ქართულის, როგორც უცხო ენის სწავლების პროცესში

უცხო ენის სწავლების პროცესში ადაპტირებული ლიტერატურის გამოყენების საკითხი თანამედროვე სამეცნიერო საზოგადოებაში მეტად აქტუალურია. სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მხატვრული ლიტერატურის გამოყენებას როგორც ერთ-ერთ მნიშვნელოვან სასწავლო რესურსს უცხო ენის შესწავლის პროცესში. მეცნიერები მიიჩნევენ, რომ ადაპტირებული ლიტერატურის გამოყენება სწავლებისას ხელს მნიშვნელოვნად უწყობს ახალი ლექსიკური მარაგის ეფექტურ შესწავლას. ამასთან ერთად, ექსტენსიური კითხვისთვის გამიზნული ადაპტირებული ლიტერატურის გამოყენებას სწავლების პროცესში სხვა ლინგვისტური და კულტურული არგუმენტებიც ამყარებს: *ლინგვისტური არგუმენტები* - დამატებითი საკითხავი ლიტერატურა (ადაპტირებული სახით ენის ფლობის ყოველი დონისთვის) ექსტენსიური კითხვისთვის ქმნის შესაძლებლობას, ამაღლდეს ენის შემსწავლელის ზოგადი ენობრივი კომპეტენცია და გაიზარდოს ახალი ლექსიკური მარაგის უკეთ დამახსოვრების შესაძლებლობა; *კულტურული არგუმენტი*: შემსწავლელს მიეცეს საშუალება უკეთ გაეცნოს შესასწავლი ენის კულტურას და უკეთ ინტეგრირდეს მის სივრცეში. ლინგვისტურ თუ კულტურულ გამოწვევებს დღეს არსებული ქართულის, როგორც უცხო ენის სწავლებისთვის გამიზნული სხვადასხვა რესურსი გარკვეულწილად პასუხობს. როგორც ნესი, ქართულის, როგორც უცხო/მეორე ენის შესწავლა ხდება სხვადასხვა მიზეზით: 1. საკომუნიკაციო მიზნებისთვის, 2. საქმიანი და პირადი ურთიერთობებისთვის, 3. პროფესიის დასაუფლებლად 4. ქართულ საზოგადოებაში ინტეგრირებისთვის, ან 5. უკვე დავიწყებული მშობლიური ენის ხელახლა შესასწავლად. ზემოთ აღნიშნული მიზეზებიდან გამომდინარე ქართულის, როგორც უცხო ენის სწავლების სამიზნე ჯგუფები განსხვავდება ერთმანეთისგან. დღეს არსებულ სასწავლო რესურსთა დიდი ნაწილი დაკომპლექტებულია ქართული ენის გრამატიკული მასალით და საკითხებად დაყოფილი სასაუბრო თემებით. სწავლების პროცესში გამოიყენება მცირე მოცულობის თემატური, ინფორმაციული ხასიათის ტექსტები და დიალოგები. თუმცა უცხო ენის შესწავლის გრკვეულ ეტაპზე, შემსწავლელისთვის, მათი გაცნობა უინტერესო ხდება და იქმნება საჭიროება ახალი, დამატებითი საკითხავი მასალის არსებობისა. ენის ფლობის ზოგადევეროპული ჩარჩოს მიხედვით ადაპტირებული ქართული მხატვრული ლიტერატურა, საკითხავი მასალის სახით, ჯერ არც ერთ სასწავლო რესურსს არ გააჩნია, შესაბამისად ეს ერთ-ერთ გადასაჭრელ ამოცანად ისახება ქართული ენის სწავლების სრულყოფის საქმეში.

მარიამ მათიაშვილი, ანა კოლხიდაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

ქართული მართლწერის შემოწმებალი – შაქმის ტექნოლოგია და გამოწვევები

ბუნებრივი ენის კომპიუტერული დამუშავების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა შექმნა ისეთი ტექნოლოგიისა, რომელიც შესაძლებელს გახდის ავტომატურად შემოწმდეს და გასწორდეს შეცდომები ნებისმიერი ჟანრის დანერილ ტექსტში. აღნიშნული ტექნოლოგიის მნიშვნელობა დიდია, რამდენადაც ენასთან დაკავშირებული სხვა უფრო მაღალტექნოლოგიური პროდუქტის შესაქმნელად **სწორი ენობრივი ბაზა** საჭირო.

დანერილ ტექსტში შეცდომები შესაძლოა სხვადასხვა ტიპისა იყოს, მაგალითად:

- ა) სწრაფი ბეჭდვის დროს გამონეწეული **შემთხვევითი შეცდომები**; (მაგალითად, „ტმა“ – „თმის“ ნაცვლად);
- ბ) **გრამატიკული შეცდომები** სიტყვის ფარგლებში (მაგ., *კარქათ* – *კარგად* და *მისთ.*);
- გ) **სინტაქსური შეცდომები**.

აქედან გამომდინარე, წერილობითი ტექსტის ავტომატურად შემოწმებისა და შემსწორების ტექნოლოგიაზე მუშაობისას, პირველ რიგში, გასათვალისწინებელი და განსასაზღვრია, რა ტიპის შეცდომებზე ხდება მუშაობა – **შემთხვევითზე, მორფოლოგიურზე თუ სინტაქსურზე**.

ჩვენი კვლევის მიზანი ორივე მიმართულებით მუშაობაა – უნდა შეიქმნას, როგორც **მორფოლოგიური**, ისე **სინტაქსური მართლწერის შემმოწმებელი (ე.წ. „სპელჩეკერი“)**. ამჟამად, მუშაობა მიმდინარეობს მორფოლოგიური შეცდომების ავტომატური ამომცნობის შექმნაზე; ეს კი, როგორც აღინიშნა, საკმაოდ რთული პროცესია, რამდენადაც ამ ტიპის ტექნოლოგიის შექმნისათვის საჭიროა კონკრეტული ენის სპეციფიკის გათვალისწინება, მხედველობაში მიღება იმისა, თუ რამდენად მდიდარია კონკრეტული ენა მორფოლოგიურად.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად არსებობს სხვადასხვა ინტერდისციპლინური მეთოდები თუ მიდგომები, რომლებიც მოითხოვს ლინგვისტიკისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ინჟინრების ერთად მუშაობას. ლინგვისტიკის იმდენად, რამდენადაც, საჭიროა ენაში არსებული წესების ალგორითმებთან ჰარმონიზაცია. ამავე დროს, ბევრი ენისთვის საკმაოდ ეფექტურად მუშაობს **მანქანური სწავლების** მეთოდი, თუმცა ამისათვის საჭიროა ძალიან დიდი მოცულობის სწორი ტექსტური ბაზა, რაც ქართულისთვის, ემ ეტაპზე ძნელად მოსაპოვებელია: ინტერნეტში ხელმისაწვდომი ტექსტების ლია რესურსიც, ხშირ შემთხვევაში, შეცდომების შემცველია.

შესაბამისად, ჩვენ შევიმუშავეთ უფრო კომპლექსური მეთოდი, რაზეც ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა, კერძოდ, გარდა იმისა, რომ შეიქმნა მორფოლოგიური წესების ალგორითმები, ასევე მიმდინარეობს დიდი რაოდენობის სწორი სიტყვაფორმების დაგროვება ბაზაში. თითოეული სიტყვისთვის ჩვენ მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიით ავტომატურად ხდება მისი ფორმების გენერირება. ამ მეთოდს ეწოდება სიტყვათა ფორმირების (**word formation**) მეთოდი, ალგორითმს ნასწავლი აქვს ზოგადი მორფოლოგიური წესები მეტყველების ყველა ნაწილისათვის და ფუძის მითითებით ახდენს სიტყვის მთელი პარადიგმის აგებას, ასევე, გამოყოფს სიტყვის ძირს, ფუძეს, ლემას, მიუთითებს მეტყველების ნაწილს და აგენერირებს დამხმარე ფორმებსაც, მაგ., *ლამაზია* - ტიპის ფორმას.

ამდენად, პროექტი კვლევისა და დამუშავების პროცესშია, ვიმედოვნებთ, რომ უკვე რამდენიმე თვეში შევძლებთ კონკრეტული პროდუქტის წარდგენას და დეტალურ აღწერას ჩატარებული სამუშაოსა და გამოყენებული მეთოდოლოგიის შესახებ.

კვა მისურაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

ქართველი მუსლიმები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აჭარაში

XIX საუკუნის განმავლობაში მიმდინარე რუსეთ-თურქეთის ომების შედეგად ქართული მიწების დიდი ნაწილი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მოექცა. 1878 წელს ბერლინის საერთაშორისო კონგრესზე მიღებული ტრაქტატის შედეგად „ბრწყინვალე პორტამ“ რუსეთს დაუთმო ბათუმის ოლქი. ამ ფაქტმა ხელი შეუწყო ქართველი ერის კონსოლიდაციას, რომლის უმთავრესი პირობა იყო ენისა და ტერიტორიის ერთობა.

ქართული ენა გახდა ყველა სარწმუნოების ქართველის დამაკავშირებელი რგოლი. რუსეთის მიერ აჭარის შემოერთებას მოჰყვა მუსლიმი ქართველების ოსმალეთში გადასახლება-მუჰაჯირობა, რასაც ხელს უწყობდა როგორც რუსეთი, ასევე ოსმალური აგენტურა.

ჩემს მოხსენებაში განხილული იქნება ბათუმის ოლქში მცხოვრები ქართველი მუსლიმების იდენტობის ფორმირების პროცესში წამოჭრილი პრობლემები და ქმედებები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში. პრობლემები, ძირითადად, დაკავშირებული იყო პროთურქულად განწყობილ ქართველ მუსლიმებთან. მართალია, მოსახლეობის ეს ნაწილი უმცირესობაში იყო, მაგრამ ისინი საკმაოდ სახიფათო იყვნენ. მათ ქართული ჯარის წინააღმდეგ ბრძოლის გამოცდილებაც ჰქონდათ. სწორედ მათ შექმნეს ე.წ. „ჩეტნიკთა“ რაზმები და ოსმალურ ჯართან ერთად ებრძოდნენ დანარჩენ ქართველებს.

პროთურქული ქართველი მუსლიმი მოსახლეობის კეთილგანწყობის მოპოვება საკმაოდ რთული იყო. ასეთ პირობებში განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა ემოქმედა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებას. მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხის გარშემო მრავალი კვლევა ჩატარდა, დაიბეჭდა მრავალი სტატია, აქტუალობა მას დღესაც არ დაუკარგავს. ქართველი მოსახლეობის ნაწილში ისინი დღესაც არ აღიქმებიან ეთნიკურ ქართველებად და ერთიანი ეროვნული იდენტობის ნაწილად. მათ ისლამურ სარწმუნოებას თურქულ იდენტობასთან აიგივებენ. ხშირ შემთხვევაში კი ამას გარეშე ძალებიც უწყობენ ხელს. ისტორიული განვითარების პროცესში გამუდმებით ყალიბდება მეხსიერების ახალი მოდელები. აქედან

გამომდინარე, თითოეულ ერს ახასიათებს სხვადასხვა იდენტობა, რომლებიც შინაგანი ან გარეგანი ძალების ზემოქმედებით იცვლებიან დროისა და ადგილის შესაბამისად.

ჩემი მიზანია, კიდევ ერთხელ განვიხილო ქართველ მუსლიმთა იდენტობის ფორმირების პროცესი ისტორიულ ჭრილში, შევიტანო მცირე წვლილი ამ საკითხის ირგვლივ მოსახლეობის ცნობიერების დონის ამაღლებაში.

ჩემ მიერ განხორციელებული კვლევა, ძირითადად, საარქივო მასალაზეა დაფუძნებული. თუმცა, ასევე, დავიხმარე ამ თემის გარშემო არსებულ სამეცნიერო ლიტერატურასაც, მოგონებებს, ჩანაწერებს, პერიოდიკაში დაბეჭდილ სტატიებს.

ნისო მისხი

საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, საქართველო

ნესტან-ნენე კვინიკაძის მოთხრობის სტილი და თარგმანში მისი შენარჩუნების სირთულეები

თარგმანი, ზოგადად და მარტივად, არის აზრის ტრანსლაცია ერთი ენიდან მეორეზე. თარგმანის მიზანია, გაუგებარი გასაგები გახადოს. ასეთ შემთხვევაში თარგმანის ხასიათი იმაზეა დამოკიდებული, თუ რის გაგებინებას ცდილობს მთარგმნელი – განწყობის, აზრის, ფორმის და ა.შ. უამრავ ადამიანს მიაჩნია, რომ ეს სრულიად არ წარმოადგენს სირთულეს, თუმცა, სინამდვილეში თითოეული ნაწარმოები გარკვეული ემოციური და სტილისტური დატვირთვის მატარებელია; თარგმნის ეს სირთულეები წარმოადგენს ჩვენს საკვლევ თემას.

ნაშრომში გადმოცემულია ნესტან-ნენე კვინიკაძის მოთხრობის სტილი და განხილულია თარგმანში მისი შენარჩუნების სირთულეები. შესწავლილი გვაქვს ორი ნაწარმოები: „დისკოს ტრიალი, პარნასუს აპოლოები და ჯექსონები“, „Lee“ და მიმოხილულია, თუ რა სირთულეებს აწყდება მთარგმნელი. ჩვენი კვლევის შედეგად ირკვევა, რომ მიუხედავად უამრავი სირთულისა, მთარგმნელი ირინა მოდებაძე წარმოადგენს ტექსტის ადეკვატურ თარგმანს, ორიგინალთან ყველაზე დაახლოებულ ნიმუშს, რაც საკმაოდ იშვიათია რუსულად თარგმნილ პროზაში. ნაშრომში წარმოჩენილია ყველა სირთულე, რასაც მთარგმნელი აწყდება; როგორცაა, მაგალითად, ავტორის სტილისა და თავისებურების დაცვა, ყოველგვარი ტიპის ლაიტმოტივის შენარჩუნება, ისე, რომ არ დამახინჯდეს დედანი და მისი მუსიკალურ-რიტმული მხარე.

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ქართულ სამეცნიერო სინამდვილეში არ განხორციელებულა თანამედროვე მწერლის ნესტან-ნენე კვინიკაძის ნაწარმოებების თარგმნის სირთულეების შესწავლა-განხილვა, ამდენად, ჩვენი კვლევა სიახლეს წარმოადგენს.

ნაშრომის აქტუალურობა განსაზღვრულია შემდეგი გარემოებით: ნესტან-ნენე კვინიკაძე თანამედროვე ქართული პროზის წარმომადგენელია, მას საკუთარი სტილი და უამრავი თავისებურება გააჩნია, თუმცა, ეს ყველაფერი მთარგმნელი ირინა მოდებაძისათვის არც ისე რთული აღმოჩნდა: მან ბუნებრივად შეძლო ყველა ნიუანსის გადმოტანა რუსულ ენაში.

ვფიქრობთ, კვლევის საბოლოო შედეგები გარკვეულწილად გაამდიდრებს არსებულ გამოკვლევებს თარგმანის სფეროში.

გვიად მირცხულავა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

პოსტსაბჭოთა სავაჭრო სივრცეები: სოციალური კავიტატის როლი სავაჭრო იერარქიაში

წინამდებარე ნაშრომი იკვლევს თბილისის „ლილოს“ ბაზრობაზე მომუშავე მოვაჭრეების კულტურულ-სოციალური ურთიერთგაცვლის ფრაგმენტს. აღნიშნული ბაზრობა მდებარეობს საქართველოს დედაქალაქის თბილისის გარეუბანში, დაახლოებით ნახევარი საათის სავალზე თბილისის ცენტრალური სადგურიდან. ეს არის საბითუმო და საცალო ვაჭრობის ცენტრი. ჩემი კვლევის ინტერესი არის ბაზრობაზე ადგილობრივ

მენარმეებს შორის არსებული ურთიერთობები, მოვაჭრეები რომლებიც, ერთის მხრივ, არიან ერთმანეთის კონკურენტები, მეორე მხრივ, ერთმანეთის კლიენტები და არსებობის მნიშვნელოვანი წყარო.

„ლილოს“ ბაზრობა სამხრეთ კავკასიაში ყველაზე დიდი საბითუმო სავაჭრო ცენტრია და ის ემსახურება არა მარტო საქართველოს რეგიონებს, არამედ ძალიან დიდ როლს ასრულებს მთელს კავკასიის რეგიონში, ის მნიშვნელოვანი საერთაშორისო სავაჭრო ცენტრია და დაკავშირებულია გლობალურ სასაქონლო ბრუნვა-სთან. მყიდველები აქ მოდიან აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან, რუსეთიდან (ძირითადად, ჩრდილოეთ კავკასი-იდან) და ა.შ.

ამ ბაზრობის აქტიური ფუნქციონირება დაინყო საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ და მალევე გახდა დომინანტი რეგიონში. მან გაუძლო მთავრობების და კანონების ცვლილებებს, რაც ძალიან რთულ ეკონო-მიკურ გარემოში საკმაოდ გასაკვირია სხვა, შედარებით სუსტი სავაჭრო ობიექტების გაქრობის ფონზე. სა-ინტერესოა, როგორ შეძლო ამ ბაზრობამ გადარჩენა, უფრო მეტიც – განვითარება; ამ ეტაპისათვის ლილოს ბაზრობის სატელევიზიო არხიც ფუნქციონირებს.

ბაზრობის მმართველი სტრუქტურა ხელს არ უშლის მენარმეების საქმიანობას, რომლებიც მხოლოდ ყოველთვიურად იხდიან გადასახადებს. მოვაჭრეები თავად ეძებენ ვაჭრობის გზებს, აქ თქვენ ნახავთ სხვა-დასხვა სავაჭრო ობიექტებს, სადაც წარმატებულ მოვაჭრეებს საქონელი ჩამოაქვთ სხვადასხვა ქვეყნებიდან, გადამყიდველებს, რომლებიც იძენენ მათგან ამ საქონელს და, ასევე, წვრილმან მოვაჭრეებს, რომელთაც არ აქვთ რაიმე სახის ოფიციალური ნებართვა და ისინი დამოკიდებული არიან ძლიერ მოვაჭრეებზე. ეს ადამიან-ები ცდილობენ, ერთმანეთს დაეხმარონ, მათი არსებობა ყოველდღიური ბრძოლაა სახელმწიფო თუ საერთა-შორისო რეგულაციებთან. ჩემი ინტერვიუებების უმრავლესობა უკმაყოფილოა სახელმწიფო კანონებითა და რეგულაციებით, ხშირ შემთხვევაში, ისინი სახელმწიფოს „მტრად“ განიხილავენ, რომელიც ცდილობს ხალხის-გან ფულის გამოძალვას ცდილობს, ეს კი ხდება მათთვის „არაფორმალური“ ვაჭრობის ერთ-ერთი მიზეზი.

ჩემი აზრით, არაფორმალური ურთიერთობები არის წყარო და ერთადერთი გზა გადარჩენისთვის, რო-გორც მოცემული ბაზრობის, ასევე მსგავსი ტიპის სავაჭრო ცენტრებისათვის. ეს ურთიერთობები ადგილობ-რივი ეკონომიკური სისტემის მაგალითია.

ჩემი კვლევის ძირითადი მეთოდებია: თვისებრივი კვლევის მეთოდი, დაკვირვება, მონაწილე დაკვირვე-ბა, ინტერვიუ: ფორმალური და არაფორმალური. ასევე, რაოდენობრივი კვლევა, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ ჩემი კოლეგებიც.

ივანე მჭედელაძე

ივანე კავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

ადმოსავლეთსა და დასავლეთს შორის: საქართველოს კულტურული სახის აღქმის პარადიგმაში უკრაინაში

ინტერდისციპლინურ ჰუმანიტარულ კვლევებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კულტურათ-შორის კომუნიკაციებს, სხვადასხვა კულტურული გადმოსახედიდან დანახულ ურთიერთაღქმის პრობლემებს.

წინამდებარე კვლევის მიზანია, შევისწავლო საქართველოს კულტურული სახის ჩამოყალიბებისა და მისი აღქმის ინტერდისციპლინური პარადიგმები უკრაინულ ცნობიერებაში, განვსაზღვრო საქართველოს, როგორც „უცხო“ კულტურული სახის ევოლუცია უკრაინაში შუასაუკუნეებიდან მოყოლებული პოსტსაბჭო-თა/პოსტკოლონიური ეპოქის ჩათვლით.

საკვლევად შერჩეულ მრავალფეროვან და რეპრეზენტაციულ ემპირიულ მასალზე (*ისტორიოგრაფია, მხატვრული და პუბლიცისტური ლიტერატურა, ლიტერატურათმცოდნეობითი ნაშრომები*) დაკვირვებით იკვეთება საკმაოდ აქტუალური კულტუროლოგიური პრობლემა: საქართველო – აღმოსავლური თუ დასავ-ლური კულტურის ნაწილი? აღნიშნული საკითხის გასაანალიზებლად ლიტერატურულ კომპარატივისტიკა-ში დამკვიდრებული კულტურულ-ისტორიული, ჰერმენევტიკული და შედარებითი მეთოდების დახმარებით შესწავლილ იქნა ის ზოგადი მიზეზები, რომლებიც განაპირობებენ ცნებათა – დასავლური და აღმოსავლური კულტურების აღქმის პრობლემებს უკრაინულ ნარატივში. ვფიქრობ, აღნიშნულ კონტექსტში უფრო მკაფი-ოდ იკვეთება საქართველოს სახის აღქმის კულტუროლოგიური პრობლემები.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღიარებული მოსაზრების თანახმად, უცხო შესახებ წარმოდგენის შექ-მნაში ლიტერატურა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. მოხსენებაში ასევე განვიხილავ ეთნოსტერეოტი-პების ფორმირების პროცესებს ქართულ თემაზე შექმნილ ნაწარმოებებში – რომანტიზმის ეპოქიდან პოსტ-

საბჭოთა პერიოდის ჩათვლით, მისი ევოლუციის დომინანტურ მარკერებს (ეთნოკულტურული იდენტობა, ეროვნული ხასიათი, ეროვნული მენტალობა და სხვ.).

კვლევის შედეგად ვლინდება უკრაინაში საქართველოს კულტურული სახის აღქმის მთელი რიგი საკვანძო საკითხები: შუა საუკუნეებისთვის დამახასიათებელი ქრისტიანული, რელიგიური იდენტობის პარადიგმათა არსებითი ცვლილება/გარდაქმნა მეცხრამეტე საუკუნეში. ამ პერიოდში იკვეთება ისტორიული, სამეცნიერო-კულტურული და ლიტერატურული ფაქტორები „კავკასიური ხიდის“ (ლ. გრიციკი) ფუნქცია, რაც გულისხმობს დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის მდებარე შუალედურ კულტურულ ზონას.

მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქართული ლიტერატურის აღქმის ტენდენციებიც (მაგ.: „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის პრობლემა და სხვ. უკრაინულ ლიტერატურათმცოდნეობაში). სამეცნიერო ორიენტაციისტიკაში ქართველოლოგიური მასალების გამოჩენამ ერთგვარად გაამყარა წარმოდგენა საქართველოზე, როგორც ქრისტიანული აღმოსავლეთის ქვეყანაზე. საინტერესოა საქართველოს კულტურული იდენტობის აღქმა, უკრაინელი მოდერნიზატების თეორიულ ნააზრევთან ტიპოლოგიური მიმართებით.

კვლევის მიხედვით დგინდება, რომ გლობალიზაციური ნარატივების, კულტურული კონტექსტის ცვლილებების მიუხედავად, ეს მიზეზები მეტ-ნაკლებად ახდენენ გავლენას თანამედროვე/პოსტსაბჭოთა პერიოდზე დაკვირვების შედეგადაც.

თამარ ნამბლაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

მითოსი კროსკულტურულ ჭრილში

მოცემული კვლევა ეხება სხვადასხვა კულტურის მითოლოგიური სისტემების ელემენტებში არსებულ მსგავსებებს. წარმოდგენილი მასალა კულტურის კვლევების კუთხით არის გააზრებული, რაც ხელს უწყობს საკითხის ახლებურ ხედვას. ყოველი ახალი კვლევა განსხვავებულ ინფორმაციას გვანვდის, რაც თავად მითის მრავლისმომცველი და მოქნილი ბუნებითაა განპირობებული. ნაშრომის მიზანია მსგავსი მითოსური სახეების გამოკვეთა და იმ განსხვავებების ასახვა, რომლებიც კონკრეტულმა კულტურამ შემოიტანა; ასევე, იმ ელემენტების ხაზგასმა, რომლებიც მითოსურმა პერსონაჟმა კულტურის ცვლილებასთან ერთად შეიძინა ან დაკარგა. აგრეთვე, მითოსური ელემენტის საერთო/გაზიარებული სახის გამოყოფა მეზობელ კულტურებში. კვლევისას, ძირითადად, გამოყენებულია ისტორიულ-შედარებითი ანალიზის მეთოდი, ასევე დიფუზიონიზმი, როგორც თეორიული ჩარჩო. საკვლევ მასალას წარმოადგენს მითები და ის ზღაპრები, რომლებიც მითიდან აღებულ სანყისებს შეიცავს. დიფუზიონისტური თეორიის ფარგლებში შესწავლილია მითოსური პერსონაჟები: დაევა-დევი, ეშაპი-ვიშაპი-გველეშაპი და კიკიმორა. მათი შესაძლო წარმოშობის ადგილი, განვითარება და სხვადასხვა კულტურაში გავრცელების შედეგად მიღებული მახასიათებლები. კონკრეტული მითოსური პერსონაჟების გარდა საერთო მახასიათებლები ასევე გამოკვეთილია ბერძნულ მითს („ჰერო და ლეანდრი“), ქართულ ლექსსა („თავფარავნელი ჭაბუკი“) და ადიღურ ზღაპარს შორის.

კვლევის მეორე ნაწილში დახასიათებულია „კულტურის გმირის“ ზოგადი ხატი – განხილულია მსგავსებები ინდიელთა, ნუქსალკის (ბელა კულა) და ავსტრალიურ (გიფსლენდის) მითებს შორის. მოცემულია ვარაუდები საერთო მახასიათებლებთან დაკავშირებით. ამასთანავე, გაანალიზებულია ქართული, აფხაზური, ოსური, ადიღური „კულტურის გმირები“ და გაზიარებული ელემენტები. მოცემული მასალის საფუძველზე გამოკვეთილია საერთო კავკასიური „კულტურის გმირის“ სახე.

დიფუზიონისტური თეორიის ფარგლებში ჩატარებული კვლევის შედეგად გამოჩნდა, თუ რამხელა გავლენას ახდენს კონკრეტული, მიმღები კულტურა მის მიერ შეთვისებულ მითოსურ ელემენტზე. შეიძლება შეიცვალოს ელემენტის აღქმა (პოზიტიურიდან ნეგატიურისკენ ან პირიქით), ელემენტის გარკვეული ასპექტები.

მითოსური ელემენტი შეიძლება ასიმილირდეს მოცემულ კულტურასთან და მისი მითოლოგიის აუცილებელ შემადგენელ ნაწილად იქცეს. კვლევის მეორე ნაწილში განხილული „კულტურის გმირის“ სახე მრავალფეროვანი ინფორმაციის შემცველი აღმოჩნდა თავად კულტურასთან დაკავშირებით – ის შეიძლება მიუთითებდეს ტოტემურ წინაპარზე, ასახავდეს კონკრეტულ რეგიონში არსებულ მჭიდრო ურთიერთობებს, მსგავს ან გაზიარებულ ფასეულობებს, კონკრეტული კულტურისთვის დამახასიათებელ სპეციფიკურ ნიშნებს.

ბიორგი ომსარაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

ისლამური სახელმწიფოს შექმნის მცდელობები ჩრდილოეთ კავკასიაში 2000-იან წლებში

1990-იან წლებში, საერთო კავკასიური ისლამური სახელმწიფოს შექმნის იდეის პროპაგანდა კავკასიაში მოქმედმა ეთნიკურად არაბმა, მათთან მჭიდრო კონტაქტში მყოფმა ჩეჩენმა და ჩრდილოეთ კავკასიელმა საველე მეთაურებმა დაიწყო. მათმა ნაწილმა ალ-ქაიდას ემისრებთან მჭიდრო კონტაქტი დაამყარა. კავკასიელ ისლამისტთა პოლიტიკური მიზნები გასცდა ჩეჩენეთს. მათი ნაწილი აცხადებდა, რომ უნდა შექმნილიყო საერთო კავკასიური ისლამური სახელმწიფო, რომელიც შარიათზე იქნებოდა დაფუძნებული. პირველ ეტაპზე ჩეჩენეთისა და დაღესტნის ერთიანი ისლამური სახელმწიფოს იდეა წამოიჭრა და არაბმა და ადგილობრივმა ისლამისტმა ლიდერებმა პროპაგანდისტული მუშაობა დაიწყეს დაღესტნის მაღალმთიან რაიონებში, სადაც, ძირითადად, ხუნძები (ავარები) სახლობენ. კადარის ზონაში მდებარე სოფლებში ყარამახში და ჩაბანმახში შეიქმნა რადიკალური ისლამისტური ჯამაათები.

1999 წელს შამილ ბასევისა და ემირ ხატაბის მეთაურობით „ისლამის საერთაშორისო მშვიდობისმყოფელთა ბრიგადა“ დაღესტნელ მოჯაჰედებთან ერთად შეიჭრა დაღესტანში და ე.წ. დაღესტნის ისლამური ჯამაათის დამოუკიდებლობა გამოაცხადა, რაც მიზნად ისახავდა კავკასიაში დამოუკიდებელი ისლამური სახელმწიფოს შექმნას. აღნიშნული ქმედებები და შემდეგ დაღესტანში განვითარებული კონფლიქტი ჩეჩენეთის მეორე ომის დაწყების ერთ-ერთი საფუძვლად იქცა რუსეთის ფედერაციის მხრიდან. ა. მასხადოვის მთავრობამ ვერ შეძლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან დაფინანსებული და მართული ჯგუფების განეიტრალება, რომლებიც სეკულარული სახელმწიფოს ნაცვლად შარიათზე დამყარებულ საერთო კავკასიური სახელმწიფოს ჩამოყალიბების იდეას უჭერდნენ მხარს. იჩქერიის ლიდერების ლიკვიდაციის შემდეგ საერთო კავკასიური ისლამური გაერთიანების ჩამოყალიბების იდეა მეტად აქტუალური გახდა ე.წ. ახალი თაობის კავკასიელ ისლამისტთა შორის.

აღსანიშნავია, რომ ამ მოძრაობის ლიდერად კავკასიელი ისლამისტები მაინც ჩეჩენეთს – იჩქერიას ალიარებდნენ. ჩეჩენური წინააღმდეგობის ნაწილი მიიჩნევდა, რომ მათი ძალა არ იყოს საკმარისი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში და მთელი ჩრდილოეთ კავკასია უნდა ჩართულიყო კონფლიქტში. კავკასიელი ჯიჰადისტების ნაწილმა (მაგ., ა. ასტემიროვმა, მ. ვაგაბომემა და სხვებმა) 1990-2000-იან წლებში რელიგიური განათლება მიიღეს პაკისტანსა და ახლო აღმოსავლეთის ისლამურ სასწავლებლებში. მათი ნაწილი სწავლის პერიოდში ექსტრემისტული იდეოლოგიის გავლენის ქვეშ მოექცა, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ კი რელიგიური გაერთიანებები ჩამოაყალიბა და ე.წ. „სუფთა ისლამის“ ქადაგებას შეუდგა. სანყის ეტაპზე კავკასიურ აღმოსავლეთში განათლებამიღებული ისლამისტები მშვიდობიანი მეთოდებით მოქმედებდნენ და ღიად აცხადებდნენ, რომ კავკასიაში შარიათის დამყარება გრძელვადიანი პროცესი იქნებოდა და მოსახლეობაში ეტაპობრივად განხორციელდებოდა ქვეყნარტი ისლამის ქადაგება, რათა თავად გაეცნობიერებინათ ისლამური სახელმწიფოს შექმნის აუცილებლობა.

აღნიშნულმა ჯგუფებმა, 2000-იან წლებში რფ-ს სპეციალური სამსახურებისა და რეგიონის რესპუბლიკებში არსებული ხელისუფლებებისაგან შევიწროვების შემდეგ ძალისმიერი მეთოდებით განაგრძეს ბრძოლა, შეურთდნენ ჩეჩენ საველე მეთაურებსა და კავკასიაში მოქმედ ისლამისტურ ჯგუფებს ფედერალური ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში. ე.წ. ახალი თაობის ისლამისტებმა ჩეჩენი საველე მეთაურებისაგან მოითხოვეს ნაციონალისტური იდეების ჩანაცვლება ისლამისტურით, საერთო კავკასიური ისლამური სახელმწიფოს შექმნის გამოცხადება, სადაც ეთნიკურ წარმომავლობას არ ექნებოდა მნიშვნელობა და რელიგიის საფუძველზე გაერთიანდებოდნენ კავკასიელი მუსლიმები. აღნიშნული მიდგომა, მათი განმარტებით, გადაჭრიდა კავკასიის ეთნიკურ ჯგუფებს შორის არსებულ კონფლიქტებსა და დაპირისპირებებს.

ნანა პარინოსი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენელი ქალების ადგილი ამერიკულ საზოგადოებაში მე-19-20 საუკუნეებში

მოხსენებაში ვისაუბრებთ ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენელი ქალების როლის, წვლილისა და ადგილის შესახებ შეერთებული შტატების XIX-XX საუკუნის ისტორიაში, იქნება ეს რასობრივი, რელიგიური თუ ეროვნული უმცირესობა. პირველ ეტაპზე, საინტერესოა, დავაკვირდეთ როგორი იყო მათდამი დამოკიდებულება, ხსენებული პერიოდის ამერიკაში, განურჩევლად მათი საქმიანობის სფეროსი.

წინამდებარე კვლევაში ორი საკითხის ირგვლივ წარვმართავთ მსჯელობას: 1. ამერიკაში ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენელი ქალების ცხოვრება და პრობლემები; 2. იმიგრანტი ეთნიკური უმცირესობები; ამასთან, გავანალიზებთ ამონარიდებს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალების ლიტერატურული ნაწარმოებებიდან, რათა უკეთ გავიაზროთ მათი მდგომარეობა, იმ პრობლემათა სპექტრი, რასაც ისინი ყოველდღიურ ცხოვრებაში ეჯახებოდნენ, ასევე, მათდამი საზოგადოების დამოკიდებულება. კვლევის სწორი მიმართულებით წარსამართად, აუცილებელია, ვიცოდეთ თუ რა ადგილი ეკავათ ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენელ ქალებს მე-19-20 საუკუნეების ამერიკის შეერთებული შტატების რეალობაში. პირველ ეტაპზე დაკვირვებას ვინყებთ 8 ქალის მაგალითის განხილვით, რომელთაც განსხვავებული სოციალური სტატუსი, განათლება, პროფესია და წარმოშობა ჰქონდათ; მათ გარკვეული ღვაწლი მიუძღვით ქვეყნის წინაშე და, ამავდროულად, განსხვავებულ ეთნიკურ უმცირესობათა ტიპს განეკუთვნებოდნენ.

გამოყენებულმა კვლევის მეთოდებმა („კონტენტ ანალიზი“, რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევა) დაგვანახა, რომ მიუხედავად სხვადასხვა ტიპის დისკრიმინაციისა და შევიწროებისა, ამერიკაში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალები დაუღალავად შრომობდნენ საზოგადოებაში საკუთარი ადგილის დასამკვიდრებლად და, დიდი ძალისხმევით შედეგად, მაინც აღწევდნენ დასახულ მიზანს. აღნიშნულ ქმედებას მაგალითის ძალა აღმოაჩნდა, რამაც განაპირობა კიდევ უმცირესობათა ბედი და განსაზღვრა უმცირესობათა წარმომადგენელი ქალების მომავალი – მათ შეძლეს ამერიკულ საზოგადოებაში ღირსეული ადგილის დამკვიდრება.

ილია პაჭკორია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

სამეხუთე ბეკეტის „გოდოს მოლოდინში“: აბსურდის თეატრი?

ტერმინი აბსურდის თეატრი, პირველად, 1960 წელს თეატრის ცნობილმა კრიტიკოსმა, მარტინ ესლინმა გამოიყენა. იგი აღნიშნავს, რომ აბსურდის თეატრი არ წარმოადგენს რაიმე გამოკვეთილ ან მწყობრ თეატრალურ მიმდინარეობას და არც მის წარმომადგენლებად მიჩნეული დრამატურგების უმეტესობა მოიაზრებს საკუთარ თავს ამ სახელწოდების ქვეშ, არამედ ამ ტერმინით შეიძლება მოვიხსენიოთ ის პიესები, რომელთაც საერთო აქვთ აბსურდის თემა და მისი გამომხატვის არატრადიციული ფორმები.

ეს პიესები ეხება ადამიანის აბსურდულ, უმწეო ყოფას ამ გაუგებარ სამყაროში; მის გაუცხოებას ღმერთის, ერთმანეთისა და სამყაროსადმი. მაშინ, როცა ენა, ჩვეულებრივ, აზრის გადმოცემისა და ურთიერთგაგებინების საშუალებად მოიაზრება, მსგავსი პიესები ენის ამ ფუნდამენტურ ფუნქციას ეჭვქვეშ აყენებენ და წარმოაჩენენ მას, როგორც აზრის გაბუნდოვანებისა და ურთიერთგაუგებრობის საშუალებას. სემუელ ბეკეტის პიესაში „გოდოს მოლოდინში“, აბსურდის თემა გადაჯაჭვულია მოვლენათა შემეცნების პრობლემასთან. ის, რომ არაფერია ნათელი და ცალსახა ამ სამყაროში, ღიად თუ შენიღბულად თან გასდევს მთელს პიესას. უფრო მეტიც, ბეკეტის მიერ ისეა აგებული „გოდოს მოლოდინში“, რომ თვით მის ინტერპრეტაციაშიც კი იჭრება ასეთი წინააღმდეგობრიობა, რათა არაფერი გახდეს ცხადი და გარკვეული პიესის ადრესატისათვის. ეს მიდგომა ალბათ ყველაზე მეტად პიესის ორი მთავარი პერსონაჟის, ვლადიმირისა და ესტრაგონის დავებში იჩენს ხოლმე თავს.

მკითხველი თუ მაყურებელი ამკარად ვლადიმირის პოზიციაშია, რომელიც მუდამ საზრისს ეძიებს; ხოლო პიესის ავტორს, ძირითადად, ესტრაგონის პოზიცია უკავია, რომელიც მუდამ უპირისპირდება ყოველგვარ სიცხადეს. ბეკეტის ხედვით, უტყუარ დასკვნამდე მისვლის ყოველგვარი მცდელობა განწირულია მარცხისათვის.

ჩვენ შეგვიძლია დავეჭვდეთ კიდევ, რამდენად არის „გოდოს მოლოდინში“ აბსურდის თეატრი. ავტორის მსოფლხედვიდან გამომდინარე, ალბათ მართებულია, კატეგორიულად არ ვამტკიცოთ, რომ ეს პიესა აბსურდის დრამაა და მით უფრო არც ის, რომ – არაა. სწორედ ამ გაუგებრობაზე გადის ბეკეტისეული აბსურდის ტრაგიკომედია.

ნიკოლოზ ჟღანტი

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, საქართველო

წეროს ღმრთისმშობლის სახელობის ეკლესიის წარწერები (პალეოგრაფიული და ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა)

წეროს ყოვლადწმინდა ღმრთისმშობლის სახელობის ეკლესია მდებარეობს მდ. ტანას ხეობაში, ე. წ. „წეროს ხევში“. კომპლექსი შემალღებულ კლდოვან მასივზეა აგებული და შედგება ღვთისმშობლის სახელზე აგებული ჯვარ-გუმბათოვანი ეკლესიისგან, ჩრდილოეთით მიმდებარე ნმ. გიორგის სალოცავი, ხოლო სამხრეთით მინაშენია. მთავარი ტაძარი X საუკუნის II ნახ. – XI საუკუნის დასაწყისით თარიღდება. ცნობები წეროსხევის მონასტრის შესახებ ჩვენთვის ცნობილ წერილობით საისტორიო წყაროებში არ გვხვდება. სამეცნიერო ლიტერატურაც საკმაოდ ცუდად იცნობს ამ მონასტერს. მთავარი ტაძრის შელესილობამ შემოგვინახა 20-მდე სხვადასხვა ფერის საღებავით შესრულებული წარწერა, რომელთა ქრონოლოგიური ჩარჩოები XIII-XIX სს-ით შეიძლება განისაზღვროს. ამ წარწერათაგან სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია მხოლოდ ერთი – სამხრეთ კედლის შელესილობაზე შესრულებული ვინმე როსტევეანის მოსახსენებელი ნუსხური წარწერა, რომელიც წარწერებს შორის ყველაზე დიდი და მარტივად შესამჩნევია. ეს წარწერა პირველად სერგი მაკალათიამ ამოიკითხა და გამოაქვეყნა 1957 წლის ნაშრომში: „ატენის ხეობა (ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი)“.

ატენის ხეობის ძეგლებისა და წეროსხევის ეკლესიის მომდევნო პერიოდის მკვლევრებიც (ლ. ფრუიძე, თ. ფურცვანიძე, თ. ქარუმიძე, მ. შავიშვილი) მხოლოდ ამ წარწერას ახსენებენ, ძირითადად, ს. მაკალათიას ნაკითხვაზე დაყრდნობით. 2011 წლის 28 იანვარს, ქ. გორში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის წმიდა მღვდელმონაშენი კირიონ მეორისადმი მიძღვნილ გორის მესამე სამეცნიერო კონფერენციაზე ვ. სილოგავამ წაიკითხა მოხსენება სათაურით „უცნობი წარწერები წეროს ღვთისმშობლის მიძინების ტაძრიდან“. სამწუხაროდ, მოხსენების გამოქვეყნება ცნობილ მეცნიერს არ დასცალდა. მოხსენება არც მის პირად არქივში მოიძებნა, რომელიც კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა შეიძინა.

წეროსხევის ეკლესიას, წარწერების შესწავლის მიზნით სამჯერ – 2010, 2012 და 2014 წლებში ვესტუმრე. შედეგად შეიქმნა 20-მდე ფრესკული წარწერის პალეოგრაფიული პირი და ტექნიკური აღწერილობა. კვლევის შემდგომ ეტაპზე კი ჩატარდა წარწერების პალეოგრაფიული და ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზი. შედეგად გამოიკვეთა საინტერესო სიახლეები როგორც, კონკრეტულად წეროსხევის ეკლესიისა და მასთან დაკავშირებული პიროვნებების შესახებ, ასევე, ზოგადად, ატენის ხეობის ისტორიულ-გეოგრაფიული საკითხების შესახებ. ამათგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია:

1. გამრეკელის მოსახსენებელი წარწერა, რომელიც უნდა იყოს XIII ს-ში მოღვაწე მეჭურჭლეთუხუცესი გამრეკელ თორელი. წარწერა, ასევე, უნდა შეიცავდეს ცნობებს თორელთა ფეოდალური სახლის უფლებების შესახებ ატენის ხეობაში XIII ს-ში.

2. XVI-XVII სს-ის მოსახსენებელი წარწერა, რომლის მიხედვითაც ვიგებთ წეროსხევის წინამძღვრის სახელს.

3. 1888 წლის წარწერა, რომელიც შეიძლება გვანვდიდეს ცნობებს ტაძრის თითქმის მესამედი ნაწილის დაზიანების მიზეზის შესახებ.

ირინე საგანელიძე*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო***დამოუკიდებელი საქართველოს ქართული ხელოვნება – შალვა დადიანი
ქართული კინოსა და თეატრის შესახებ**

1918-1921 საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდის ქართული ხელოვნება თავისი მნიშვნელობითა და შინაარსით ინოვაციური ხასიათისაა და ქართული სახელმწიფოებრივი აზროვნების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ეტაპს წარმოადგენს. ამ პერიოდის ქართული ხელოვნება მრავალ საინტერესო კულტურულ მოვლენასთან არის დაკავშირებული და დამოუკიდებელი სახელმწიფოს, ქართველი ერის ნებისა და ინტერესების მატარებელია.

იმდროინდელ ქართულ კულტურაში, მძაფრი და საინტერესო პოლიტიკური პროცესების გავლენით, თავს იჩენს თვითმყოფადი, ძლიერ კულტურულ-ისტორიულ ტრადიციებზე დამყარებული ტენდენციები. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის, გამოჩენილი მწერლისა და დრამატურგის შალვა დადიანის დამოუკიდებელი საქართველოს თეატრისა და კინოს განვითარებასთან დაკავშირებული წერილები. მის პუბლიკაციებში ნათლად ჩანს, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მწერალი ქართული კინოსა და თეატრის გააქტიურებასა და განვითარებას; შემუშავებული აქვს კონკრეტული სტრატეგია, რომელიც ხელოვნების ამ ორი დარგის მომავალს ეროვნულ ღირებულებებს უკავშირებს.

მწერალი მიმოიხილავს ევროპაში მიმდინარე თანამედროვე კულტურულ პროცესებს და თვლის, რომ ქართული კინო და თეატრალური ხელოვნების ჩამოყალიბების პროცესიც მსგავსი მიმართულებით უნდა წარიმართოს.

შალვა დადიანის წერილებში განსაკუთრებით ხაზგასმულია საოპერო თეატრის მნიშვნელობა, ეროვნული თემები კინოსა და თეატრში, კინემატოგრაფის ტექნიკური მხარე, კინოდარბაზების როლი საზოგადოების ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბებაში; წარმოჩენილია კინოპოლიტიკის განვითარების მნიშვნელოვანი მომენტები.

ამ პერიოდში დამოუკიდებელი საქართველოს ქართული ხელოვნება სხვა მნიშვნელოვან და საინტერესო მოვლენებთან ერთად მრავალი ნიჭიერი შემოქმედის მოღვაწეობასთან არის დაკავშირებული - იქმნება ქართული ხელოვნების უნიკალური შედეგები. შალვა დადიანის მოღვაწეობა საქართველოს ისტორიის ურთულეს, წინააღმდეგობრივ პერიოდს დაემთხვა, ამიტომ, ამ ფონზე ქართული კინოსა და თეატრის მომავლის მის მიერ შემოთავაზებული კონცეფცია კიდევ უფრო საინტერესოა, რადგან მასში ნათლად ჩანს ავტორის კულტურული მსოფლმხედველობა, აზროვნების სიღრმე და აქტუალობა, საზოგადოებრივი აზრის განვითარების არსებითი მომენტები, ისტორიული კონტექსტი... ეს მემკვიდრეობა შეუცვლელ მასალას წარმოადგენს დამოუკიდებელი საქართველოს ეპოქის კინოსა და თეატრში მიმდინარე პროცესების გამოსავლენად.

სწორედ ამ პერიოდის კულტურის მიმოხილვა, ცნობილი ქართველი მწერლის შალვა დადიანის ამ დრომდე გამოუქვეყნებელი საარქივო მასალების საფუძველზე, წარმოადგენს 1918-21 წლების კულტურის კვლევის მიზანს.

ქეთევან სამადაშვილი*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო***ლირიკის გამომსახველობითი თავისებურება
„ცისკრელთა“ შემოქმედებაში**

ხელოვნების სხვა დარგების ნაწარმოებებისაგან განსხვავებით ლიტერატურული ნაწარმოების მთავარი უპირატესობა ადამიანის გარდასახვათა მთელი სპექტრის ჩვენებაა. სიტყვის მეშვეობით სახე ემოციურ სიღრმესა და მასშტაბურობას იძენს. ამ მხრივ, ნიშანდობლივია, რომ პოეზია ხელოვნების უმაღლეს, სინთეტურ დარგად მოიაზრება, ლირიკა კი – პოეზიის პოეზიად.

ლირიკული ნაწარმოები მაკროკოსმოსის წვდომის გზად გვესახება, რადგან იგი მიკროკოსმოსის, ავტორის სულიერი სამყაროს გაშიფვრის საშუალებაა. შესაბამისად, მასში ჩანს ის სინამდვილე, რომლის კვლევაც არა მხოლოდ კონკრეტულის, არამედ აბსტრაქტული წვდომის საშუალებასაც გვაძლევს. წარმოდგენილ მოხ-

სენებაში განვიხილავთ გასული საუკუნის 50-იანი წლების ქართული ლიტერატურული პროცესის ძირითად მეთოდოლოგიურ მიმართულებებსა და მათში ლირიკის ადგილსა და როლს.

ჩვენი მიზანია ლირიკული ლექსის გამომსახველობითი თავისებურებების გამოვლენა „ცისკრელებად“ მონათლული თაობის წარმომადგენლების – შოთა ნიშნიანიძის, მუხრან მაჭავარიანის, მურმან ლებანიძისა და ანა კალანდაძის შემოქმედებაში. საკვლევი საკითხის აქტუალობას განსაზღვრავს ოთხი ავტორის ნაწარმოებებში ლირიკული „მეს“ თავისებურებების, აზრობრივი ორიენტირებისა და ფუნქციების განსაზღვრა, სპეციფიკური ნიშნების ანალიზი.

ნაშრომში დასმული საკითხის სიღრმისეულად გასააზრებლად კომბინირებულად გამოვიყენეთ პირველადი და მეორეული კვლევის მეთოდები: თავდაპირველად შევარჩიეთ ლიტერატურული ნაწარმოებები, ჩვენს შემთხვევაში, ძირითადად, ლირიკული ლექსები, დაკვირვების შემდეგ კი შევისწავლეთ და დეტალურად გავანალიზეთ ისინი; ამავდროულად, გავეცანით და მიზნობრივად გამოვიყენეთ სხვა მკვლევართა სამეცნიერო სტატიები ჩვენთვის საინტერესო საკითხების შესახებ. გამომდინარე იქიდან, რომ ნაშრომში განხილულია ერთი ეპოქის ოთხი შემოქმედის ლირიკული მემკვიდრეობა, სისტემურად გააზრების მეთოდით ვანარმოვეთ მათი შედარებითი ანალიზიც. კვლევამ ცხადყო, რომ XX საუკუნის მეორე ნახევრის პირველ ათწლეულში ქართული ლირიკული ლექსის შემოქმედნი წარმატებით აგრძელებენ წინაპართა გზას, განცდების განზოგადებული წარმოსახვის საშუალებით კი ეხმიანებიან ზოგადსაკაცობრიო იდეალებსა და თანამედროვეობას. ამასთან, მათთვის უცხო არც ვერსიფიკაციული სიახლეებია და არც სითამამე – მკაცრი ცენზურის პირობებში უერთგულონ ჭეშმარიტ ღირებულებებს.

განხილული საკითხიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ლირიკული ემოციებისა და პოეტური ასოციაციების მრავალფეროვნება, იდეის სრულყოფისათვის ზრუნვა, აზრის გამოხატვის თანამიმდევრობა და ლოკალიზაცია, ლირიკული სუბიექტურობის არსი და უნივერსალური გამომსახველობითი მხატვრული უნარი – იმ საშუალებათა არასრული ჩამონათვალია, რომლებიც გვხვდება „ცისკრელთა“ ლირიკულ შემოქმედებაში.

მარიტა სახლთხუციშვილი, მარიამ შერგალაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

გლობალური კონტექსტი და იდენტობის საკითხი ემიგრირებული ქართველი თანამედროვე არტისტების შემოქმედებაში

ნაშრომი „გლობალური კონტექსტი და იდენტობის საკითხი თანამედროვე ქართულ ვიზუალურ ხელოვნებაში“ წარმოადგენს ნაწილს რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული ფუნდამენტური კვლევების მიმდინარე გრანტისა „ინტეგრაცია და იდენტობა“ (ახორციელებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებისა და ასაღაზრდა მეცნიერებისაგან დაკომპლექტებული ჯგუფი). ნაშრომი ეხება უცხოეთში ემიგრირებულ და იქ მცხოვრები ქართველ ხელოვანთა შემოქმედებას გლობალურ კონტექსტში და მათი შემოქმედებითი იდენტობის საკითხს თანამედროვე ქართულ ვიზუალურ ხელოვნებაში. თანამედროვე ქართული ხელოვნების ისტორიის ეს კონკრეტული საკითხი სისტემურად შეუსწავლელია, როგორც ადგილობრივი ისე საერთაშორისო მასშტაბით და უცნობია ხელოვნებათმცოდნე სამეცნიერო საზოგადოებისთვის. საკითხის აქტუალობას ზრდის ემიგრირებულ ხელოვანთა როლი საქართველოს დასავლეთთან კულტურული ინტეგრაციის პროცესში და მათი შემოქმედების გავლენა თანამედროვე ქართული ვიზუალური ხელოვნების განვითარების ზოგად სურათზე.

კვლევის პროცესში გამოყენებულია კვლევის შემდეგი მეთოდები: სახელოვნებათმცოდნეო კვლევის მეთოდი, კომპარატივისტული მეთოდი, საარქივო კვლევა, მხატვრული ნაწარმოებების მეცნიერული და თეორიული ანალიზი. ასევე, კვლევის უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს სოციოლოგიური გამოკითხვა-ანალიზი, რომლის საშუალებითაც მოხდა ძირითადი საკვლევი მასალის შეგროვება და დამუშავება.

კვლევის ფარგლებში მოქცეულ ხელოვანთა უმეტესი ნაწილი საქართველოდან 1990-იანი წლების განმავლობაშია წასული. განსხვავებულია როგორც მათი ასაკი, ისე ქვეყნიდან წასვლის მოტივაცია, მიზეზები და განთავსების არეალი, რომელმაც, ხშირ შემთხვევაში, მნიშვნელოვნად განაპირობა ამ ხელოვანთა განვითარებისა და თვითრეალიზაციის ხარისხი, წარმატებული სახელოვნებო კარიერა, რომელიც გამოხატულია მნიშვნელოვანი საერთაშორისო პროექტებითა და ხელოვნების კრიტიკოსთა უმაღლესი შეფასებებით.

კვლევის საბოლოო შედეგები თავს მოიყრის სამეცნიერო ჯგუფის მიერ მომზადებულ სამეცნიერო ნაშრომებსა და ელექტრონულ ბაზაში. მიმდინარე ეტაპზე გთავაზობთ გერმანიაში, ავსტრიაში და შვეიცარიაში მცხოვრები ქართველი თანამედროვე არტისტების შემოქმედების ანალიზს, განვიხილავთ მათ როლს როგორც გლობალურ, ისე ადგილობრივ სახელოვნებო კონტექსტში, ინტეგრაციისა და თვითიდენტიფიკაციის პროცესების ფონზე.

საკვლევი თემის მიზანია, განსაზღვროს ეროვნული იდენტობის საკითხი თანამედროვე ხელოვნების სპეციფიკის გათვალისწინებით გლობალიზაციის აქტიურ პროცესში – როგორ ყალიბდება სხვადასხვა ქვეყანაში მოღვაწე ხელოვანთა ენა, გამოხატვის ფორმები, მედიები და პოზიციები, რომელთა მიხედვითაც ზოგადი კლასიფიკაციებით, შეგვიძლია გამოვყოთ თანამედროვე ხელოვნების ევროპული (კერძოდ გერმანია, შვეიცარია, ავსტრია) მიდგომები ემიგრირებულ ქართველ ხელოვანთა შემოქმედებაში და, ამავდროულად, ვისაუბროთ იმ კულტურულ კოდებზე, რომელიც ცნობიერად თუ დაფარულად, სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციით ვლინდება აღნიშნულ ხელოვანთა შემოქმედებაში; ეს კი, თავის მხრივ, განმსაზღვრელ როლს თამაშობს XXI საუკუნის ქართული თანამედროვე ვიზუალური ხელოვნების იდენტობის ჩამოყალიბებაში.

ინო სურმავა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

ამინ არ-რეიჰანის „ჯიჰანი“ და მისი თარგმანების პრობლემატიკა

მოხსენება განიხილავს ცნობილი არაბი მწერლის ამინ არ-რეიჰანის მცირე ფორმატის რომანს „ჯიჰანი“ და მისი არაბული და რუსულენოვანი თარგმანების პრობლემატიკას.

აღნიშნული ნაწარმოები ავტორმა ინგლისურ ენაზე დაწერა 1917 წელს, თუმცა ინგლისურენოვანი „ჯიჰანი“ თავიდანვე არ დაბეჭდილა. ამინ არ-რეიჰანის ძმა ალბერტ რეიჰანი ამ გარემოებას იმით ხსნის, რომ იმ დროს არაბ ქალთა ემანსიპაცია არ იყო საინტერესო თემა ამერიკელ გამომცემელთათვის. ამიტომ, ნაწარმოები მისი ინგლისურად გამოცემის წელსვე ითარგმნა და გამოიცა არაბულად 'აბდ ალ-მასიჰ ჰადდადის მიერ სათაურით „ჰარემის გარეთ“.

არაბულენოვანი თარგმანი შემდეგ წლებშიც განმეორებით არაერთხელ გამოიცა, ხოლო ინგლისურენოვანი ორიგინალი ხელნაწერი მწერლის სახლ-მუზეუმში ინახებოდა და მხოლოდ 2011 წელს გამოჩნდა. სწორედ 2011 წლის ნოტრ-დამის უნივერსიტეტის ინგლისურენოვანი გამოცემა ითვლება რომანის ყველაზე სრულყოფილ ტექსტად.

მოხსენებაში ჩვენს ყურადღებას საგანგებოდ შევაჩერებთ ნაწარმოების ფინალზე, რომელიც განსხვავებულია ინგლისურ, არაბულ და რუსულენოვან გამოცემებში. პირველ და მეორე არაბულენოვან თარგმანებში (1917 და 1922 წწ-ის) მთარგმნელს სრულიად შეუცვლია ნაწარმოების ფინალი და ამოუღია ბოლო მონაკვეთი, რომელიც წარმოადგენს რომანის მნიშვნელოვან და განუყოფელ ნაწილს; იგი, ჩვენი აზრით, ნაწარმოების მთავარი იდეის მატარებელია. ამინ ალბერტ რეიჰანი მთარგმნელის ასეთ ინტერპრეტაციას იმით ხსნის, რომ ბოლო ეპიზოდი იმ დროის არაბი მკითხველისთვის შეიძლება სრულიად მიუღებელი ყოფილიყო. 1948 წლის გამოცემა შესწორებული და შევსებულია მწერალ რეიჰანის ძმის მიერ. სწორედ არაბული ენიდანაა თარგმნილი რუსულად რეიჰანის „ჯიჰანი“, თუმცა რუსულენოვანი თარგმანი ეყრდნობა არა ბოლო, არამედ 1922 წლის ნაკლებ არაბულენოვან გამოცემას, შესაბამისად, რუსული თარგმანიც არასრულყოფილია. რუსულენოვან სამეცნიერო კრიტიკაში რამდენიმე არაბულენოვანი თარგმანის არსებობამ ერთგვარი გაუგებრობა გამოიწვია და მცდარი შეხედულებები გაავრცელა ნაწარმოების ფინალთან დაკავშირებით: რომ, თითქოს, ამინ არ-რეიჰანიმ შეცვალა მესამე გამოცემაში მოთხრობის ფინალი და დაამატა ბოლო ეპიზოდი. სინამდვილეში, პირველ ხელნაწერში აღნიშნული მონაკვეთი თავიდანვე არსებობდა, რასაც მოწმობს პირველი ხელნაწერი. რეიჰანის არც არაბულ და არც ინგლისურენოვან ტექსტში ცვლილება არასდროს შეუტანია.

მართალია, 1933 წლის მესამე გამოცემას (რომელზეც მიუთითებს რუსულენოვანი კრიტიკა) ვერ მივაკვლიეთ, მაგრამ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ თუკი 1948 წლამდე გამოსულ რომელიმე არაბულენოვან გამოცემაში მართლაც არსებობს „ჯიჰანის“ სრული ვერსია, ეს იმით შეიძლება აიხსნას, რომ გამომცემელს არაბულენოვან ტექსტთან ერთად ხელთ უნდა ჰქონოდა ინგლისურენოვანი ორიგინალი ხელნაწერი არაბულ ტექსტთან შესადარებლად და მის შესავსებად.

სოსლან სურმანიძე

საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, საქართველო

ილია ჭავჭავაძის პოემა „განდეგილი“ და ქართული პოსტსაბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობა

ილია ჭავჭავაძის პოემა „განდეგილი“ გამოქვეყნებისთანავე მოექცა კრიტიკოსებისა და მკითხველი საზოგადოების ყურადღების ცენტრში. ფაქტობრივად, პოემის გამოქვეყნების დღიდანვე ნაწარმოების იდეური შინაარსის თაობაზე რადიკალურად განსხვავებული, ზოგ შემთხვევაში დიამეტრულად საპირისპირო მოსაზრებები გამოითქვა.

ქართული ლიტერატურათმცოდნეობისათვის ილიას პოემა დღემდე რჩება ერთ-ერთ გამოცანად. საბჭოთა კრიტიკაში, სრულიად გასაგები მიზეზების გამო, ნაწარმოები მხოლოდ ერთი მიმართულებით განიმარტებოდა, კერძოდ – როგორც ასკეტიზმის წინააღმდეგ ბრძოლა და სოციალური აქტივობისაკენ მოწოდება. საპირისპიროდ ამისა, თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობაში შეინიშნება მეორე უკიდურესობა, – პოემის ინტერპრეტაცია ხორციელდება მხოლოდ რელიგიურ-თეოლოგიურ ჭრილში.

ჩვენს მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება პოსტსაბჭოთა ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში ილიას „განდეგილის“ შესახებ კონცეპტუალური სიახლით გამორჩეული ნაშრომების ანალიზი, რაც საშუალებას მოგვცემს, ვიმსჯელოთ თანამედროვე ქართული ლიტერატურათმცოდნეობის ტენდენციებსა და თავისებურებებზე.

ინო სხირტლაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

რიტუალური ტერმინოლოგიური მოდელებისათვის გელათის კატენებიანი ბიბლიის ლევიტელთა წიგნის ქართულ თარგმანში

უკვე XII-XIII საუკუნეებში ქართულ მთარგმნელობით ტრადიციაში ყალიბდება ბერძნულთან უკიდურესად დაახლოებული, ფორმალური და სემანტიკური სიზუსტით შესრულებული თარგმანები, რომელთა შემქმნელებიც გელათის საღვთისმეტყველო-ლიტერატურული სკოლის წარმომადგენლები არიან. ამ ე.წ. „ახალი თარგმანების“ მთარგმნელ-რედაქტორები უფრო გაბედულად ეკიდებიან სათარგმნ ერთეულს. ბიბლიურ წიგნებზე, ჩვენს შემთხვევაში კი, ლევიტელთა წიგნის ქართულ (გელათურ) თარგმანზე დაკვირვება წარმოგვიდგენს სურათს, როგორ იქმნება, ყალიბდება და მკვიდრდება ესა თუ ის ენობრივი ფორმა (უფრო კონკრეტულად კი – ტერმინები).

სიტყვანარმოებისას გელათელი მთარგმნელი ყველაზე ხშირად **-ება // -ობა** სუფიქსებს იყენებს: *აელეება : τη λαυγή, სასობა : πείθω, წყალობა : ἔλεος, შაბათობა : σαββατίζω, მკვდრობა : κληρονομία...* ახალ ტერმინთა საწარმოებლად გელათელ მთარგმნელს ხშირად უხდება ბერძნული ტერმინის აგებულებიდან ამოსვლა. კომპოზიციების თარგმნისას იგი (მთარგმნელი) ბერძნულის კალკირებულ თარგმანს აკეთებს, რომელთა შორის წინდებულებიანი ან ზმნისართიანი კომპოზიციის ტიპებსაც ვხვდებით: *გულ-ფიცხელობა : σκληρο-καρδία, გან-მ-გზა-ვრება : ἔξ-ἄθ-ιος, წერილის-შემომყვანებელი : γραμμα-τοεισαγαγείς, სიკუდიდ-შემოსილი : θανατ-ηφόρον, მამ-ული : πατ-ριά, მუცლად-ღება : γαστρι-ἔλαβον, მუცლით-მე-ზღაპრე : ἔγγαστρι-μθος, წმიდა-მყოფელი : ἁ-ἀγιά-ζων, თანა-შეტყუება : σύ-γκρισιν, თანა-მკვდრ-ობა : συυ-οικί-ζω, თანა-სახლ-ეულობა : συυ-οικοῦ-ντες, თანა-სასყიდელი : ἡ συυ-τίμησις, ზედა-მსტურობა : ἔπι-σκοπέω, ზედა-დასადებელი : τοῦ ἔπι-θέματος, წინა-მოსაჯული : ἀντι-δίκου...*

გვაქვს **-ად** ბრუნვის ფორმანტიანი ტერმინებიც, რომლებშიდაც **-ად** სუფიქსი დერივაციულ ფუნქციას ასრულებს: *მსხურებლადი : θυσία, ჭამადი : Βρῶμα...* ცნობილია, რომ ქართული მეცნიერული ტერმინოლოგია ბერძნული ენიდან თარგმნის პროცესში ჩამოყალიბდა, ამდენად, ძველი თარგმანების შესწავლა-გაანალიზება, სიტყვანარმოების თვალსაზრისით, თანამედროვე ქართული მეცნიერული ტერმინოლოგიის განვითარების ერთადერთ სწორ გზად გვესახება.

მოხსენებაში ვრცლად ვისაუბრებთ ერთი კონკრეტული ლექსიკური ჯგუფის – რიტუალური ლექსიკის – ტერმინოლოგიური მოდელების შესახებ „გელათის კატენებიანი ბიბლიის“ ლევიტელთა წიგნის ქართული

თარგმანში. გამოვკვეთთ და განვიხილავთ იმ მახასიათებლებს, რაც ქმნის თარგმანის სრულიად გააზრებულ და საგანგებოდ შემუშავებულ პრინციპებს ძველი ქართული თარგმანის ისტორიაში და რამაც, თავის დროზე, დასაბამი მისცა ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის ჩამოყალიბებას.

ენო ტაბაშაძე

საქართველოს სამოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, საქართველო

ტრავმის როლი იდენტობის ჩამოყალიბებაში (შემთხვევის ანალიზი: აფხაზეთის ომი და აგვისტოს ომი)

კოლექტიური ტრავმა დროში შეზღუდული შოკური მოვლენაა, რომელიც ღრმა კვალს ტოვებს საზოგადოების ფასეულობათა სისტემაზე. შედეგად, ხდება როლთა გადააზრება, იდენტობის კრიზისი იწვევს თვითაღქმის ხელახალ გადააზრებასა და სხვა ჯგუფის დემონიზებას.

წინამდებარე კვლევის მიზანია, მიჰყვეს ამ პროცესს, გვიჩვენოს იდენტობის კრიზისი და საკუთარი როლის გადააზრება საქართველოს ისტორიის ახლო წარსულში მომხდარი ორი კონფლიქტის მაგალითზე. ერთი მათგანი 10 წლის წინანდელი აგვისტოს ომია, მეორე კი – აფხაზეთის ომი. ორივე ომის შემდეგ ქართველი საზოგადოებისთვის იდენტობის ფორმირება ჩვენ/სხვათა ჯგუფის დაპირისპირებით ხდებოდა.

ორივე ომი საქართველოსთვის კოლექტიურ ტრავმას წარმოადგენს. ორივე ისტორიულმა მოვლენამ გამოიწვია პოსტტრავმული სტრესი, რამაც, თავის მხრივ, განაპირობა ტრავმის დაძლევის მიზნით მონუმენტების, ნარატივებისა და სხვადასხვა სლოგანების გაჩენა: მაგ., „ჩვენ დავბრუნდებით“. ორივე კონფლიქტის შედეგად გაძლიერდა და ხელისუფლების მიერ ხელი შეეწყო მტრის ხატის შექმნა-ჩამოყალიბებას.

მოხსენებაში ომის შემდგომი მონუმენტების შედარებითი ანალიზის შედეგად ჩამოყალიბებულ ტრავმის დაძლევის სტრატეგიას. ვფიქრობთ, საინტერესოა ამ ორი ომის შედეგად გაჩენილ ტრავმათა შორის მსგავსებისა და განსხვავების გამოვლენა, აგრეთვე, რამდენად არის იდენტობის კრიზისის დაძლევის ხერხები მეტ-ნაკლებად ერთგვარი.

მარინა ტურაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

მსირა ფოლკლორული ჟანრები ზეპირ ისტორიაში (2000–2017 წლებში ჩანარილი მასალების მიხედვით)

ზეპირ ისტორიებში, ადამიანების ცხოვრებისეული გამოცდილებების მონაყოლში, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ისეთ ფოლკლორულ ჟანრებს, როგორებიცაა: ლეგენდები, თქმულებები, ანდაზები, აფორიზმები, სიტყვის მასალები, ანეკდოტები, განმარტებები, შელოცვები და ა. შ., რაც თანამედროვე ხალხში ფოლკლორის პოპულარობასა და მისადმი დიდ ინტერესზე მეტყველებს. ზეპირი ისტორიის მეთოდით ჩანერილი მასალის შესწავლა საყურადღებო აღმოჩნდა იმ თვალსაზრისით, რომ საშუალება მოგვეცა, შეგვესწავლა კონკრეტული მასალა ფოლკლორულ ჟანრებზე დაკვირვების კონტექსტში, რაც კვლევის თვალსაზრისით სიახლეა.

ნაშრომში წარმოვადგენთ ორი მცირე ჟანრის – ანდაზისა და სიტყვის მასალის ანალიზს, რადგან მიგვაჩნია, რომ მათი ერთმანეთისაგან გამიჯვნა რთულია, რადგან ზოგჯერ ანდაზის ერთი ნაწილი დამოუკიდებლად ვრცელდება და სიტყვის მასალად იქცევა. ამასთან, თუ ანდაზა არის ხალხის გამოცდილებასა და დაკვირვებაზე დაფუძნებული ერთნინადადებიანი მხატვრული ნაწარმოები, რომელსაც შეგონებითი ხასიათი აქვს და მეტაფორულად კონკრეტულ შინაარსს მიღმა ზოგად არსზე მიგვანიშნებს, სიტყვის მასალა მიემართება ერთ კონკრეტულ პირს და მას ახასიათებს. არქივებიდან ან ლექსიკონებიდან ამოღებული ანდაზებისა და სიტყვის მასალების კვლევისას გარკვეულ სირთულეს ვაწყდებით.

ცხადია, რომ მათში ალეგორიული მნიშვნელობა კონკრეტულ ფაქტებთან აღარ არის დაკავშირებული და მხოლოდ ზოგად აზრს ვიღებთ, შესაბამისად, შინაარსის სწორად გასაგებად მისი მთლიანობაში, კონტექსტში

გააზრებაა საჭირო; მათი ზეპირ ისტორიებში კვლევა კი აღნიშნული მიდგომისა და კვლევა-ძიების საუკეთესო საშუალებაა. არ ვეთანხმებით მოსაზრებას, რომ ანდაზას გაქვავებული ფორმა აქვს. ზეპირ ისტორიებში მისი შესწავლა მის ვარიაციულობაზე მეტყველებს. ნაშრომში საარქივო მასალების პარალელურად წარმოვადგენთ კონტექსტიდან გამომდინარე შინაარსობრივი და თემატური კუთხით დაჯგუფებულ ანდაზებსა და სიტყვის მასალებს.

გაანალიზებულმა მასალამ ცხადყო, რომ დღესაც, თანამედროვე ხალხის ყოფასთან, მჭიდროდაა დაკავშირებული ფოლკლორის ისეთი მნიშვნელოვანი ჟანრები, როგორებიცაა ანდაზები და სიტყვის მასალები, რაც ამ ჟანრის თანამედროვე აქტუალურობაზე მიანიშნებს.

ნათია ფიფია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

კოლხებისა და კოლხეთის პერცეფცია არგონავტებისა და მედეას შესახებ ბერძნულ-რომაული ვიზუალური წყაროების მიხედვით

მედეას პერცეფცია ბერძნულ-რომაულ სამყაროში მჭიდროდ არის დაკავშირებული კოლხებისა და კოლხეთის პერცეფციასთან. ბერძნები და რომაელები მედეას, აიეტსა და სხვა მითოლოგიურ კოლხ პერსონაჟებს ისე წარმოსახავდნენ, როგორც ზოგადად კოლხები წარმოედგინათ. ნარატიული წყაროები გვანვძიან მნიშვნელოვან ინფორმაციას, თუმცა, ვიზუალური წყაროები ავსებენ მათ ხარვეზს. არგონავტებისა და მედეას შესახებ ვიზუალური წყაროები ქართული ისტორიოგრაფიისთვის დღემდე ნაკლებად იყო ცნობილი, შესაბამისად, ჩვენს მიზანს პირველ რიგში, წარმოადგენს იმის დადგენა, თუ რამდენად სასარგებლო წყაროს წარმოადგენენ, ხოლო შემდეგ კი, მათი ვალიდურობის შემთხვევაში, შევეცდებით ისტორიის რეპრეზენტაციას.

გარდა ამისა, ჩვენი დაინტერესება გამონვეულია იმითაც, რომ არ არსებობს სპეციალური გამოკვლევა, რომელიც კონკრეტულად ამ საკითხს ეძღვნება. მედეას სახე საუკუნეების განმავლობაში მნიშვნელოვან მეტამორფოზას დაექვემდებარა.

ბერძნებისა და რომაელებისთვის ის ბარბაროსია, თვით შვილების მკვლეელიც, შუა საუკუნეებსა და ადრეული რენესანსის ეპოქაში, მაგ., ჩოსერისთვის, ის იაზონის მიერ მოტყუებული და შეცდენილი საბრალო ქალია, განვითარებული რენესანსის ხანაში ის ისევ მზაკვარი ქალია, XVI საუკუნეში, კუდიანებზე ნადირობის ეპოქაში, მედეა ჯადოქარია. ერთი საკითხია, როგორ გამოსახავდნენ მედეას სხვადასხვა ავტორები, მეორე, თუ როგორი წარმოდგენიათ კოლხები და კოლხეთი არგონავტებისა და მედეას შესახებ ბერძნულ-რომაული ვიზუალური (ლარნაკები, გემები, სარკოფაგები და სხვ.) წყაროების მიხედვით.

ჩვენს მოხსენებაში, ასევე, განვიხილავთ რა იცვლებოდა და რა რჩებოდა მუდმივი ამ პერცეფციაში, რა მეტამორფოზებს დაექვემდებარა მედეას სახე და მასთან ერთად კოლხებიც კლასიკურ ხანაში, ასევე, ერთმანეთს შეეუდარებთ ბერძნულ და რომაულ წყაროებს და, შესაბამისად, ბერძნებისა და რომაელების წარმოდგენას კოლხებისა და კოლხეთის შესახებ მითთან დაკავშირებული ვიზუალური წყაროების მიხედვით.

ნათია ფუტყარაძე

კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო

კაუზატივთა სტრუქტურული მოდელების წარმოების გობიერთი თავისებურება ევგურულში

წინამდებარე გამოკვლევის მიზანია მეგრული ზმნის კაუზატიურ სტრუქტურათა აღწერა და ფორმა-წარმოებისას გამოვლენილ თავისებურებათა შესწავლა დიათეზათა მორფოსინტაქსური კრიტერიუმების მიხედვით. კვლევის პროცესში გამოყენებულია ველზე მუშაობისა და ემპირიული მასალის სტატისტიკური, სისტემური აღწერის (დესკრიფციის) მეთოდი, აგრეთვე, დაფუნდების თეორიისა და კოდირების მეთოდები.

კაუზატივთა ძირითადი – გვარეობით სტრუქტურად გამოვყოფთ R-Ø ყალიბს, რომელიც საერთოა ყველა ქვესტრუქტურული ნაირსახეობისათვის. ქვეჯგუფებში ზმნური ფორმები სტრუქტურირებულია ხმოვანპრეფიქსებისა და თემატური სუფიქსების მიხედვით.

ო-R-აფ-უ-ან-Ø: *ობახვაფუანს(ნ) „აბრახუნებინებს“, ობნულაფუანს „აბნევიანებს“...*

ო-R-ეპ-აფ-უ-ან-Ø: *ობორჯებაფუანს „არევიანებს, აბნევიანებს“, ობოდორებაფუანს „არევიანებს, ანენვიანებს (საქმეს)“...*

ო-R-უ-აფ-უ-ან-Ø: *ოგონჭუაფუანს „აფიქრებინებს“, ოთქუაფუანს „ათქმევიანებს“, ოთხუაფუანს „ათხოვნიანებს“...*

Prev-უ-R-ინ-უ-ან-Ø(ნ) კაუზაციური სტრუქტურისაა *გუ-ურზ-ინუანს(ნ) „გააძლებინებს მისთვის“ ფორმა. მაგ., გადვალარს ურზინუანს „ფეხსაცმელს აძლებინებს“... აღნიშნულ ფორმას ო.ქაჯაიას ლექსიკონში ტრადიციული გრამატიკული ტერმინოლოგიით, სასხვისო ქცევის კვალიფიკაცია აქვს მინიჭებული. უღლების პარადიგმა რეგულარულია, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ აღნიშნულ ლექსიკონში ვერ მოვიძიეთ ამ ზმნის მეოთხე სერიის ფორმები. საგულისხმოა, რომ ჩვენი რესპონდენტების მეტყველების ჩანერისას დავაფიქსირეთ „გონორზიუე(ნ)“ ფორმა.*

კაუზაცივთა მე-5 ქვესტრუქტურად გამოვყოფთ **Prev-R-უ-ან-Ø** სტრუქტურულ ტიპს: *გ-ო-გონ-უ-ან-ს „გაფიქრებინებს“, საინტერესოა, რომ ამ ფორმასთან, ო. ქაჯაიას ლექსიკონში ვერ ვხედავთ კაუზაცივის კვალიფიკაციას, ამ ზმნის, გარდამავალი, მოქმედებითი გვარის ზმნური ფორმის კვალიფიკაცია აქვს მინიჭებული. მაგ., უგონებუს გოგონუანს ლორონთიშე მოცხადებულს „გაუგონარს გაფიქრებინებს ღმერთისაგან გაცხადებულს“ და იქვე მითითებულია კაუზაციური ფორმაც: ოგონჭუაფუანს „აფიქრებინებს“. მოყვანილი კონტექსტი გვაფარაუდებინებს, რომ გოგონუანს „გაფიქრებინებს“ ფორმა ნამდვილად არის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის გამომხატველი, რასაც განაპირობებს სულიერი ინიციატორი სუბიექტი და ეგზეკუტორი ობიექტი, (რომელიც ემორჩილება მას); ამდენად, ამ ზმნურ ფორმას სემანტიკური კაუზაციის მაგალითად მივიჩნევთ.*

მოხსენებაში ყურადღებას გავამახვილებთ აღნიშნული სტრუქტურის ზმნათა მყოფადის წარმოების თავისებურებებზეც; მაგ., **ო-R-აფ-უ-ან-Ø** კაუზაცივთა ქვესტრუქტურის (რომელსაც, პირობითად, ფორმულის სახით ასე გადავწერთ: **Prev-R-აფ-უ-ან-Ø: გიოგუაფუანს „დააჩვევიანებს“**) მყოფადის ფორმებში, ხშირად, მორფმათა საზღვარზე ადგილი აქვს ხმოვანპრეფიქსის ფონეტიკურ გარდაქმნას, შედეგად კი ვიღებთ **Prev-ა-R-აფ-უ-ან-Ø** სტრუქტურის ფორმებს: *გინაართაფუანს „გადაახვევიანებს“, გინაართინაფუანს „გადააქცევიანებს“...*

ძირითადი გვარეობითი სტრუქტურის გარდა აღნიშნულ მოდელებს აერთიანებთ სინტაქსური კონსტრუქცია: *ყოველი მათგანის მოქმედების აგენსის ბრუნვებია nom-erg-dat-nom I-II-III-IV სერიის მიხედვით.*

ამგვარად, ჩვენი მიზანი იყო კაუზაცივთა სტრუქტურული მოდელების აღწერა; შედეგად, მოძიებული მასალის მიხედვით ხუთი ძირითადი ქვესტრუქტურა გამოიკვეთა, რომელთათვისაც ფორმანარმოების პროცესში დამახასიათებელია მორფონოლოგიური ლინგვისტური თავისებურებანი .

მოხსენებაში ვრცლად განვიხილავთ ჩვენ მიერ გამოვლენილ სტრუქტურულ მოდელებს შესაბამისი რაოდენობრივი მასალის მიხედვით.

თაა ქამუშაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

კანდიდ ჩარკვიანის პოლიტიკური მხსიერება და მხსიერების პოლიტიკა საქართველოს პოსტსაბჭოთა პერიოდში

მოხსენებაში ვისაუბრებთ საქართველოს სსრ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის კანდიდ ჩარკვიანის „პოლიტიკურ“ მხსიერებასა და პოსტსაბჭოთა მხსიერების პოლიტიკის ურთიერთმიმართებაზე. ორივე სახის მხსიერება წარსულიდან გვახსენებს ან გვაგვიწყებს ფაქტებსა თუ მოვლენებს გარკვეული მოსაზრებებით. მოხსენებაში ერთი მხრივ, განვიხილავ ცეკას პირველი მდივნის მემუარებსა და ჩანაწერებს, ხოლო, მეორე მხრივ, „გავზომავთ“ მის გავლენასა და მნიშვნელობას საზოგადოებრივ და პოლიტიკურ კონტექსტებზე. 15 წლის (1938-1953) მანძილზე საქართველოს მასშტაბით უმაღლესი ხელი-

სუფალი, წარსულს, სისტემის ნგრევის შემდგომ იხსენებს და, ბუნებრივია, მოვლენებს საკუთარ ინტერპრეტაციას აძლევს. ნებისმიერი ინტერპრეტაცია კი პოლიტიკის ნაწილად იქცევა. კანდიდ ჩარკვიანის „მეხსიერების პოლიტიკურობას“ ორი ფაქტორი განაპირობებს: საბჭოთა კავშირში მისი თანამდებობრივი პოზიცია და დროის ცვლილება, რომელმაც საბჭოთა კავშირის დაშლა და საქართველოს დამოუკიდებლობა მოიტანა. ამის გათვალისწინებით, საგულისხმოა, თუ რას და როგორ იხსენებს ცეკას პირველი მდივანი, რამდენად არის მისი ნარატივები გაზიარებული საზოგადოების სხვადასხვა წრეების მიერ, ამავედროულად, თუ როგორია მეხსიერების პოლიტიკა კანდიდ ჩარკვიანთან და მის მოღვაწეობასთან დაკავშირებით? როგორ ვიხსენებთ მას და რა ადგილს იკავებს წარსულის გახსენებაში დავინწყება.

კანდიდ ჩარკვიანის „პოლიტიკურ მეხსიერებასა“ და მეხსიერების პოლიტიკას კონკრეტულ მაგალითზე, კერძოდ რუსთავის მშენებლობის კონტექსტში განვიხილავ. კანდიდ ჩარკვიანის მემუარებიდან გამოვყოფ რუსთავის მშენებლობის ინიციატივის საკითხსა და კანდიდ ჩარკვიანის როლისა და მნიშვნელობის წარმოჩენის საკითხს მისსავე მემუარებზე დაყრდნობით. აღნიშნული საკითხი ლოგიკურად უკავშირდება კომუნისტების ნაციონალურ პოლიტიკასა და, კერძოდ, კანდიდ ჩარკვიანის ნაციონალურ განწყობას. ასევე, საგულისხმოა სტალინის პიროვნული ფაქტორი, როგორც კანდიდ ჩარკვიანის მეხსიერებაში, ასევე, საზოგადოებრივ დისკურსში. იმის გასარკვევად, თუ როგორ წარმოჩნდება კანდიდ ჩარკვიანის როლი და მისი მონაწილეობა ქალაქის მშენებლობაში, განვიხილავ ქალაქ რუსთავის საიუბილეო თარიღებსა და ღონისძიებებს პოსტსაბჭოთა პერიოდში.

შეჯამების სახით მოხსენებაში საუბარი იქნება იმ ფაქტორებსა და საშუალებებზე, რომლებიც საერთო მეხსიერების ფორმირებას განაპირობებს, ალაგებს მოვლენებს და ინტერპრეტაციების სახით სთავაზობს საზოგადოებას.

ღანა ქარაია

ივანე კავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

მუზეუმები და შემოქმედებითი ინდუსტრია:

სინერგია სოციალური და ეკონომიკური როლის განვითარებისათვის

მუზეუმებისა და შემოქმედებითი ინდუსტრიების თანამშრომლობა – ესაა სამუზეუმო სამყაროში ახალი, განვითარებადი და მზარდი ტენდენცია, რომელიც თანდათანობით საკვანძო გავლენას ახდენს მუზეუმების, მემკვიდრეობისა და ტურიზმის სოციალურ-ეკონომიკური როლის განვითარებაზე.

შემოქმედებითი ინდუსტრიები, რომელიც მოიცავს ათზე მეტ სექტორს (რეკლამა, ციფრული მედია, კომპიუტერული თამაშები, რენვა, დიზაინი, მოდა, ფილმი, მუსიკა, საშემსრულებლო ხელოვნება, რადიო, თეატრი, ტელევიზია და სხვ.), ეფუძნება შემოქმედებითობას/ინოვაციებს და გააჩნია პოტენციალი ინტელექტუალური საკუთრების მეშვეობით შექმნას კულტურის პროდუქტი, მოახდინოს სოციალურ-ეკონომიკური გავლენა ამა თუ იმ მიმართულებაზე.

21-ე საუკუნეში მუზეუმებისა და შემოქმედებითი ინდუსტრიების (ვიზუალური, საშემსრულებლო ხელოვნება, ციფრული მედია, მოდა, დიზაინი და სხვ.) სინერგიის შედეგად მუზეუმების მესვეურებმა, შეიძლება, გაზარდონ საკუთარი აუდიტორია, ეფექტურად გამოიყენონ კოლექციები და ინფრასტრუქტურა, აამაღლონ მუზეუმის შესახებ ცნობიერება საზოგადოებაში და ხელი შეუწყონ ეკონომიკური გავლენის განვითარებას თანამედროვე სამყაროს გამოწვევების საპასუხოდ.

მოხსენებაში განხილული იქნება მუზეუმებისა და შემოქმედებითი ინდუსტრიების თანამშრომლობის მიმართულებები, გამოწვევები, შედეგები და პერსპექტივები მსოფლიოს მუზეუმების საუკეთესო პრაქტიკისა და საქართველოს მუზეუმებში მიმდინარე აქტივობების მაგალითებზე.

მაგალითი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

დინამიკური მოდალური სემანტიკის გამოხატვითი „შეძლება“ ზმნა და მასთან დაკავშირებული უკუთქმითი ნაწილაკები ქართულ სამწერლო ენაში¹

დინამიკური, შესაძლებლობის მოდალური სემანტიკის გამოსახატავად ქართულ სალიტერატურო ენაში X საუკუნიდან გვხვდება ობიექტური წყობის „შეძლება“ ორგანული ზმნური ფორმა (სარჯველაძე 1984:413) საშუალო ქართულიდან კი პარალელურად დასტურდება ძალ ძირისაგან ნაწარმოები სუბიექტური წყობის „შეძლება“ ზმნის ორგანული ფორმები. სხვა მოდალური ფორმებისაგან განსხვავებით „შეძლება“ ზმნის არც ობიექტური და არც სუბიექტური წყობის ფორმებს არ განუცდიათ გრამატიკალიზაცია, არ ქცეულან ნაწილაკებად (მდრ.: ეგების>ეგებ, იქნების>იქნებ (შარაშენიძე 1999). როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური წყობის შეძლება ზმნის პირიანი ფორმები, სემანტიკური თვალსაზრისით, გამოხატავდნენ და გამოხატავენ „ნეიტრალურ“ (გარემო პირობების ზეგავლენით გამონვეული შესაძლებლობა) და „სუბიექტზე ორიენტირებულ“ (შინაგანი ან შექმნილი უნარი ან ცოდნა) (პალმერი 1999, ვაიმანი 1996) მოდალურ სემანტიკას როგორც დადებითი, ისე – უარყოფითი კონოტაციით. მოხსენებაში განვიხილავთ შეძლება ზმნის ობიექტური და სუბიექტური წყობის ფორმებისა და უკუთქმით ნაწილაკთა ურთიერთმიმართების საკითხს.

დინამიკური, შესაძლებლობის მოდალური სემანტიკის გამოხატვითი შეძლება ზმნის ობიექტური და სუბიექტური წყობის ფორმებისა და მათთან გამოყენებული უკუთქმითი ნაწილაკების კვლევისას გამოვლინდა:

შეძლება ზმნასთან სემანტიკური შეუთავსებლობის გამო ნუ ნაწილაკი არ დასტურდება უარყოფითი კონოტაციის მქონე კონტექსტებში, გარდა ძახილის წინადადებებისა, რომლებშიც შეძლება ზმნაზე დართული ნუ ნაწილაკი მხოლოდ მთქმელის უარყოფით დამოკიდებულებას გამოხატავს მოსაუბრის ნათქვამის მიმართ და არა ამა თუ იმ ქმედების აკრძალვას.

საგულისხმოა, რომ შეძლება ზმნასთან არ და ვერ უკუთქმითი ნაწილაკების გამოყენებას განსაზღვრავს როგორც ზმნის ობიექტური და სუბიექტური წყობა, ისე „სუბიექტზე ორიენტირებული“ და „ნეიტრალური“ მოდალური სემანტიკა. შესაბამისად, ვერ და არ ნაწილაკებს შორის არ გვაქვს თავისუფალი ვარიანტი.

ვერ უკუთქმითი ნაწილაკი ძველ ქართულში მხოლოდ ობიექტური წყობის „სუბიექტზე ორიენტირებული“ სემანტიკის მქონე შეუძლება ზმნას დაერთვოდა. საშუალო ქართულში კი მისი ეს ფუნქციაც თანდათან არ ნაწილაკმა შეითავსა, რომელიც დღემდე თანაბრად ფუნქციონირებს ობიექტური წყობის „სუბიექტზე ორიენტირებული“ და „ნეიტრალური“ დინამიკური სემანტიკის შეძლება ზმნასთან. ამდენად, ობიექტური წყობის შეძლება ზმნის ფორმებთან ახალ ქართულში ვერ ნაწილაკი აღარ დასტურდება, გარდა ექსპრესიული შემთხვევებისა, რომლებიც იშვიათია სალიტერატურო ენაში.

რაც შეეხება სუბიექტური წყობის ფორმებისა და ვერ ნაწილაკის ურთიერთმიმართებას, უნდა ითქვას, რომ აქ განსხვავება არ გვაქვს, შეძლება ზმნის სუბიექტური წყობის ფორმებთან ვერ ნაწილაკი საშუალო ქართულიდან თანაბრად გამოიყენება როგორც „სუბიექტზე ორიენტირებული“, ისე „ნეიტრალური“ სემანტიკის გამოხატვისას.

შეძლება ზმნის სუბიექტური წყობის ფორმებთან არ ნაწილაკი საშუალო ქართულში საერთოდ არ დასტურდება. როგორც წესი, ის არც ახალ ქართულში დაერთვის შევეძლება ტიპის ფორმებს, თუმცა, გვაქვს სხვადასხვა სემანტიკური ასპექტით დატვირთული კონტექსტები, რომლებშიც სუბიექტური წყობის ფორმებთან არ ნაწილაკის გამოყენება ჩვეულებრივი მოვლენაა.

გაანალიზებული უკუთქმითი ნაწილაკები, როგორც წესი, ჩვენთვის საინტერესო მოდალური სემანტიკის მქონე ზმნებს დაერთვიან პრეპოზიციურად და გაუთიშავად, თუმცა დასტურდება გამონაკლისი შემთხვევებიც.

საშუალო ქართულში ობიექტური წყობის არ-ნაწილაკიანი შეძლება ზმნა, როგორც წესი, მიემართება მასდარს, იშვიათად კი, უკავშირდება დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენელს. ახალ ქართულში კი

¹ კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, გრანტი #218000, „მოდალობის კატეგორია ქართულ ენაში“.

შემიძლია ტიპის ფორმებთან მასდარული და ჰიპოტაქსური კონსტრუქციების დისტრიბუცია, შეიძლება ითქვას, რომ უკვე თანაბარია.

საშუალო ქართულის მონაცემების მიხედვით ვერ-უკუთქმითნანილაკიანი სუბიექტური წყობის შედგება ზმნა მხოლოდ ერთხელ ავლენს ჰიპოტაქსურ კონსტრუქციასთან კავშირს, დანარჩენ შემთხვევებში ვერ-ნანილაკიანი სუბიექტური წყობის ფორმა უკავშირდება მასდარს ან მის შემცველ სხვა სახელს. ახალ ქართულში კი აღნიშნული კონსტრუქციები თითქმის თანაბრად უკავშირდებიან შესაძლებლობის გამომხატველ სუბიექტური წყობის ფორმებს. რაც შეეხება ვერ-ნანილაკდართულ ობიექტური წყობის შედგება ზმნას, რომელიც მხოლოდ ძველსა და საშუალო ქართულში დასტურდებოდა, ის, უგამონაკლისოდ, ქმნიდა ასეთ კონსტრუქციას: ვერ უკუთქმითი ნანილაკი + ობიექტური წყობის შედგება მოდალური სემანტიკის ზმნა + მასდარი სახელობითი ან ვითარებითი ბრუნვის ფორმით.

აღსანიშნავია, რომ საშუალო და ახალი ქართული ენის წერილობით ძეგლებში შედგება ზმნის ობიექტური წყობის ფორმებთან და ახალ ქართულში, ერთ შემთხვევაში, სუბიექტური წყობის ფორმასთან დადასტურდა ორმაგი უარყოფის შემთხვევებიც, რომელთა პირველი კომპონენტი, ძირითადად, უარყოფითი ნაცვალსახელია, ხოლო მეორე – უკუთქმითი ნანილაკი.

დაბოლოს, საინტერესო სურათს გვაძლევს შედგება მოდალური სემანტიკის მქონე ზმნის შეხამება დამოკიდებული წინადადების ზმნის მწკრივებთან. იკვეთება შემდეგი ტენდენცია: თუ ობიექტური წყობის შედგება ზმნა ანმეოს მწკრივის ფორმითაა, მაშინ მას დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენელი შეეწყობა მეორე კავშირებითის ფორმით, ხოლო, თუ მოდალური სემანტიკის მქონე ზმნა წყვეტილის ფორმითაა წარმოდგენილი, მაშინ ის დამოკიდებული წინადადების ზმნური ფორმისგან მოითხოვს მეორე თურმეობითის მწკრივს. მეორე მხრივ კი, სხვადასხვა მწკრივში მდგარ სუბიექტური წყობის შედგება ზმნასთან დაკავშირებული დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენელი, ძირითადად, მეორე თურმეობითისა და მეორე კავშირებითის მწკრივის ფორმითაა მოცემული.

ეთარ შარვაშიანი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

ხელოვნებისა და ხელოვნის არსი აირის მერდოკის რომანში „შავი პრინცი“

აირის მერდოკი მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის ცნობილი ბრიტანელი მწერალი და ფილოსოფოსი იყო. მისი შემოქმედება სავსეა მრავალი აქტუალური თემით, რომელთაგან აღსანიშნავია ხელოვნება. ხელოვნება – ცნება, რომელზეც მრავალი მოსაზრება არსებობს. ხელოვნებას მიეკუთვნება ყველაფერი, რაც არაბუნებრივი წარმოშობისაა, ანუ შექმნილია ადამიანის მიერ.

კვლევის ძირითადი მიზანია, დაგვანახოს ხელოვნების ძირითადი არსი საზოგადოებაში მერდოკის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი რომანის „შავი პრინცი“ მაგალითზე. აღნიშნული რომანი იძლევა საშუალებას, მკითხველს ნათელი წარმოდგენა შეექმნას ხელოვნებაზე, მის არსსა და დანიშნულებაზე; ეს თემა მერდოკის თითქმის ყველა რომანს, კრიტიკულ ესესა თუ სტატიას თან სდევს. მას სწამს, რომ ხელოვნება კაცობრიობისათვის შთაგონების მთავარი წყაროა. იგი ხელს უწყობს ადამიანის შინაგანი ბუნების გამოღვიძებას.

მოხსენებაში განვიხილავთ ხელოვნებისა და სიყვარულის, ხელოვნებისა და სიმართლის ურთიერთმიმართებას (კავშირს ხელოვნებასა და მორალს შორის, ისევე როგორც ესთეტიზმსა და ეთიკას შორის, ხელოვნების როლს მორალურ სამყაროში). აირის მერდოკის რომანებში დიდია გავლენა ცნობილი მწერლებისა, მაგალითად უილიამ შექსპირისა, აქედან გამომდინარე, გასაკვირი არ იქნება ის ფაქტი, რომ მის რომანებში ბევრი ფილოსოფიური ნაზრევია, რაც შედარებით რთულია აღსაქმელად და, ამის ფონზე, კიდევ უფრო აღვივებს ჩვენში გრძნობას, თუ რაოდენ დიდებულია ხელოვნება.

ა. მერდოკი იზიარებს ტომას ელიოტის აზრს და ნამდვილ ხელოვანს მოუწოდებს, იყოს თავისუფალი საკუთარი მესაგან, რათა შეძლოს და შექმნას ხელოვნების ნიმუში. მას სწამს, რომ ხელოვნება უფრო ღრმაა, ვიდრე ფილოსოფია. მის რომანებში ნათლად იკვეთება ერთი რამ – ხელოვნება არა მარტო ამდიდრებს ჩვენს მორალურ ურთიერთგაგებას, არამედ ასაზრდოებს ჩვენს ღირსებას და გვეხმარება უკეთესი ცხოვრების მიღწევაში. მწერალი დარწმუნებულია, რომ ხელოვნების მეორე სახელი სიმართლეა. აქედან ნათლად გამომდინარეობს ერთი რამ, თუ არ იქნება სიმართლე, იქ არც ხელოვნებისათვის იქნება ადგილი.

მოხსენებაში სხვადასხვა კუთხით წარმოდგენილი იქნება ხელოვნების ფუნქცია და მისი მიზანი საზოგადოებაში. დასკვნაში კი შეჯამებული იქნება საბოლოო შეხედულება ხელოვნებაზე აირის მერდოკის მსოფლმხედველობისა და მისი რომანის „შავი პრინცი“ მაგალითზე.

ინოვაციური

დამოუკიდებელი მკვლევარი, საქართველო

ვატიკანის სახარების ფილოლოგიურ-კოდიკოლოგიური ანალიზი

წარმომი წარმოადგენს ვატიკანის ოთხთავის კოდიკოლოგიურ-ფილოლოგიური ანალიზის მცდელობას. აღნიშნული სახარების მიმართ ჩვენი დაინტერესება გამოიწვია იმან, რომ იგი ერთ-ერთი უძველესი ოთხთავია, რომლის თარიღისა და მასში დაცული ტექსტის რედაქციული კუთვნილების შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა. ვატიკანის სახარების შესახებ არსებობს სხვადასხვა მეცნიერთა კვლევები (მ. თარხნიშვილი, თ. შურლაია, ნ. მელიქიშვილი, დ. თვალთვაძე, ზ. სარჯველაძე...). ზოგი მეცნიერი მას მეთავე საუკუნის ხელნაწერად მიიჩნევს, შესაბამისად, დგება საკითხი მისი წინათონურად მიჩნევის შესახებ; არის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც საკვლევი ოთხთავი მეთერთმეტე საუკუნის, ათონური რედაქციის შემცველი ხელნაწერია. ეს ორი ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრება გადამოწმებასა და შესწავლას საჭიროებს.

როგორც შესავალშივე ჩანს, წინამდებარე კვლევის მიზანია ვატიკანის ოთხთავის კოდიკოლოგიურ-ფილოლოგიური ანალიზი. კერძოდ, ვცდილობთ დავადგინოთ:

1. ვატიკანის ოთხთავის რედაქციული კუთვნილება: არის თუ არა ის მართლაც წინათონური რედაქციის ტექსტის შემცველი ნუსხა;

2. თუ არა, მაშინ რა ადგილი უკავია საკვლევი ოთხთავის ტექსტს ათონური რედაქციის ნუსხათა ჯგუფში.

კვლევის ობიექტს წარმოადგენს ვატიკანის ოთხთავის ფოტოკოპირები, რომლებიც ინახება საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

ვატიკანის ოთხთავის რედაქციულობის საკითხის გასარკვევად იგი შევადარეთ წინათონური რედაქციის სახარების ტექსტს და ივ. იმნაიშვილის მიერ (ვანის (H), ერმიადინისა (I) და გელათის (K) ნუსხების მიხედვით გამოცემულ გიორგი მთაწმინდელის რედაქციის ტექსტს. როგორც კვლევამ გვიჩვენა, იგი არ წარმოადგენს წინათონური რედაქციის სახარებას, არამედ, გაირკვა, რომ ვატიკანის ოთხთავი გიორგი მთაწმინდელის რედაქციის შემცველი ტექსტია. საკვლევი ოთხთავსა და შესადარებლად აღებულ გიორგი მთაწმინდელის რედაქციის სხვა ხელნაწერთა შორის გამოვლენილი განსხვავებული შემთხვევები, ძირითადად, ფონეტიკური ხასიათისაა.

ამავე დროს, საინტერესოა, რა ადგილი უკავია ვატიკანის ოთხთავს გიორგი მთაწმინდელის რედაქციის შემცველ ნუსხათა შორის. ამისათვის იგი შევადარეთ ალავერდის ოთხთავს, რომელიც 1054 წელს გადანერვილი ხელნაწერია და წარმოადგენს ერთგვარ შუალედურ ეტაპს ათონური რედაქციის ჩამოყალიბების გზაზე.

კვლევის შედეგად გაირკვა, რომ ვატიკანის ოთხთავი შეიცავს გიორგი მთაწმინდელის მიერ საბოლოოდ რედაქტირებულ ტექსტს, რომელმაც ვულგატის სტატუსი მოიპოვა.

წინამდებარე ნაშრომის სიახლეს წარმოადგენს ის გარემოება, რომ მასში მოცემულია ვატიკანის ოთხთავის დეტალური კოდიკოლოგიური აღწერილობა, ასევე, მცდელობა, დავადგინოთ საკვლევი ოთხთავის რედაქციული კუთვნილება და მისი ადგილი ამ რედაქციის შემცველ ნუსხათა შორის.

აკაკი ჩიქობავა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

დამხმარე საწარმოო საშუალებათა პოლიტიკონომია და ქართული ფილმის ურთიერთობების გადრმაგება

ქართულ ისტორიოგრაფიაში მეტ-ნაკლებად კარგადაა შესწავლილი სოფლის მეურნეობის ორგანიზება, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ფუნდამენტურადაა გამოკვლეული სამეურნეო დანიშნულების იარაღის განვითარების ეტაპები (ივანე ჯავახიშვილი, გიორგი ჩიჭაია და სხვ.) და მისი როლი სოფლის მეურნეობის დარგების განვითარებაში.

წინამდებარე კვლევის მიზანია არსებულ სამეცნიერო ლიტერატურასა და დოკუმენტურ წყაროებზე დაყრდნობით შესწავლილ იქნეს სასოფლო-სამეურნეო პროცესის დამხმარე სანარმოო საშუალებათა (გუთანნი, წისქვილი) კავშირი საგლეხო ბეგარასთან და მათი ტექნიკური გაუმჯობესების პოლიტიკონომიკური ასპექტები: თუ რამდენადაა დაკავშირებული ამგვარი მოვლენები სოციალური დაყმევებისა და მწარმოებელი კლასის ექსპლუატაციასთან.

კვლევის პროცესში გამოყენებულია პოლიტიკონომიკური მიდგომის, ემპირიული მასალის დამუშავებისა და ტექსტზე მუშაობის მეთოდები საგლეხო რენტის ჩამოყალიბებისა და განვითარების ჭრილში.

მოხსენებაში განხილული იქნება:

- გუთნის განვითარებისა და ათვისების თავისებურებები პოლიტიკონომიკურ კონტექსტში;
- წისქვილის ფუნქციონირება და მისი სოციალური ბუნების განვითარება სათემო ქონებიდან საბატონო – კერძო საკუთრებამდე;
- სარწყავ არხებზე მიმაგრებული გლეხობის ფისკალური ბუნება.

აღნიშნულის გარდა, ასევე, განვიხილავ სხვადასხვა ტიპის სასოფლო-სამეურნეო იარაღებსა და სატრანსპორტო საშუალებებს: რა ტიპის სამუშაო იარაღები გამოიყენებოდა და როგორ აისახებოდა ის ქართული დოკუმენტური ძეგლების მინიატურულ გაფორმებაში.

ფეოდალურ ეპოქაში სოფლის მეურნეობა ქვეყნების ეკონომიკის წამყვან დარგს წარმოადგენდა, მასზე დაფუძნებული საბეგრო (რენტა) სისტემა კი – ფეოდალური წესრიგის პოლიტიკურ-ეკონომიკურ საყრდენს. ბატონსა და ყმას შორის არსებული სანარმოო ურთიერთობები ბეგარაში აისახებოდა და ხორციელდებოდა ზედმეტი შრომისა და შრომის შედეგად წარმოებული პროდუქტის მითვისების სახით; ძირითადი სანარმოო საშუალება – მინა უკვე ბატონის ხელში იყო, გლეხს კი, შესაძლოა, საკუთრებაში ჰქონოდა დამატებითი სანარმოო საშუალებები – სასოფლო-სამეურნეო იარაღების სახით.

გუთანნი, რომელიც ადრე თემის ან კონკრეტული თავისუფალი მწარმოებელის საკუთრება იყო, ფეოდალურ ეპოქაში დაბეგვრის საშუალებად იქცა.

სასოფლო-სამეურნეო იარაღის გაუმჯობესებაზე იყო დამოკიდებული მინების ფონდის ათვისება და მოსავლიანობა, რასაც, ასევე, ხელს უწყობდა, სარწყავი არხების განვითარება; ყოველივე ამაში კი მეზატონის უდიდესი ინტერესი ვლინდებოდა: რაც უფრო მეტი სამინო ფონდი იქნებოდა ათვისებული, მით უფრო იზრდებოდა დაყმევებულთა რაოდენობა, დამოკიდებულება სენიორის მიმართ ღრმავდებოდა, მიღებული გადასახადი კი კოლოსალურად იზრდებოდა.

მართალია, ფეოდალურ ეპოქაში სასოფლო-სამეურნეო იარაღის რევოლუციური განვითარება არ მომხდარა, თუმცა მისი ტექნიკური დახვეწა და რამდენიმე აუცილებელი დეტალის გაჩენა, ჩემი აზრით, კონკრეტულ სოციალურ ტეხილებს ინვევდა; კერძოდ, ჯერ კიდევ მცირე რაოდენობით დარჩენილი თავისუფალი მწარმოებლის სრულ დაყმევებასა და გლეხობის სრულ ექსპლუატაციას, რაც სანარმოო ურთიერთობების გაღრმავებასა და ფეოდალიზმის საბოლოო გამარჯვებას უწყობდა ხელს.

ელენა ცაცუა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

სამეცნიერო აქტის ლინგვისტური თავისებურებები სასამართლო დისკურსში ინგლისურ და ქართულ ენებში პირდაპირი და ჰპარადინი დაკითხვების დროს

წინამდებარე კვლევის მიზანია, ინგლისურ და ქართულ ენებში ემპირიულ მასალაზე დაკვირვებითა და მაგალითების შედარების გზით გაანალიზდეს სასამართლო დისკურსი პრაგმატული ასპექტით, თუ როგორ ხდება სამეცნიერო აქტების, მათ შორის პერფორმატიული ზმნების ლინგვისტური გამოვლინება, რა როლს თამაშობენ ისინი ინტერაქტივის დროს და რა ენობრივი (გრამატიკული/ლექსიკური) კონსტრუქციებითა და სტრუქტურებით ხდება მათი რეალიზება. ჩვენ დავადგინეთ მათი გამოყენების სიხშირე და ილოკუციური ძალის განმსაზღვრელი ენობრივი საშუალებები ილოკუციური მიზნების გამოსახატავად. ემპირიული მასალის სამეცნიერო აქტთა თეორიის თვალსაზრისით, კვლევისას ვეყრდნობით ჯ. ოსტინის და ჯ. სერლის თეორიებს სამეცნიერო აქტების შესახებ (Austin 1962; Searle 1969).

კვლევის პროცესში მოვიძიეთ ქართული სასამართლო პროცესების ემპირიული მასალები, ინგლისურენოვანი მასალის სასამართლო პროცესების ჩანაწერების მოსაპოვებლად კი, ძირითადად, ინტერნეტ-რე-

სურსებით შემოვიფარგლე. დავადგინე ყველა სამეტყველო აქტის სიხშირე (რეპრეზენტატივი/ასერტივი, დირექტივი, კომისივი, ექსპრესივი, დეკლარატივი) მოცემულ ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით ორივე ენაში, შედეგები კი პროცენტული მაჩვენებლების ფორმით წარმოვადგინე.

დადგინდა, რომ პროცესის დროს ორივე ენაში ნაკლებად გამოიყენება ისეთი პერფორმატიული ზმნები, რომლებიც გამოხატავენ გრძნობებს. ეს ზმნები მიეკუთვნება სამეტყველო აქტს – ექსპრესივებს. ასევე, ორივე ენას შორის პარალელის გავლება შეიძლება აღწერილობითი პერფორმატივების გამოყენების მხრივ. ესენია რეპრეზენტატივები, მაგალითად, ზმნები: *think* (ფიქრი), *believe* (დაჯერება), *state* (მტკიცება) და სხვ., რომლებიც ჭარბობენ ორივე ენაში და რაც სპეციფიკურია, ზოგადად, სასამართლო ენის ფორმალური სტილისათვის. ამასთანავე, გამოიკვეთა ინგლისური და ქართული ენების თავისებურებანი, რაც აისახა სამეტყველო აქტების ანალიზის დროს.

პერფორმატიული ზმნების ანალიზის დროს გავითვალისწინე სამი ძირითადი კომპონენტის არსებობა, რის გარეშეც აქტი შემდგარად არ ითვლება და რომლებიც უზრუნველყოფენ ამ ზმნების წარმოშობის წინაპირობას. ესენია: 1. პირობითობა,

2. რეალური გარემოებები და 3. ინტენციურობა (გამონათქვამის გამიზნულობა).

შედარებითი მეთოდის გამოყენებით გამოვლინდა ორივე ენაში მეტნაკლებად მსგავსი ლინგვისტური ერთეულების გამოყენება დაკითხვების დროს, რაც აისახა სამეტყველო აქტების გამოყენების კუთხითაც. მიუხედავად ამისა, სტატისტიკურმა კვლევამ შედეგებმა ცხადყო, რომ სამეტყველო აქტთა თანმიმდევრობა პროცენტული მაჩვენებლების მიხედვით განსხვავდება როგორც ქართული, ასევე ინგლისური ენის ემპირიულ მასალაში.

გაია ცერცვაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

გიორგი გამყრელიძის ნოსტალგიური ლირიკა

